პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეების დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 60 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- მოსკოვში ჩავიდა ჩეხო-სლოვაკიის კოოპერატორების დელეგაცია.
- საფრანგეთში გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები ომის საფრთხის წინააღმდეგ.
- ხანკოუში ჩავიდა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია.
- საფრანგეთის პრეზიდენტი დუმერგი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი გაემგზავრენ ლონდონში.
- ჩინეთში ძლიერდება გლეხების აჯანყებები მილიტარისტების წინააღმდეგ.
- გაიხსნა სრულიად საკავშირო ხელოვნების მუშაკთა მეექვსე ყრილობა.

ოთხშაბათი, 18 მაისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 110 (1855)

დღეს, ოთხშაბათს 18 მაისს, საღამოს 7 საათზე
შესდგება საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.
საქ. ცაკის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

შუბლმაგართა პროვოკაცია

თვით ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი, შუბლმაგარი ჯოინსონ ხიკსი, რომელიც ლონდონის საბჭოთა წარმომადგენლობაზე თავდასხმის ორგანიზატორია, იძულებული შეიქნა თემთა პალატაში განეცხადებია, რომ არკოსის გაჩხრეკის დროს **არ აღმოჩნდა** რაღაც საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ვითომდა, მოპარული იყო კონსერვატორების მთავრობის არქივიდან და რომელიც, მისი აზრით, არკოსის შენობაში უნდა ყოფილიყო გადამალული. ამგვარი აღიარებიდან თითქო ასეთი დასკვნა უნდა გამოდიოდეს: მთელი თავდასხმა და გაჩხრეკა დიდი შეცდომაა, რომლისათვის ინგლისის კაბინეტმა სულ მცირე ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს საბჭოთა მთავრობის წინაშე. მაგრამ ხიკსი სხვა „ლოღიკის" პატრონია; ის ამბობს, რომ დოკუმენტი იყო და არის არკოსის შენობაშიო. ხოლო „ტაიმს", აშკარაა, ხიკსის კარნახით, აღნიშნავს, რომ ეს დოკუმენტი ალბად დასწვესო, სამაგიეროდ აღმოჩნდა სხვ. მასალები, რომლებიც საბჭოთა წარმომადგენლების ანტი-ბრიტანულ მუშაობას ამტკიცეს ინგლისში.

ესაა სრული გზააბნეულობა. როგორ გადაურჩა ინგლისელ დაგეშილ მაძებრებს „დოკუმენტი", რომ ის მართლა ყოფილიყო არკოსში, ან როგორ მოახერხეს საბჭოთა თანამშრომლებმა მისი „დაწვა" იმ პირობებში, რომლებშიც გაჩხრეკა მოხდა, — ეს ხიკსის და „ტაიმს"-ის „ღრმა საიდუმლოებას" შეადგენს. ცხადია, ასეთი „განმარტება" თავის დამარცხების სრულ აღიარებას უნდა უდრიდეს იმათთვის, ვისაც საღი აზროვნების მცირეოდენი უნარი მაინც შერჩენია.

მართლაც, არკოსის გაჩხრეკა განსაკუთრებულ პირობებში მოხდა. ლონდონის პოლიციამ ყოველი ზომა მიიღო გაჩხრეკის მოსახდენად პოლიციური „ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით". გაჩხრეკის პროცესში საბჭოთა თანამშრომლებს არსად უშვებდნენ, ერთმანეთთან მიმოსვლის და ლაპარაკების საშუალებას არ აძლევდნენ; გაუჩხრეკელი არ დაუტოვებიათ შენობის არც ერთი კუნჭული, არც ერთი მოსამსახურე. ამის შემდეგ ლაპარაკი „დოკუმენტის" დაწვაზე ან იმაზე, თითქო ის „იყო და არის" არკოსის შენობაში, წრესგადასული უაზრობა და უმწეობაა.

მიუხედავათ ამისა, არაფერი იქნება გასაკვირი, თუ ყურებს გამოგვიჭედენ „საყურადღებო მასალების" პოვნაზე, რომელნიც ვითომდა, ამტკიცებენ საბჭოთა ხელისუფლების „დამანგრეველ მუშაობას" ინგლისში. ამიტომ იყო, რომ გაჩხრეკა დაიწყეს საბჭოთა წარმომადგენლების დაუსწრებლად, რომელნიც არკოსის ოთახებიდან გამორეკეს. საგულისხმოა ცნობა, რომ ჩვენი თანამშრომლებისაგან დაცარიელებულ ოთახებში ინგლისელი მაძებარნი საბეჭდ მანქანებზე რაღაცას ბეჭდავდნენ. აშკარაა, რომ „შუბლმაგარნი", რომელნიც დახელოვნებული არიან ყალბი დოკუმენტების შეთხზვაში, ეხლაც გამოიჩინენ ამ თავის ოსტატობას.

რა მიზანი ჰქონდა და აქვს ხიკსების მიერ მოწყობილ მორიგ პროვოკაციას? როგორც ვიცით, ამჟამად ჟენევაში საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია მიმდინარეობს. არის ნიშნები, რომ მოსახერხებელია მრავალი კაპიტალისტურ ქვეყნის და ჯგუფის ეკონომიური დაახლოვება საბჭოთა კავშირთან. და აი, სწორედ ასეთ მომენტში ინგლისის მთავრობა შეეცადა ერთხელ კიდევ ჩამოეგდო უნდობლობა ჩვენს და საქმიან კაპიტალისტურ წრეებს შორის იმის „დამტკიცებით", რომ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური თანამშრომლობა ვითომდა შეუძლებელია, ვინაიდან ის ამ თანამშრომლობას იყენებს კაპიტალისტურ მთავრობის ჩამოსაგდებადო. მაგრამ უკვე ეხლაც სჩანს, რომ ეს ხერხი ვერ გასჭრის; სხვათა შორის, ამის მაჩვენებელია ამერიკის ჟენეველ დელეგაციის მხრით ჩვენი დელეგაციისადმი ლოიალურ დამოკიდებულების გამოაშკარავება სწორედ თავდასხმის შემდეგ.

არა მარტო სხვა ქვეყნები, არამედ თვით ინგლისის გონიერი კაპიტალისტური ჯგუფები სულ უფრო იგნებენ ჩვენთან ეკონომიურ ურთიერთობის განახლების და გაფართოების საჭიროებას. სხვა ფაქტებს შორის, ამას ნათლად მოწმობს ნაბიჯი „მიდლანდ ბანკ"-ისა, რომელიც მზად არის ასი მილიონი მანეთის კრედიტი გახსნას საბჭოთა დაკვეთებისათვის. შუბლმაგარნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა საქმიანი ინგლისელ მრეწველების და ბანკირების ასეთი მიდრეკილება ჩაფუშონ. მაგრამ ეს პირველყოვლისა უდიდეს ზიანს თვით ინგლისის ეკონომიკას მოუტანს, რომელიც ღრმა კრიზისს განიცდის ბაზრის უქონლობის გამო. აშკარაა, თუ ჩვენი სამეურნეო საქმისათვის ინგლისში აუტანელი პირობები შეიქნა, ის მრავალ ათეულ მილიონიანი შეკვეთა, რომლის მიცემა განზრახულია ინგლისში, ასცდება უკანასკნელს და მას სხვა ქვეყნები მიიღებენ, არ გვგონია, რომ ეს დაუშვან ინგლისის დაინტერესებულმა კაპიტალისტურმა ჯგუფებმა და თავისი რეალური სარგებლობა ჩერჩილების და ხიკსების ამ თავითვე განწირულ ავანტიურას ანაცვალონ.

თავის თავად ცხადია, რომ შუბლმაგართა საბოლოო მიზანია ომის პროვოკაციის მოწყობა, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი აღმშენებლობის და საერთაშორისო მშვიდობიანობის დარღვევა. ამიტომაა, რომ ისინი ფეხქვეშ თელავენ 1921 წ. სავაჭრო ხელშეკრულებას და შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს წარმომადგენლობას და მით საბჭოთა მთავრობას. მათ სწადიათ, რომ უკანასკნელმა პირველად გაწყვიტოს ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობა და პირველად გამოუცხადოს მას ომი. მაგრამ საბჭოთა მთავრობა მტკიცედ დგას შრომის რესპუბლიკების და საერთაშორისო მშვიდობიანობის სადარაჯოზე და ამ გზას ის თვითონ არ გადაუხვევს.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობა მზად არის მტკიცედ დაიცვას თავისი საერთაშორისო უფლებები, და აქ მას ზურგს უმაგრებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს, მათ შორის ინგლისის მშრომელნიც, რომელთა აღშფოთება ინგლისის გათავხედებულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მკაფიოდ გამოაშკარავდა და სულ უფრო იზრდება.

ორი აღწერის შედეგი

1923 და 1926 წლის აღწერების შედარება მეტად საყურადღებო შედეგებს იძლევა. მართალია შედარება შეიძლება მხოლოდ სოფლების, კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობის, რადგან 1926 წლის აღწერა მარტო მოსახლეობასა და დასახლებულ ადგილებზე გავრცელდა, მაგრამ სოფლის ამ სამი ელემენტის ცვლილებებიც იმდენათ მკაფიო და საგრძნობია ასეთ მოკლე დროში—სამი წლის განმავლობაში,—რომ მათ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

მოგვყავს შედარების შემოკლებული ცხრილი.

რესპუბლიკის ნაწილები	სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა (ათასობით)			კომლთა რიცხვი (ათასობით)			სოფლების რიცხვი			[illegible]
	1923	1926	განსხვავება	1923	1926	განსხვავება	1923	1926	განსხვავება	
აღმ. საქართვ.	795.8	868.2	+72.4	159.7	171.4	+11.7	2018	2081	+63	+3.0
დას. საქართვ.	886.1	871.8	—14.3	175.9	184.1	+8.2	1352	1392	+40	—0.5
აფხაზეთი	146.8	168.6	+21.8	30.9	33.8	+2.9	350	481	+131	+5.0
აჭარისტანი	69.7	81.3	+11.6	11.9	13.6	+1.7	260	286	+26	+5.5
სამხრეთ-ოსეთი	76.2	81.5	+5.3	12.7	12.9	+0.2	449	536	+87	+2.3
სულ რესპუბლ.	1.974.6	2.071.4	+96.8	391.1	415.8	+24.7	4429	4776	+347	+1.6

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ სოფლის მცხოვრებთა რაოდენობის ზრდა მთელს რესპუბლიკაში თითქმის ნორმალურია—1.6% წლიურათ, რაც ცოტათი აღემატება ამ.-კავკ. ცენტრ. სტატ. სამართვ. მიერ მიღებულ საშუალო ზრდის პროცენტს—1.42%. მაგრამ ეს (ციფრების) ნორმალობა ძალიან შორსაა სინამდვილესთან, რადგან ის არის შედეგი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შემცირებისა. მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში მოსახლეობას დაკლებია წლიურათ ყოველ ორას კაცზე ერთი კაცი, აჭარისტანში ასეთსავე რიცხვს მომატებია 11 კაცი, აფხაზეთში—10, აღმოსავლეთ საქართველოში—6 და ოსეთში—4½.

თუ აღმოსავლეთ საქართველოს და ოსეთის სოფლის მოსახლეობის ზრდას საერთოდ ბუნებრივათ ჩავთვლით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ესევე ითქვას აფხაზეთზე და აჭარისტანზე: აქ აუცილებლად იმიგრაციას—გარედან შემოსახლებას—აქვს ადგილი.

ჩვენს მიერ ზევით აღმოსავლეთ საქართველოში და ოსეთში „ბუნებრივათ" დაშვებული ზრდაც სერიოზულ შესწორებებს მოითხოვს, თუ საქმეს შევხედავთ მაზრობლივ. თბილისის მაზრაში მოსახლეობას უმატნია წელიწადში 4.9%, დუშეთისაში დაუკლია 2.1%, თელავისაში უმატნია 1.1%. მართალია ამ მაზრების მოსახლეობის ზრდა თუ დაკლება მხედველობაში არაა მისაღები, რადგან ორ აღწერას შუა მოხდა მათი საზღვრების გადაწევ-გადმოწევა. მაგრამ რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სიღნაღის მაზრის მოსახლეობას შემატებია წლიურად 4.3%. ახალციხისას —4.4%, ახალქალაქის მაზრას—2.8%, ხოლო ყველასათვის უჯობნია ბორჩალოს მაზრას, სადაც მოსახლეობის ზრდა წელიწადში იძლევა 7.7%, და ეს მიუხედავათ იმისა, რომ ბორჩალოს მაზრის კარგა მოზრდილი ნაწილი (წალკა) თბილისის მაზრას მიეკრა. ცხადია ეს არ არის ბუნებრივი ზრდა.

იმავე დროს-კი რაჭის მაზრას ყოველ წლივ დაჰკლებია 5.7% მოსახლეობისა, შორაპნის მაზრას—1.4%, ქუთაისისას—1.1%, ოზურგეთისას—1.9%, სენაკისას—0.8% და უმატნია მხოლოდ ზუგდიდის მაზრას. რას უნდა მიეწეროს ასეთი შემცირება. ძალა-უნებურად იბადება აზრი, რომ ამის მიზეზი გამრავლების ხელოვნურად შეკვეცაა: შვილოსნობის შემცირება, „მოდათ" შემოსული აბორტები და სიკვდილიანობის ზრდა.

გადავიდეთ კომლთა რაოდენობის ზრდაზე. სავსებით გასაგები და ბუნებრივია, როცა მცხოვრებთა რიცხვის ზრდას თან სდევს კომლთა რიცხვის სათანადო ზრდაც, რასაც ჩვენ ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში. მაგრამ სრულიად გაუგებარია, როცა მცხოვრებთა შემცირებასთან ერთად დასავლეთ საქართველოს შემატებია 8.200 კომლი. როგორ მოხდა ეს?

ჩვენ ქვევით ვეცდებით ამ კითხვაზე პასუხის მიცემას, აქვე-კი უნდა ვთქვათ, რომ როგორიც უნდა იყოს ამის მიზეზი, ერთი აშკარაა: კომლის გაყრას დასავლეთ საქართველოში მიუღია მასიური ხასიათი, ე. ი. ის გადასცილებია იმ ბუნებრივ ნორმას, რომელსაც საერთოდ აქვს ადგილი სოფელში. დასავლეთ საქართველოში გარედან შემოსახლებას ადგილი არა აქვს, მაშ საიდან გაჩნდა ეს 8.200 კომლი? რასაკვირველია, იმ კომლთაგან, რომელთაც მომატების მაგივრად დაჰკარგეს სამი წლის განმავლობაში 14.300 კაცი.

მიწის ისეთი სივიწროვის პირობებში, როგორიცაა დასავლეთ საქართველოში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწა (სასოფლო საბალახოების გამოკლებით) მოდის საშუალოდ კომლზე სულ 2—3 ჰექტარი, ანუ სულზე 1010 კვადრ. საჟენი,—კომლის გაყრას რომ დამღუპველი გავლენა აქვს მეურნეობაზე, ეს ცხადია, მაგრამ, როცა ასეთი გაყრა ხდება გადაჭარბებით, ამის მიზეზები ყოველი ღონისძიებით უნდა გამოაშკარავებულ და მოსპობილ იქნენ.

კომლთა გაყრის ასეთი გადაჭარბებული რაოდენობა, ჩვენის აზრით, უნდა აიხსნას ორი მთავარი მიზეზით: ერთია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავიდან აცილების სურვილი და მეორე—ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევის შიში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩვენში გასულ წელს გადაიხადა სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 39 პროცენტმა, დანარჩენი 61 პროცენტი მოსახლეობისა იმდენათ ღარიბი აღმოჩნდა, რომ განთავისუფლებულ იქნა ამ გადასახადისაგან.

მეორე მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა. ჩვენი სოფლის მოსახლეობის საშუალო ფენებში 10—15 პროცენტი ისეთი კომლი გამოირჩევა, რომელსაც ნორმაზე მეტი მიწა აქვს, და შიში ამ ზედმეტი მიწის ჩამორთმევისა მას აიძულებს გაყრას მიმართოს, მიუხედავათ იმისა, რომ მიწის კოდექსის 39 და 63 მუხლები მას სრულიად უზრუნველჰყოფენ ასეთი ჩამორთმევისაგან, ის მაინც რატომღაც არჩევს „თავი ქუდში ჰქონდეს" და ყოველგვარი ხიფათისაგან შორს იყოს.

მესამე საკითხია სოფლების და საერთოდ დასახლებულ ადგილების რიცხვობრივი ზრდა. ამ მხრივ ყველა კუთხეს წინ გაუსწრო აფხაზეთმა, სადაც 350 სოფლის მაგივრად 1923 წელში, დღეს ჩვენ ვხედავთ 481 სოფელს, ე. ი. სოფლების რიცხვი გაზრდილა 37,4 პროცენტით. მეორე ადგილი სამხრეთ-ოსეთს უჭირავს და მესამე—აღმოსავლეთ საქართველოს. აშკარაა, რომ გარედან ახლად შემოსახლებული ხალხი, გარდა იმისა, რომ იფანტება არსებულ სოფლებში, აშენებს ახალ სოფლებსაც; ეს ძალიან პატარა და მცირემოსახლეობიანი სოფლებია, მათი არც ადგილმდებარეობა ვარგა, არც წყალი, არც ჰავა, რადგან ასეთი სოფლების „ამშენებლებს" დროც არა აქვთ, რომ მოსაზრებულად და მიზანშეწონილად იმოქმედონ, მათი ცდაა—სადმე ფეხი მოიკიდონ და გამაგრდნენ.

არსებულ სოფლების განსახლებას იშვიათად აქვს ადგილი; ამას ხელს უშლის უმთავრესად ხალხის სიღარიბე, თუმცა საჭიროება ასეთი განსახლებისა ჩვენში საგრძნობია: 8½ პროცენტში სოფლების მთელი რაოდენობისა 250 კომლზე მეტია თითოში. ასეთ სოფელში შორმიწიანობა აუცილებელია, რაც მაჩვენებელია მიწის სარგებლობის მოუწესრიგებლობის.

დასკვნა ყველა ზემოხსენებულიდან ცხადი უნდა იყოს. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მიწის პატრონობისა და მოწყობის საქმეს. სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც არის და კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი რესპუბლიკა, მიწის უწესრიგოთ დანაწილებას უნდა მოუღოს ბოლო ჩვენმა ხელისუფლებამ.

ვ. გ. ძე.

არკოსზე თავდასხმამ ვერ გაამართლა პოლიციის იმედები

ლონდონის პოლიციამ ვერ აღმოაჩინა დოკუმენტი, რომელიც თითქოს არსებობდა

ამერიკის დელეგაციის დაახლოვება საბჭოთა დელეგაციასთან ჟენევაში

რევოლიუციონური უხანის ავტორიტეტი დღით-დღე იზრდება ჩინეთის მშრომელთა თვალში

ჯოინსონ ხიკსს იმედები გაუცრუვდა

იმედი გაუცრუვდათ.

სტოკჰოლმი, 17 მაისი. კოპენჰაგენის გაზეთ „პოლიტიკენ"-ის ლონდონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ **„არკოსის გაჩხრეკამ ლონდონის პოლიცია დიდ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, ვინაიდან მრავალ ათასობით გატაცებულ დოკუმენტებიდან, რომელთა დათვლა დიდის გაჭირვებით შესძლეს პოლიციის აგენტებმა, არც ერთი არ აღმოჩნდა ყურადღების ღირსი"** (ადს).

კონსერვატორების მარცხი

ლონდონი, 16 მაისი. „დეილი ნიუს" (ლიბერალების ორგანო) აცხადებს: „ხიკსის გუშინდელმა განცხადებამ, რომ დაკარგული დოკუმენტი ვერ იპოვეს არკოსში, მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა კონსერვატორებზე".

ბერლინი, 16 მაისი. „ხიკსის ორჭოფულმა პასუხმა და ჩხრეკის სრულმა უშედეგობამ,—იუწყება „ბერლინერ ტაგებლატი"-ს ლონდონელი კორესპონდენტი,—მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ბოლდუინის კაბინეტის ავტორიტეტი, რომელიც ისედაც ვერ იყო მტკიცე უკანასკნელ ხანებში, კიდევ უფრო შეირყა".

„ბერხენ კურიერ" სწერს:

„ინგლისის მთავრობამ თავის თავს ჩასცა ლახვარი. საეჭვოა, რომ შესაძლებელი შეიქნეს მომხდარი ფაქტის გამოსწორება. როცა გამოქვეყნდა პირველი ცნობები ლონდონის პოლიციის განსაცვიფრებელი გამოსვლის შესახებ, ევროპაში არავის არ მიაჩნდა დასაშვებათ, რომ ინგლისის პოლიტიკური მოღვაწეები დაუშვებდნენ ისეთ შეცდომას, რომლის აღიარება ახლა მათ უხდებათ. საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ვითომდა უნდა გამოეაშკარავებიათ, ამრიგად სრულიად იოლად მოიპოვა მორალური გამარჯვება. ჟენევაში განწყობილება რუსების სასარგებლოდ შეიცვალა".

მითიური დოკუმენტი.

ლონდონი, 16 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა **ჯოინსონ ხიკსმა** უპასუხა მთელ რიგ შეკითხვებზე არკოსზე თავდასხმის შესახებ.

ხიკსმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „სამხედრო მინისტრისაგან მიღებულმა ინფორმაციამ დამარწმუნა, რომ ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი იყო, ან არის ისეთი პირის ხელში, რომელიც მუშაობს არკოსის შენობაში. დოკუმენტს აქვს წარწერა, რომ ის შეადგენს მთავრობის საკუთრებას და არ შეიძლება გადაეცეს არც პრესას და არც ისეთ პირს, რომელსაც არ უკავია ოფიც. თანამდებობა მისი უდიდებულესობის სამსახურში. ეს იყო დოკუმენტი, რომლის ასლის მიღებას ცდილობდა ისეთი პირი, რომელსაც არ ჰქონდა სამისო რწმუნება.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მე მოველაპარაკე პრემიერს და გარეშე საქმეთა მინისტრს და მათი თანხმობით ნება დავრთე პოლიციას ეშუამდგომლა ორდერის მიღების შესახებ არკოსის შენობის გასაჩხრეკად. არკოსის შენობაში მოთავსებულია აგრეთვე რუსეთის სავაჭრო დელეგაცია. ორდერი უფლებას აძლევდა პოლიციას მოეხდინა ჩხრეკა არკოსის და რუსეთის სავაჭრო დელეგაციის შენობაში.

მე მაქვს ცნობა, რომ ჩხრეკა გუშინ სავსებით დამთავრდა. **ზემოთაღნიშნული დოკუმენტი არ აღმოჩნდა** (ტაში მუშათა პარტიის სკამებზე). პოლიციამ ხელში ჩაიგდო ზოგიერთი ქაღალდები, რომელთაც შეიძლება დამოკიდებულება ექნეთ საქმესთან. სწარმოებს ქაღალდების განხილვა (ადს).

„ბელადები" სდუმან.

ლონდონი, 17 მაისი. დამახასიათებელია, რომ მუშათა პარტიის ბელადების სიტყვები შაბათს და კვირას ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ კანონპროექტს პროფკავშირების შესახებ და ერთი სიტყვითაც არ ყოფილა აღნიშნული თავდასხმა არკოსზე (ადს).

შეკითხვები ჯოინსონ ხიკსს.

ლონდონი, 16 მაისი. ხიკსის განცხადების შემდეგ თემთა პალატაში ჰენდერსონმა (მუშათა პარტია) მთავრობას მიმართა მოთხოვნილებით დაეთმო დრო კამათისათვის.

ხიკსმა განაცხადა, რომ თუ ოპოზიციას სურს გაკიცხვის რეზოლიუციის შემოტანა, ამისათვის მას მიეცემა დრო.

ხიკსმა დაუმატა, რომ ხუთშაბათს ის შესძლებს ამომწურავ განცხადების გაკეთებას და განიმეორა, რომ მისი აზრით, დოკუმენტი იყო ან არის არკოსის შენობაში.

პონსონბი (მუშათა პარტიის წევრი, გარეშე საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი მაკდონალდის კაბინეტში) შეეკითხა—ხომ არ ცდილა ხიკსი, რომ ჩხრეკა მომხდარიყო პროფკავშირების შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტის განხილვის დროს კომისიაში?

თავმჯდომარემ მოხსნა ეს შეკითხვა და განაცხადა, რომ მას (ამ შეკითხვას) ინსინუაციის ხასიათი აქვს.



ჯოინსონ ხიკსი
ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი, „შუბლმაგარ" კონსერვატორების ბელადი

მუშათა პარტიის წევრი **ხორდი** შეეკითხა—აღადგენენ თუ არა წესრიგს არკოსში ხელისუფლების იგივე წარმომადგენლები, რომელთაც დაარბიეს არკოსის შენობა?

ლენსბერი შეეკითხა—ამტკიცებს თუ არა კატეგორიულად ხიკსი, რომ დოკუმენტი, რომლის შესახებაც ის ლაპარაკობდა, მოპარული აქვს არკოსთან დაკავშირებულ პირს.

ხიკსმა ამაზე განაცხადა: „მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი უმჯობესია განხილულ იქნეს კამათის დროს. მაგრამ მე ვამბობ და ვაცხადებ, რომ ჩემის აზრით, დოკუმენტი იყო ან არის არკოსის შენობაში. მე ამაში დარწმუნებული ვიყავი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პოლიციას მივცემდი ორდერის მიღების უფლებას".

მუშათა პარტიის ზოგიერთ დეპუტატებს უნდოდათ შეკითხვების მიცემა, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესია შეკითხვების გადადება ხუთშაბათამდე (ადს).

„დეილი მეილ"-ი უკმაყოფილოა ჩემბერლენით.

ლონდონი, 17 მაისი. „დეილი მეილი" მოწინავე წერილში აკრიტიკებს ჩემბერლენის პოზიციას და აღნიშნავს როზენგოლცის ნოტაში მოყვანილ ფაქტს, რომ 16 თებერვალს, ე. ი. ერთი კვირით ადრე **ჩემბერლენის მიერ საბჭოთა მთავრობისათვის ნოტის გაგზავნამდე (23 თებერვალს), ჩემბერლენმა დაადასტურა ხინჩუკის დიპლომატიური პრივილეგიები.**

„ძნელია იმის თქმა,—სწერს გაზეთი,—თუ რამდენად ძლიერია ჩემბერლენის პოზიცია ინგლისის კაბინეტში. ყოველ შემთხვევაში, ყველა ნიშნები მოწმობენ, რომ ის უმცირესობაშია. **ზოგიერთ წრეებში შესაძლებლად სთვლიან ჩემბერლენის გადადგომას იმ შემთხვევაში, თუ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა ჩაიშალა"** (ადს).

ჩხრეკა „გამართლებულია?".

ლონდონი, 17 მაისი. „ტაიმსმა" გამოაქვეყნა, როგორც სჩანს, შეთხზული ცნობა არკოსში და სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ ჩხრეკის შესახებ.

„ხელისუფლების აზრით, —ნათქვამია ცნობაში, — ჩხრეკა გამართლებულია. ზოგიერთ საიდუმლო საწყობებში აღმოჩნდა მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსებობს ანტიინგლისური ხასიათის საბჭოთა ორგანიზაცია. აღმოჩენილ საბუთებიდან სჩანს, რომ საქმიანი ორგანიზაციის ნიღაბ ქვეშ საბჭოთა მთავრობა ლონდონში ეწეოდა საერთაშორისო კამპანიას არსებულ წესწყობილების დამხობის მიზნით. არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ხსენებულ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბჭოთა ორგანიზატორებთან და კომუნისტებთან ინგლისში და სხვა ქვეყნებში. აღნიშნავენ, რომ აღმოჩენილ დოკუმენტებს შორის იყო იმ დაქირავებულ აგენტების და აგიტატორების სია, რომლებიც მუშაობენ ევროპის სხვადასხვა დედაქალაქებში. ჩხრეკა გაგრძელდება კიდევ რამოდენიმე დღეს, ვინაიდან დაკარგული დოკუმენტი კიდევ შეიძლება აღმოჩენილ იქნეს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ხსენებული დოკუმენტი დასწვეს" (ადს).

უპასუხოთ დატოვებული შეკითხვა

ლონდონი, 16 მაისი. მუშათა პარტიის დეპუტატმა **ტერტლიმ** თემთა პალატის სხდომაზე შეიტანა შეკითხვა: მიაქცია თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრმა ყურადღება სიტყვას კონსერვატიული პარტიის დეპუტატისას, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთის საელჩოს მალე ისეთივე ბედი ეწევა, როგორც სავაჭრო დელეგაციას. პალატის თავმჯდომარემ მოხსნა ეს შეკითხვა .(ადს).

ხიკსის ღირსეული თანაშემწე

ლონდონი, 16 მაისი. „დეილი ნიუსმა" გუშინ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „გენერალურ შინ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „გენერალმაიორმა ჩაილდმა, რომელსაც დაევალა ჩხრეკის მოხდენა, „სოვეტ-ჰაუში", 1921 წ. შესცვალა ტომსონი პოლიციის განსაკუთრებული განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, შემდეგ კი ის დაინიშნა სისხლის სამართლის პოლიციის უფროსად. მას მიმართავდენ კონსულტაციისათვის ზინოვიევის წერილის გამო, ორი კვირის წინ ის გამოვიდა, როგორც მოწმე ერთი საქმის გარჩევის დროს, რომელსაც, როგორც ამბობენ, კავშირი აქვს ახლანდელ ამბებთან".

ჟენევის კონფერენციაზე

ამერიკის დელეგაციის პოზიცია.

ნიუ-იორკი, 16 მაისი. ამერიკულ გაზეთების კორესპონდენტები ჟენევაში პირველად მტრული კილოთი აშუქებდენ საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში, **მაგრამ უკანასკნელი კორესპონდენციები დაწერილია უფრო სერიოზულად, რაც, როგორც სჩანს, მოწმობს იმას, რომ ამერიკის დელეგაციამ შესცვალა თავის დამოკიდებულება საბჭოთა დელეგაციისადმი** (ადს).

როგორ „მუშაობენ".

ჟენევა, 17 მაისი. სარედაქციო კომისიების მუშაობას არავითარი წარმატება არ ემჩნევა. დროის მეტი ნაწილი მიდის საუზმებზე და სადილებზე, რომელთაც მართავენ დელეგაციები რიგ-რიგობით (ადს).

კონფლიქტი

ინგლისის სამანქანო მრეწველობაში

ლონდონი, 16 მაისი. ინგლისის მანქანათ-შენების მრეწველობის მუშათა მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის კვირაში 20 შილინგით მომატების შესახებ დიდ მოვლენას წარმოადგენს ამჟამად ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მანქანათ-მშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირის თანამდებობის პირთა კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომელიც კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს აძლევს რწმუნებას, რომ 19 მაისს მწარმოებელთაგან მოითხოვოს საბოლოო პასუხი სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. **ლონდონის კონფერენციის რეზოლიუცია აცხადებს, რომ თუ მწარმოებლები უარს იტყვიან ალმასკომების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, მაშინ ლონდონის კავშირი მიმართავს გაფიცვას.** (ადს).

32-ის პროცესი

გროდნო, 17 მაისი. დამთავრდა 32 ბრალდებულის გასამართლება. მათ ბრალად სდებდენ კომუნისტურ მუშაობას: 18 ბრალდებულს მიუსაჯეს ციხე ერთნახევრიდან 3 წლამდე, დანარჩენები გაამართლეს (ადს).

დუმერგის გასტროლები

პარიზი, 17 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პრეზიდენტი **დუმერგი** და გარეშე საქმეთა მინისტრი **ბრიანი** ლონდონში გაემგზავრენ. (ადს).

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 17 მაისი. ავსტრიის მთლიანობის კომიტეტმა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია, **ავსტრიის მუშებს სურთ მუშათა მეორე დელეგაციის გამოგზავნა საბჭოთა კავშირში** (პირველი დელგაცია საბჭოთა კავშირს ესტუმრა შარშან).

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ გაგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო აცხადებს სრულ თანხმობას, რომ თქვენი დელეგატები ზაფხულში ჩამოვიდენ საბჭოთა კავშირში. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო მოქმედებს საბჭოთა კავშირის მუშათა სულისკვეთების მიხედვით, რომელნიც ყოველთვის სიხარულით ესალმებიან უცხოეთის მუშათა დელეგაციებს".

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ ასეთივე წერილი გაუგზავნა ჩეხო-სლოვაკიის მთლიანობის კომიტეტს, რომელმაც საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს მისცა წინადადება ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატის დელეგაციის გაგზავნის შესახებ. (ადს).

ომის საფრთხის წინააღმდეგ

პარიზი, 16 მაისი. **მოქმედების კომიტეტის ინიციატივით მულენში, კლერმონში, მანსში, ამიენში, ანჟერში და სხვა ქალაქებში მოხდა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგები საფრანგეთის მთავრობის სამხედრო კანონ-პროექტების და ანტი-ჩინური და ანტი-საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. ორლეანში,** მიუხედავათ პოლიციის ცდისა, რომ გაეფანტა მიტინგზე მიმავალი მუშათა ჯგუფები, **მიტინგზე მონაწილეობა მიიღო 30.000 მეტმა კაცმა.** ლენსში მიტინგზე მონაწილეობა მიიღეს რეფორმისტული პროფკავშირებში შემავალმა მუშებმა. კოლომბში (პარიზის მახლობლად) რეფორმისტების მიერ მოწვეულმა **მიტინგმა პრეზიდიუმში მხოლოდ კომუნისტები აირჩია.** რეფორმისტებმა დასტოვეს კრება. დარჩენილმა უმრავლესობამ მოაწყო საპროტესტო მანიფესტაცია სამხედრო კანონპროექტების წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა პრესა

სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობის ზრდა

ჩვენი მრეწველობისათვის ნედლეულის საკმაო ბაზის შექმნა, გლეხობის კეთილდღეობის აწევა და უმუშევრობის შემცირება დიდადაა დამოკიდებული შრომის ნაყოფიერების ზრდაზე სოფლის მეურნეობაში, უკანასკნელის შემოსავლიანობის გადიდებაზე. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა ღონისძიებათა შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობს მინერალურ სასუქის გამოყენება. ამ მხრივ ჩვენ ძალზე ჩამოვრჩებით არა მარტო სამეურნეო მხრივ დაწინაურებულ ქვეყნებს, არამედ ყოფილ რუსეთში ომის წინედ არსებულ დონესაც. რა ზომები უნდა მივიღოთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად? „პრავდა"-ში ამხ. ს. ბაისტერი ასე უპასუხებს ამ კითხვაზე:

„მინერალურ სასუქის გავრცელებას ხელს უშლის ის, რომ თითქმის სრულებით არ წარმოებს სამისო აგროპროპაგანდა, მოუგვარებელია კრედიტების მიწოდების საქმე, მაღალია ფასები ჩვენში დამზადებულ სასუქზე, აგრეთვე მისი ხარისხი დაბალია.

მინერალური სასუქი მხოლოდ მაშინ შეიჭრება სასოფლო მეურნეობაში, თუ კრედიტების გაცემის სათანადო სისტემასა და აგროპროპაგანდასთან ერთად, ის გლეხისათვის ეკონომიურად ხელსაყრელი იქნება. ამიტომ, ფასები სასუქზე არ შეიძლება ერთნაირი იყოს საბჭოთა კავშირის მთელ ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც პურეულის ფასი სხვადასხვა რაიონებში სხვადასხვანაირია. აი რატომ უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს სასუქზე სარაიონო ფასების დაწესების პოლიტიკა, ფასების, რომლებიც შეფარდებული იქნება სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა ფასებთან.

სათანადო ფასებთან ერთად უნდა მოეწყოს მინერალური სასუქის მომხმარებლის კრედიტებით მომარაგების სწორი სისტემა. ამ მხრივ მინერალურ სასუქის მიმართ უნდა ვაწარმოოთ ისეთი პოლიტიკა, როგორსაც ვატარებთ სოფლის მანქანებით მომარაგების დარგში, კრედიტის სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ წავაქეზოთ მინერალურ სასუქის მოხმარება ჩვენს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და აგრეთვე ჩვენი გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენებს უაღრესად გაუადვილოთ მისი გამოყენება.

აგროპროპაგანდის სათანადო დაყენება აუცილებელი წინაპირობაა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში მინერალურ სასუქის ხმარების გადიდებისათვის. სავსებით ცხადია, რომ ეს პროპაგანდა დაუყოვნებლივ უნდა იქნას გაუმჯობესებული და განმტკიცებული, როგორც საშუალებებით, ისე ძალებით. სასოფლო მეურნეობაში მინერალურ სასუქის ხმარების გადიდების საკითხი ჩვენი სახ. ორგანიზაციების მხრით უნდა იქნეს დაყენებული ერთ დონეზე სოფლის მანქანებით მომარაგების საკითხთან".

შემოსავლიანობის გადიდება და ამ მიზნით მინერალურ სასუქის გამოყენება—სოფლის მეურნეობის ერთი მთავარი ამოცანათაგანია. მის გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერძოდ საქართველოს პირობებში, სადაც გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის მიწის სიმცირისა, მისი გამოფიტვისა და ამასთან ბევრგან ეწერის არსებობის გამო, რომელზეც გვიმრის და თხმელას მეტი თითქმის არაფერი ხარობს. ყველა ამ მოვლენის შენელება თუ აცილება ხელოვნურ სასუქის გამოყენებით შესაძლებელია. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ სათანადო საბჭოთა ორგანოებმა და სახ.-სამ. კოოპერაციამ.

უხანი—რევოლიუციის ცენტრი

გლეხები ეხმარებიან ფინ-იუი-სიანს

შანხაი, 16 მაისი. ჩინური გაზეთების ცნობით, გლეხთა რაზმების წინსვლა ხენანის პროვინციაში განსაკუთრებით გაძლიერდა იმის შემდეგ, რაც მუკდენელთა ჯარებმა აიღეს სუი-პინი პეკინ-ხანკოუს რკინის გზაზე. განსაკუთრებით ძლიერი არიან გლეხთა რაზმები ლოიანის რაიონში, სადაც ისინი კარგად არიან შეიარაღებული და აქვთ საველე ზარბაზნები. ლოიანი აღებულ იქნა ფინ-იუი-სიანის მიერ გლეხთა რაზმების დახმარებით. რომელნიც აქტიურ დახმარებას უწევენ ფინ-იუი-სიანის წინსვლას კაი-ფინისაკენ. (ადს).

გლეხთა აჯანყებები.

კანტონი, 17 მაისი. კანტონის კომენდანტმა ჩენ-და-ჩუნმა ჩრდილოეთის მდინარის რაიონში ჩააქრო გლეხთა მოძრაობა. ჩენ-კა-იუს დივიზიამ, რომელიც აჯანყებულებს ემხრობოდა, უკან დაიხია ხუნანისაკენ. **ჩენ-და-ჩუნის ბრძანებით, სიკვდილით დასაჯეს რამოდენიმე რკინისგზელი, რომელთაც დააბრალეს რკინისგზის დანგრევა კანტონ-ხანკოუს გზაზე აჯანყებულებთან ბრძოლის დროს. აღმოსავლეთის მდინარის რაიონში ზოგიერთი მაზრა აჯანყებულების ხელშია** (ადს).

კანტონის „სწმენდენ".

კანტონი, 17 მაისი. 9 მაისს ღამით კანტონის კომენდანტმა და პოლიციამ მოხსნილად გამოაცხადეს სამხედრო წესები კანტონში.

11 მაისს სამხედრო მეთვალყურეობის კომიტეტმა მოიწვია მთავრობის სხვადასხვა ორგანოების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის მიზანი იყო „შემდგომ ღონისძიებათა გამომუშავება გომინდანის გასაწმენდათ და კომუნისტურ ელემენტების მოსასპობად". თათბირმა დაადგინა მოწყობილ იქნეს განსაკუთრებული მაძიებელი კორპუსი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს კომუნისტებს (ადს).

პროფმოძრაობის ცენტრი

ხანკოუ, 17 მაისი. ამჟამად უხანში იმყოფება კომპარტიის და გომინდანის ცენტრალური კომიტეტი, ეროვნული მთავრობა, პოლიტბიურო და სამხედრო საბჭო, რომელიც მიმართულებას აძლევს ჩინეთის რევოლიუციის პოლიტიკას. უხანში ადგენენ სამხედრო გეგმებს მილიტარისტებისა და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, აქ განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სწყვეტენ ჩინეთის რევოლიუციის ძირითად საკითხს — აგრარულ საკითხს.

უხანი ამჟამად პროფმოძრაობის ცენტრია. სრ. ჩინეთის კონფერენციებთან ერთად **უხანში მუდამ ხდება გლეხთა და სტუდენტთა კავშირების, ახალგაზრდათა და ქალთა ორგანიზაციების პროვინციალური და საქალაქო კონფერენციები.**

განსაკუთრებით იზრდება პიონერთა მოძრაობა. **16 მაისს მოხდა პიონერთა ალლუმი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 120.000 მეტმა მუშათა და გლეხთა ბავშვებმა.** (ადს).

რევოლიუციისათვის თავდადებულნი

შანხაი, 17 მაისი. ამ დღეებში, საერთაშორისო უბნის პოლიციის დახმარებით, დააპატიმრეს, ორი პირი, რომელთაც ბრალდებათ რევოლიუციონური გაზეთის გამოცემა. გაზეთები იუწყებიან, რომ დაპატიმრებულები უკვე სიკვდილით არიან დასჯილნი საერთაშორისო უბნის პოლიციის საიდუმლო აგენტების თანადასწრებით. გაზეთების სიტყვით, დასჯილნი, 19-20 წლის ახალგაზრდანი, „ამჟამად შეხვდენ სიკვდილს რევოლიუციისათვის,, (ადს).

რევოლიუციის ცენტრი.

ხანკოუ, 17 მაისი. უხანი ამჟამად ჩინეთის რევოლიუციის ცენტრს წარმოადგენს. იქ ყოველ დღე იმართება მიტინგები და დემონსტრაციები. **ქუჩებში დადიან მუშათა რაზმები, რომლებსაც ქუდებზე გაკეთებული აქვთ წითელი ვარსკვლავები. ყოველგან სწარმოებს ჯარში ახლად გაწვეულთა სამხედრო გაწვრთნა. მუშათა რაზმებს ხშირათ დაჰყავთ ქუჩაში კონტრ-რევოლიუციისათვის დაპატიმრებული სპეკულიანტები.**

უცხოელების სამხედრო გემები, რომლებითაც სავსეა მდინარე და რომელთაც ხანკოუსა და უჩანისაკენ აქვთ მიშვერილი ზარბაზნების ლულები, ჰქმნიან შთაბეჭდილებას, რომ იმპერიალისტები ყოველთვის მზად არიან ლახვარი ჩასცენ რევოლიუციონური ჩინეთის ცენტრს.

საბჭოთა პროფკავშირების დელეგატები ხანკოუში

ხანკოუ, 17 მაისი. 6 მაისს ხანკოუში ჩავიდა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს იმ დელეგაციის ნაწილი, რომელიც გაგზავნილი იყო წყნარ-ოკეანეს განაპირა ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენციაზე დასასწრებლად კანტონში.

დელეგაციის წევრებმა **ანდრეიჩუკმა და აპლეტინმა** მოახერხეს კანტონიდან უცხოეთის გემით გამოსვლა და მშვიდობიანად ჩასვლა შანხაიში. შანხაიდან ხანკოუმდე მათ იმგზავრეს ინგლისის გემით, რადგან სხვა გემების რეისები შეწყვეტილია. ცზიუ-ძიანში დელეგატები უხეშად იქნენ დაკითხული ინგლისელ ოფიცრის მიერ, რომელსაც რუსი თეთრგვარდიელი ახლდა. დელეგატებმა განაცხადეს, რომ იმ გემს, რომლითაც ისინი მოგზაურობდენ, თან მოჰყვებოდა ინგლისის სამხედრო გემი; სამხედრო გემმა რამდენიმე ყუმბარის გასროლით უპასუხა იან-ძის სამხრეთ-ნაპირიდან ატეხილ სროლას. დელეგატები აღნიშნავენ, რომ სროლის ჩრდილოეთ ნაპირიდან, რომელიც სუნ-ჩუან-ფანს უჭირავს, ინგლისელებმა არ უპასუხეს. მიუხედავად იმისა, რომ გემს ერთი ყუმბარა მოხვდა ნაპირიდან. (ადს).

ჩემბერლენის პასუხი

ლონდონი, 16 მაისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატი **ტრეველიანი** შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს: რა ნაბიჯები გადადგა ინგლისის მთავრობამ იმ 14 ჩინელი სტუდენტის მიუდგომელი გასამართლების უზრუნველსაყოფად, რომელნიც ჩინეთის ხელისუფლებას გადაეცა ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე ტიან-ცზინში და დახვრეტილ იქნენ სამხედრო სასამართლოს განაჩენით.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ინგლისის კონსულმა ტიან-ცზინში მიუთითა ჩან-ძო-ლინს, რომ დაპატიმრებულთა სამხედრო სასამართლოში ძიცემა არასასურველ შთაბეჭდილებას გამოიწვევს ინგლისში. მაგრამ ინგლისის კონსულის განცხადებამ ვერ იქონია ზეგავლენა ჩან-ძო-ლინზე და დაპატიმრებული სიკვდილით იქნენ დასჯილი.

დეპუტატი **კენვორტი** შეეკითხა: სტუდენტების გადაცემის აქტით უქმდება თუ არა მრავალი წლის დაწესებული თავშეფარების უფლება ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე.

პასუხში ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ თავშეფარების უფლება მართლაც არსებობდა, მაგრამ მხოლოდ იმ პირთათვის, რომელნიც არ მისწრაფოდენ არსებული ხელისუფლების დამხობისაკენ. „მეამბოხენი და აგიტატორები არსებული წესწყობილების წინააღმდეგ" არასოდეს არ სარგებლობდენ კონცესიის დაცვით. (ადს).

გლეხთა აჯანყება

შანხაი, 17 მაისი სვატოუს რაიონში გრძელდება აჯანყებები. გლეხების რაზმების წინააღმდეგ სვატოუდან გაგზავნილია ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებული „სამილდო ჯარები". კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი გლეხური რაზმები თავმოყრილი არიან პუნინის (გუანდუნის პროვინციაში, სვატოუდან 50 კილომეტრის მოშორებით) და ჩაოანის რაიონში და ელიან ხელსაყრელ მომენტს, რომ დაეცენ სვატოუს და ვაი ჩუოუს (ადს).

კანონი პროფკავშირების შესახებ

ლონდონი, 16 მაისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ თემთა პალატის სხდომაზე **ბოლდუინმა** წარადგინა რეზოლიუცია, რომლის თანახმად კანონპროექტი პროფკავშირთა შესახებ კომისიამ უნდა განიხილოს 16 დღის განმავლობაში.

მუშათა პარტიის წევრმა კლაინსმა სასტიკად გაჰკიცხა მთავრობის საქციელი და უწოდა მას თავხედური და სამარცხვინო. ამასთანავე მან დასძინა, რომ ოპოზიცია მხარს არ დაუჭერს რეზოლიუციას და რომ ნიშნად პროტესტისა „პირში ბურთის ჩაჩრის და თავხედობის" პოლიტიკის წინააღმდეგ, მუშათა პარტიის ყველა დეპუტატები დასტოვებენ პალატას.

ამ სიტყვების შემდეგ მუშათა პარტიის მთელმა ფრაქციამ დასტოვა სხდომის დარბაზი, რასაც ტაშის ცემით შეხვდენ კონსერვატორები.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ის ხმას მისცემს რეზოლიუციის წინააღმდეგ, ვინაიდან ის კანონპროექტის წინააღმდეგია.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა 259 ხმით 13-ს წინააღმდეგ (ადს).



დუგლას ჰოგ
პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონის ავტორი

იტალია-ალბანეთი

რომი, 17 მაისი. სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ მუსოლინიმ და ალბანეთის ელჩმა რომში დინოშ ერთმანეთს გადასცეს ნოტები. ამ ნოტებში ისინი აცხადებენ, რომ ორთავე მთავრობა ერთსულოვნად იცავს 1926 წლის თებერვალში დადებულ ხელშეკრულებას მეგობრობისა და უშიშროების შესახებ. (ადს).

მისისიპის ადიდება

ნიუ-იორკი, 17 მაისი. ლუიზიანაში ჯებირების დანგრევის გამო წყალით დაიფარა დიდი სივრცე. წყალმა კიდევ შეიძლება დაფაროს ერთი მილიონი აკრი მიწა და უთავშესაფროდ დასტოვოს 50.000 კაცი. შვიდივე შტატში, სადაც ადგილი აქვს წყალდიდობას წყლით დაფარულია ექვსი მილიონ აკრზე მეტი სივრცე.

ნიუ-იორკი, 17 მაისი. მისისიპის ჯებირები კიდევ დაინგრა. ამის გამო წყლით გარშემორტყმულია სიმესში 500 კაცი. და მანსურში 900 კაცი. იუწყებიან, რომ უკანასკნელთა გადარჩენა შეუძლებელია. (ადს).

გაფიცვა

ოქროს სამრეწველოებში

ლონდონი, 17 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტრანსვაალში დამთავრდა მუშათა გაფიცვა, რომელიც 29 აპრილს დაიწყო ოქროს სამრეწველოებში. უთანხმოება, რომელმაც გამოიწვია გაფიცვა, მოგვარებულ იქნება მუშათა წარმომადგენლებისა და ოქროს სარეწაოს დირექციის მოლაპარაკებით (ადს).

აჯანყება ალბანეთში

ანგორა, 16/5 გაზ. „იკდამის" კორესპონდენტის ცნობით, ტრიპოლიტანიის (ჩრდილოეთ-აფრიკა) აჯანყებულების ბრძოლა იტალიელების წინააღმდეგ, იტალიის საექსპედიციო კორპუსის ორი თვის წინააღმდეგობის შემდეგ, არაბების სრული გამარჯვებით დასრულდა. იტალიის ჯარები უწესრიგოდ გარბიან. სოფ. სელამუკში (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი აჯანყების რაიონში) აჯანყებულებმა იტალიელებს წაართვეს ოთხი ჯავშნიანი და 100 საბარგო ავტომობილი, დატვირთული სამხედრო მასალებით.

კორესპონდენტი სწერს: „ეს პატარა ქვეყანა თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებს იმ ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრებას, რომელშიც ის ჩააყენეს იტალიელებმა". აჯანყება არაჩვეულებრივის სისწრაფით ფართოვდება.

გაურღვეველი სალტე

მრავალ წლების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ კაპიტალისტების ცდა გაერღვიათ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის კედელი, ფუჭი ოცნებაა. ეს არ უნდა დაივიწყონ ჟენევის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა, როცა ისინი აყენებენ საკითხს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

უცხოეთის გაზეთებიდან.



უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის ნოტა ინგლისის მთავრობას

მოსკოვი, 17 მაისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 17 მაისს საბჭოთა კავშირის მთავრობის ნოტა გაეგზავნება ინგლისის მთავრობას სავაჭრო წარმომადგენლობაზე და არკოსზე ლონდონის პოლიციის თავდასხმის გამო. (ადს).

ვრანგელის მოგზაურობა

ვენა, 16 მაისი. ბუდაპეშტის გაზეთები იუწყებიან, რომ ბელგრადიდან გამომგზავრებული ვრანგელი შეჩერდა ბუდაპეშტში, სადაც იგი მიიღეს ბეტლენმა და ხორტიმ, რომლებთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ქონდა (ადს).

ქალთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 მაისი. ბაზელის კანტონში (შვეიცარია) ქალთა საარჩევნო უფლების საკითხზე რეფერენდუმის დროს წინააღმდეგ მისცა ხმა 15.000 კაცმა, ხოლო მომხრე აღმოჩნდა 6.000. ეს წინადადება შეტანილი იყო კანტონალური პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის მიერ. პარლამენტში ამ წინადადებამ უმრავლესობა მიიღო. (ადს).

გადასახადის „რეფორმა“

პრაღა, 16 მაისი. პარლამენტმა პირველი წაკითხვის დროს მთავრობის პარტიების 140 ხმის უმრავლესობით ოპოზიციის 110 ხმის წინააღმდეგ მიიღო მთავრობის კანონპროექტი საგადასახადო რეფორმების შესახებ. საგადასახადო რეფორმა მთლიანად მიმართულია მშრომელების წინააღმდეგ (ადს).

საბჭოთა ხელოვნების გამოფენა

ტოკიო, 16 მაისი. გუშინ ტოკიოში დიდის ზეიმით გაიხსნა საბჭოთა ხელოვნების გამოფენა.

გერმანელი პიონერები ლენინგრადში

ლენინგრადი, 17 მაისი. გერმანიის ბავშვთა დელეგაციის ჩამოსვლის გამო გაიმართა ლენინგრადელ პიონერების დიდი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2.000 ბავშვმა.

„10 დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“

ლენინგრადი, 17 მაისი. 17 მაისს, ღამით გადაღებულ იქნა ზამთრის სასახლის აღების სცენა სურათისათვის, „10 დღე, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“. სურათის გადაღებაში მონაწილეობა მიიღო კრონშტადტიდან მოსულმა კრეისერმა „ავრორამ“, ჯავშნოსნებმა და არტილერიამ, კრეისერიდან გასროლილ იქნა რამდენიმე ყუმბარა.

საკავშირო სახკომსაბჭოს დირექტივა

მოსკოვი, 17 მაისი. საბჭოთა კავშირის საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფისა და, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობის დარგში გეგმიანი დავალებების დაუბრკოლებელი შესრულების მიზნით, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—თვალყური ადევნოს იმას, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლები და უცხოეთის ბაზარზე გამოსვლის უფლების მქონე სამეურნეო დაწესებულებები უცხოეთში საერთო წესით აწარმოებდენ ოპერაციებს, საგარეო ვაჭრობის დარგში მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს აქვს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა და სადაც უზრუნველყოფილია კომერციული ოპერაციების დაუბრკოლებელი და ნორმალური მსვლელობა. გამონაკლისი საერთო წესიდან დასაშვებია მხოლოდ საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ნებართვით, ისიც იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გამონაკლისი ნაკარნახევი იქნება მნიშვნელოვანი სამეურნეო მოსაზრებებით და ამა თუ იმ სავაჭრო ოპერაციის თავისებურობით. (ადს).

საციებელის აგება ბათომში

მოსკოვი, 16 მაისი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად სცნო დაუყოვნებლივ შეუდგეს ღონისძიებათა შემუშავებას ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის მაქსიმალური განვითარებისათვის. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა სათანადო ორგანოებს მიღებულ იქნეს ზომები მაცივარის ააგებად ბათომში. მაცივარი აგებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1928 წლისა. (ადს).

სხვადასხვა

მიწის - ძვრა

ბერლინი, 17 მაისი. 16 მაისს სამხრეთ-სლავიაში მოხდა მიწის-ძვრა, რომელმაც დიდი პანიკა გამოიწვია. ბელგრადში ძალიან დაზიანდა გარეშე საქმეთა სამინისტრო. მიწის-ძვრამ იმსხვერპლა 6 კაცი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენცია

ნაუენი, 16 მაისი. ვენაში გაიხსნა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთაშორისო კონფერენცია (ადს).

ქარიშხალის მსხვერპლნი

ნიუ-იორკი, 16 მაისი. ქარიშხალის დროს, რომელიც ამას წინედ გადაიარა ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებზე, დაიღუპა 255 კაცი. შტატ მისურის ერთ-ერთ ქალაქში დაიღუპა 103 კაცი (ადს).

მფრინავების დაღუპვა

ლონდონი, 16 მაისი. „დეილი მეილი“-ს პარიზელი კორესპონდენტის აზრით, ამჟამად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მფრინავები ნუნჟესერი და კოლი დაიღუპენ ატლანტის ოკეანეში. მიუხედავათ ამისა საფრანგეთის სამხედრო გემები მაინც განაგრძობენ მათ ძებნას სოუტგემპტონსა, ლანდსენსა და შერბურგს შორის. აეროპლანები კი—პორტლენდ-ბეისა და სენტ-კეტრინ-პოინტომის რაიონებში, სადაც, ზოგიერთი ცნობებით, ინგლისურ გემს უნახავს დაღუპული აეროპლანი (ადს).

ვიოლეტა ჯიბსონი

ლონდონი, 16 მაისი. ვიოლეტა ჯიბსონი, რომელიც თავს დაესხა მუსოლინის, ცნობილ იქნა შეშლილად, რის გამო არ შეიძლება მისი გასამართლება, და ამიტომ ის ინგლისში გაგზავნეს (ადს).

ახალი სიყალბის წინ

ინგლისის პოლიციის ბანდიტური თავდასხმა „არკოსზე“ კვლავ სადღეისო სალაპარაკო საგანს წარმოადგენს ევროპისათვის. ის არ არის მარტო მწვავე სკანდალი ან და გააფთრებულ „შუბლმაგართა“ მორიგი ისტერიკა. თავდასხმები, რომლებსაც ამასთან ერთად თან სდევს სეიფების გატეხვა და უხეში მოპყრობა საბჭოთა დაწესებულების მუშაკებისადმი, ინგლისელ კონსერვატორების პოლიტიკაში წარმოადგენენ არა „ექსცესს“, არამედ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ საბჭოთა კავშირმა შესწყვიტოს ურთიერთობა ინგლისთან და გამოიწვიოს ომი.

საბჭოთა კავშირსა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ თავდასხმის ნამდვილი აზრი: რომ ინგლისის იმპერიალისტები ამზადებენ ახალ ომს და, რომ მშვიდობიანობის საქმე საფრთხეშია.

შუბლმაგართა მუშაობა, ომის გამოწვევისაკენ მიმართული, მარტო მუშების ერთსულოვან აღშფოთებას როდი იწვევს. თვით ბურჟუაზიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გულგრილად ვერ უყურებს ლონდონის პოლიციის თავდასხმას. ეს განსაკუთრებით სამრეწველო ბურჟუაზიის იმ ნაწილს შეეხება, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა დაკვეთებით და საბჭ. ბაზრით. შეეხება ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელსაც არ დავიწყებია კოლჩაკსა და დენიკინზე ტყუილ-უბრალოდ დახარჯული მილიარდი მანეთები და, რომელსაც აღარ სურს ჩაერიოს ახალ, ჩირქის მომცხებ და ძვირ ავანტიურებში.

სამრეწველო ბურჟუაზიის ამ ნაწილს მხარს უჭერს წვრილი ბურჟუაზია, რომლის ხმასაც, როგორც ვიცით, აქვს დიდი გავლენა საპარლამენტო არჩევნებზე. გაიფანტა ის ბურუსი, რომელიც კონსერვატორებმა დააყენეს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. წვრილი ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ კონსერვატორებს არა თუ არ შესწევთ წინა საარჩევნო დაპირებების შესრულების უნარი, არამედ დარწმუნდა, რომ კონსერვატორების მთავრობა ძალიან ძვირია, რომ ძალიან ძვირი ჯდება ამ მთავრობის პოლიტიკა. კონსერვატორების დამარცხება უკანასკნელი წლების დამატებითი არჩევნებზე მოწმობს იმას, რომ წვრილი ბურჟუაზია თანდათან მარცხნივ იხრება.

არაფერი გასაკვირალი იქნება, თუ მთავრობა, რომელმაც ყალბი საბუთების გზით ჩაიგდო ძალაუფლება ხელში, ყალბი საბუთის საშუალებით შეეცდება თავის პრესტიჟის შენარჩუნებას და გავლენის განმტკიცებას. პირობები, რომელშიაც მოხდა „არკოსის“ ჩხრეკა, ძალაუნებურად მიიყვანს ამ აზრამდე თვით გულუბრყვილო ადამიანსაც კი. „არკოსის“ შენობაში შეჭრილმა პოლიციელებმა პირველ რიგში გამოყარეს ყველა მოსამსახურეები გასაჩხრეკავ ოთახებიდან. მხოლოდ მეორე დღეს, ე. ი. მთელი დღე და ღამის განმავლობაში პოლიციის თარეშის შემდეგ, პოლიციამ თავხედურად მისცა წინადადება ზამმელს და სუნდუკოვს, რომ მოწმეების სახით დასწრებოდენ ჩხრეკას უკვე გაჩხრეკილ ოთახებში. დამტკიცებულია, რომ პოლიციის აგენტები ჩხრეკის დროს რაღაცას ჰბეჭდავდენ საწერ მანქანებზე და სთხზავდენ რაღაც საიდუმლო მახინაციებს (დამახინჯებულია). ყველაფერი ეს ძალაუნებურად გვაფიქრებიებს იმას, რომ „არკოსში“ პოლიცია შეიჭრა არა იმისთვის, რომ იქ აღმოეჩინა რაღაცა, ჩვენი ჩირქის მომცხობი დოკუმენტები, არამედ იმისთვის, რომ ეს დოკუმენტები შეეთხზა. შუბლმაგარი „ჯენტლმენი“ არ შეჩერდება ყოველგვარი უკანასკნელი აფიორის წინაშე, ოღონდ „წითელ საფრთხეს“ გადაარჩინოს ცივილიზაცია და წესრიგი.

მაგრამ უკვე საკმაოდ შერყეულია კონსერვატიულ ყალბი საბუთების რეპუტაცია და ძალიან საეჭვოა, რომ ამ შემთხვევაში ისინი გამოდგენ რამოდენიმედ დამარწმუნებელ პოლიტიკურ არგუმენტად. ამით აიხსნება თავდასხმის მომწყობთა აბნეულობა და ნერვიულობა. ჯოინსონ ხიკსმა ვერ მოახერხა რამოდენიმედ გარკვეული პასუხის გაცემა მისთვის პარლამენტში გაკეთებულ მრავალ შეკითხვაზე, ვინაიდან მისი კოლეგა საგარეო საქმეებში, ჩემბერლენი განაგრძობს დუმილს. სამაგიეროდ გაზეთ „სენდეი ექსპრესში“ ცინიზმით აღსავსე ინტერვიუთი გამოვიდა სკოტლანდ იარდის საგანგებო განყოფილების უფროსი ჩაილდსი. ამ ობერთავდამსხმელმა განაცხადა, რომ „ორში ერთი: მოსახანი დოკუმენტი ან „არკოსშია“, ან და ის იქ არ არის. თუ ის იქ არის, მაშინ, ცხადია, პოლიცია ვალდებულია ამოქმედდეს. თუ ის იქ არ არის, მაშინ ჩხრეკისათვის წინააღმდეგობის გაწევით, „არკოსის“ ხალხმა გაიფუჭა საქმე“-ო. მისტერ ჩაილდსის ეს „ორში ერთი“ — შუბლმაგართა ლოღიკის საუკეთესო ნიმუშია.

მისტერ ჩაილდსიც კი აღარ მალავს, რომ „არკოსზე“ მოხდენილი თავდასხმა სრულიად არ წარმოადგენს მთავრობის არქივებიდან „დაკარგული სიგელის“ პოვნის ცდას. თავდასხმა იმ აზრით არის მოწყობილი, რომ უფრო დაამძიმონ ატმოსფერა, გაართულონ მდგომარეობა, გაუძნელონ საბჭოთა მთავრობას ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, გამოიწვიონ მასთან კავშირის გაწყვეტა და ახალი ყალბი საბუთების საშუალებით გზა გაუკაფონ ახალ დანაშაულებრივ ავანტიურებს. ამ საზიზღარი ხრიკის გამომჟღავნება ამჟამად წარმოადგენს ყველა კომუნისტის, მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ძირითად ამოცანას და პირდაპირ მოვალეობას.

კონსერვატორების მთავრობამ თავისი 32 თვის ბატონობის განმავლობაში შეასრულა ყველაფერი შესაძლო და არა შესაძლო, რომ თავისი თავი წარმოედგინა როგორც უსასტიკესი და თავაშვებული ბურჟუაზიული დიქტატურის მთავრობა. საყოველთაო და სამათმადნო მუშათა გაფიცვის მაგალითით, პროფკავშირების შესახებ კანონის დამტკიცების მაგალითით ის უმტკიცებს მუშებს, თუ ვის იარაღს წარმოადგენს ბრიტანეთის ქებული დემოკრატია. უკანასკნელი ამბები გაკვეთილი იქნება ინგლისის მუშებისა და მთელი ქვეყნის მშრომელებისათვის. ეს გაკვეთილი ასწავლის მათ, რომ სანამ ძალაუფლება ბურჟუაზიის ხელშია, მანამდე მსოფლიო იქნება მუდმივი საფრთხის ქვეშ, კაცობრიობა ყოველთვის შეიძლება ჩათრეულ იქნას ახალ განმანადგურებელ ხოცვა-ჟლეტაში.

ამჟამად დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთად ერთი ძალაა, რომელიც იბრძვის მშვიდობიანობისათვის, ეს ძალაა — საბჭოთა კავშირი. ბრძოლა საბჭოთა კავშირისათვის — ამავე დროს არის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. შუბლმაგართა ცდას—მშვიდობიანობის ჩაშლის ცდას—უნდა დაუპირდაპიროთ ყველა ქვეყნის მშრომელთა ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი, 17 მაისი.

უცხოეთში

გერმანელი მენშევიკები—მონარქისტები

ვილჰელმ ჰოჰენცოლერნის უკანასკნელმა კანცლერმა ბადენის პრინცმა მაქსმა საქმეები ჩაიბარა 1918 წ. 1 ოქტომბერს, ვილჰელმის გადადგომის დღეს—9 ნოემბერს კი მან დაუთმო ადგილი ს.-დ. ებერტს.

ახლახან გამოქვეყნებული პრინც მაქსის მოგონებები, დაწერილი მის მიერ კანცლერის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს. ამ მოგონებებიდან სჩანს, რომ გერმანიის ს.-დ. პარტიის ბელადები რევოლუციის შიშით მზად იყვნენ დაეცვათ მონარქია.

ბადენის პრინცი სწერს: „ებერტში მე არ მოვტყუებულვარ. მე ვიცოდი, რომ ის მონარქიის წინააღმდეგი არ არის. თავისი ფრაქციის სხდომაზე, რომელიც იმავე დღეს შესდგა, მან განაცხადა, რომ ამ საბედისწერო დღეებში პარტიის მოვალეობაა მთელი ძალღონით დაეხმაროს გერმანიის ხალხს. ამ თვალსაზრისის დაცვის დროს მას უთანხმოებაც კი მოუვიდა შეიდემანთან, რომელიც ამბობდა, რომ „მონაწილეობა საქმეში, რომელსაც მარცხი მოელის, საშიშია“.

1918 წ. 15 ოქტომბერს პრინცი სწერს ბადენის ჰერცოგს: „რევოლუცია უკვე დაიწყო. თუ მოვახერხე მისი დამშვიდება—მაშინ ზავის ჩამოგდების შემდეგ ჩვენ კიდევ შევძლებთ არსებობას, როგორც სახელმწიფო. თუ ვერ მოვახერხე—მაშინ—რევოლუცია, ქაოსობა და დაღუპვა... ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ ვიხსნი კაიზერსა და ჰოჰენცოლერნების დინასტიას... მადლობა ღმერთს, რომ სოციალ-დემოკრატებს შორის მე მყავს მომხრეები, რომელთა ლოიალობის იმედი, ყოველ შემთხვევაში ჩემს მიმართ, მე მაქვს. მათის დახმარებით, მე ვიმედოვნებ, რომ კიდევ შევძლებ კაიზერის ხსნას“.

8 ნოემბერს, როგორც ვიცით, კაიზერი დასთანხმდა გადადგომაზე, რის წინააღმდეგ წინადღით გადაჭრით ილაშქრებდა. ორი დღით ადრე პრინცმა ინახულა ებერტი და აცნობა მას კაიზერთან მოლაპარაკების გეგმა: „თუ მე დავითანხმე კაიზერი, შემიძლია, თუ არა დაიმედებული ვიყვე, რომ თქვენ იქნებით ჩემს მხარეზე ბრძოლაში სოციალური რევოლუციის წინააღმდეგ“,—ჰკითხა პრინცმა ებერტს, რაზეც უკანასკნელმა უპასუხა, რომ კაიზერის გადადგომის შემდეგ მას იმედი აქვს, რომ მასებს მთავრობის მხარეზე გადაიყვანს.

შეიდემანი ამჟამად საჯაროდ ბრალდებს, რომ ებერტი მას უსაყვედურებდა რესპუბლიკის გამოცხადებას. მაშასადამე, ებერტს უნდოდა როგორმე გადაერჩინა მონარქია. ერთი სიტყვით, როცა სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა დაინახეს, რომ მუშებსა და ჯარისკაცებს არ სურთ მონარქია, არამედ მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკას, ებერტმა და შეიდემანმა გასწირეს მონარქია ბურჟუაზიული წყობილების გადასარჩენათ.

ბ. ლ.

მუშათა მოძრაობა

სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეერთებულ შტატებში

სამუშაო დღის ხანგრძლივობა შეერთებულ შტატებში არ არის მოწესრიგებული საერთო სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. კონსტიტუცია არ აძლევს უფლებას ფედერალურ (ე. ი. შეერთებული შტატების ცენტრალურ მთავრობას) განსაზღვროს სამუშაო დრო. მთავრობას შეუძლია მოაწესრიგოს მხოლოდ ფედერალურ დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა. 1912 და 1918 წლის კანონებით შემოღებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღე ფედერალურ მუშა-მოსამსახურეების ყველა კატეგორიებისათვის, სახელდობრ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკებისათვის, სახელმწიფო ქარხნების მუშებისათვის, და სხვ. შემდეგში მოხერხდა ამ კანონის გავრცელება აგრეთვე იმ რკინისგზების მუშა-მოსამსახურეებზე, რომლებიც ერთი შტატის ტერიტორიის ფარგლებს სცილდებიან, მაგრამ კანონს ამის შესახებ აქვს შენიშვნა, რომლის ძალით „საჭიროების დროს“ შეიძლება რკინისგზელების სამუშაო დროის გადიდება ათ საათამდე.

უფრო ფართე ადგილი აქვს დათმობილი სამუშაო დროის მოწესრიგების საკითხს ცალკე შტატების კანონმდებლობაში.

28 შტატში რკინისგზელებისათვის დაწესებულია მაქსიმალური სამუშაო დღე—16 საათი დღეში. 11 შტატი ტრამვაელების სამუშაო დღეს 12 საათით განსაზღვრავს. 15 შტატში მემადნეებისათვის დაწესებულია 8 საათის სამუშაო დღე, ერთ შტატში (მერილენდი)—10 საათი.

„განსაზღვრულია“ ქალების სამუშაო დღე, რომლის ხანგრძლივობა ცალკე შტატებში ძლიერ მერყეობს. სამხრეთ-კაროლინაში იგი უდრის 12 საათს, ჩრდილოეთ-კაროლინაში—10 საათს, ტენესის შტატში—10 ნახ. საათს. ყველაზე მცირე სამუშაო დღე (9 საათი) არის კოლორადოს, მონტანას, ვაშინგტონის, არიზონას, ნევადას, კალიფორნიას და უტახის შტატებში და კოლუმბიას ოლქში. 1925 წ. ცნობებით, გიორგიის შტატში 8 საათზე მეტს დღეში მუშაობდა წარმოებაში ჩაბმულ ქალების 98,5 პროც., სამხრეთ-კაროლინაში—94,2 პროც., ალაბამაში—87,5 პროც. ინდიანში—86,7 პროც., ეს ციფრები რამდენიმეთ ნაკლებია ნიუ-ჯერსის (48,4 პროც.). მერილენდის (48 პროც.) და როდ-აილენდის (31,8 პროც.) შტატებში.

მცირეწლოვანთა სამუშაო დღე განსაზღვრულია 35 შტატში. მცირეწლოვანთათვის დაკანონებულია 8 საათის სამუშაო დღე.

საერთოდ და ოფიციალურად კანონი აწესრიგებს მხოლოდ მუშების ერთ მეხუთედის სამუშაო დროს. მუშების დიდი უმრავლესობის სამუშაო დრო განსაზღვრულია კოლექტიურ ხელშეკრულებებით. ოფიციალური სტატისტიკური ცნობები სამუშაო დღის შესახებ არ მოიპოვება. პერიოდული გამოკვლევები, რომელსაც ახდენს მრეწველობის ნაციონალური საბჭო (მწარმოებლების ორგანიზაცია) და ცნობები, რომლებიც ქვეყნდება შრომის სამინისტროს ორგანოში „მონზლი ლეიბორ რევიუ“, შემდეგ სურათს იძლევიან:

პენსილვანიის შტატის ანტრაციტის მაღაროებში, სადაც 150.000 მუშა მუშაობს, როგორც კანონით, ისე კოლექტიურ ხელშეკრულებებით დაწესებულია 8 საათის სამუშაო დღე. მაგრამ მაღაროების ნაწილში, სადაც პროფკავშირის წევრები მუშაობენ, თვითნებურად შემოღებულია 9 საათის სამუშაო დღე.

ნახშირის მრეწველობაში, რომელიც 30 შტატის ტერიტორიაზე მოიპოვება, მუშაობს 700.000 მუშა. უმრავლესობის სამუშაო დღე 8 საათს უდრის. სამთო მრეწველობაში (41.000 მუშა) სამუშაო დღე უდრის 9; 9 ნახ. და 10 საათს დღეში.

ლითონის მრეწველობაში (250.000 მუშა) სამუშაო დღე მეტად ხანგრძლივია. ასე, მაგალითად, თვით მრეწველების ცნობებით, 1924 წ. მუშების 38 პროცენტი მუშაობდა 10—14 საათს დღეში, 54 პროც.—8 ნახ. —10 საათს და მხოლოდ 8 პროც.—8 საათს დღეში. სამუშაო დღის ასეთი არაჩვეულებრივი ხანგრძლივობა ლითონის მრეწველობაში იმით აიხსნება, რომ 250.000 მუშიდან მხოლოდ 25.000 (10 პროც.) არის გაერთიანებული პროფკავშირში.

ლითონის დამმუშავებელ მრეწველობაში სამუშაო კვირა 1925 წ. შეადგენდა 51,5 საათს, საავტომობილო მრეწველობაში—50,3 და ქიმიურში (1924 წ.) 54,5 საათს.

საფეიქრო მრეწველობაში სხვადასხვა სამუშაო დრო არსებობს სამხრეთ და ჩრდილოეთ შტატებში. ჩრდილოეთში სჭარბობს 8 საათის სამუშაო დღე და 45 საათის სამუშაო კვირა. სამხრეთში—9—9 ნახ. საათი დღეში.

600.000 საამშენებლო მუშების უმრავლესობა პროფკავშირშია გაერთიანებული. ამიტომ 8 საათის სამუშაო დღე მრეწველობის ამ დარგში თითქმის დაკანონებულია.

საკვებ პროდუქტების მრეწველობაში მუშები მუშაობენ დღეში საშუალოდ 8 ნახ. საათს. ტყავის მრეწველობაში სამუშაო კვირა უდრის 48—50 საათს, ქაღალდის მრეწველობაში—54 საათს.

საერთოდ მწარმოებლების და შრომის სამინისტროს ცნობით სამუშაო დღის ხანგრძლივობა ასეთ სურათს იძლევა: მშრომელთა 20 პროც. (უმთავრესად ქალები და მცირეწლოვანები) მუშაობენ 48 საათზე ნაკლებს კვირაში, 35—40 პროც. მუშაობს 48 საათს კვირაში, 48—54 საათს კვირაში მუშაობს მშრომელთა 30—35 პროც., 54 საათზე მეტს—10 პროც.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საგარეო ვაჭრობა

მოსკოვი, 17 მაისი. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1926—27 წლის პირველ ნახევარში ევროპის საზღვარზე უდრის 619 მილ. მანეთს, აზიის საზღვარზე — 68.760.000 მანეთს. ორივე საზღვარზე აქტიური სალდო უდრის 122.880.000 მანეთს. (ადს).

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა

მოსკოვი, 17 მაისი. 16 მაისს გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა მე-6-ე საკავშირო ყრილობა. ყრილობას სტუმრების სახით ესწრებიან გერმანიის და ბელგიის ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები. მიღებულია მისალმებები საფრანგეთის და ავსტრიის ხელოვნების მუშაკთა ორგანიზაციებისაგან. (ადს).

სახელმწიფო სესხის პოპულიარიზაცია

მოსკოვი, 17 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის სავალიუტო სამმართველომ სახელმწიფო სესხის პოპულიარიზაციის მიზნით გამოაცხადა კონკურსი შემდეგ თემაზე დაწერილ საუკეთესო ბროშურაზე: მეფის და საბჭოთა სესხი—პრემია 300 მან.; რისთვის უშვებს საბჭოთა მთავრობა სესხს და რატომ არის სასარგებლო მისი შეძენა?—400 მ.; მესამე საგლეხო სესხი—პრემია 250 მ.; პრემიის გარდა ავტორი მიიღებს ჰონორარს. მასალის ჩაბარების ვადა არის 10 ივნისი. (ადს).

ჯანმრთელობის სახკომისრების თათბირი

მოსკოვი, 17 მაისი. დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარების თათბირი. თათბირმა გამოიმუშავა იმ სანიტარულ-ეპიდემიურ ღონისძიებათა შესრულების წესრიგი, რომელნიც გამომდინარეობენ საერთაშორისო სანიტარული კონვენციიდან. (ადს).

ამხ. კამენევას დაბრუნება

მოსკოვი, 16 მაისი. მოსკოვში დაბრუნდა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. კამენევა, რომელიც საზღვარგარეთ იყო გამგზავრებული უცხოეთის და საბჭოთა კავშირის საზოგადოებებს შორის კავშირის დასამყარებლად. (ადს).

ავიო-ლატარია

მოსკოვი, 17 მაისი. თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება—ავიოქიმმა კიზილ-ორდიდან მიიღო დეპეშა, რომ თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის ლატარიის მსოფლიოს ირგვლივ გადაფრენის მესამე მოგება შორისო სანიტარული კონფედერაციიდან. (ადს).

ამხ. ვოროშილოვი კიევში

კიევი, 17 მაისი. უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების დასათვალიერებლათ ჩამოვიდა ამხ. ვოროშილოვი, რომელსაც სადგურზე შეეგება ამხ. ბუდიონი, უკრაინის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი ამხ. იაკირი და საპატიო ყარაული გარნიზონის ყველა ნაწილებიდან.

ამხ. ვოროშილოვმა სამხედრო კურსებზე გააკეთა მოხსენება წითელი არმიის მიმდინარე ამოცანების შესახებ (ადს).

ბალტიის ფლოტი

ლენინგრადი, 17 მაისი. 15 მაისს, კრონშტადტში მოხდა ბალტიის ფლოტის საზღვაო ძალების დათვალიერება საზაფხულო კამპანიის დაწყების წინ.

ზეიმს დაესწრო მოსკვიდან ჩამოსული **ამხ. ენუქიძე**, სამხედრო და საზღვაო სარდლობის წარმომადგენლები და ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის, საგუბერნიო კომიტეტის და საგუბ. პროფსაბჭოს წევრები. სტუმრებმა მიიღეს პატაკი ბალტიის ფლოტის უფროსის **ამხ. ვიქტოროვისაგან** და შემდეგ მოტორიანი ნავით შემოუარეს გემების ხაზს.

კრეისერ „ავრორა“-ზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა **ამხ. ენუქიძემ**.

„საერთაშორისო ჰორიზონტზე — განაცხადა მან — მდგომარეობა მეტად გართულებულია. მთავრობა და პარტია მოგიწოდებთ თქვენ იყვეთ ფრთხილად სადარაჯოზე“.

ამხ. ენუქიძის სიტყვაზე პასუხი გასცა ამხ. ვიქტოროვმა, რომელმაც მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბალტიის წითელი ფლოტი ყოველ წუთში მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ყველა მტრებს. (ადს).

სამოსწავლო ნაოსნობანი

ლენინგრადი 17 მაისი. 16 მაისს დილით, ბალტიის ფლოტი გავიდა სამოსწავლო ნაოსნობაში. კუნძულ გოგლანდის ახლო გაიმართა სამხედრო ოპერაციების იმიტაცია. 17 მაისს ფლოტი მივიდა რეველამდე, გამობრუნდა უკან და დაბრუნდა საზაფხულო ბაზაში.

1927 წ. გადაფრენები

მოსკოვი, 16 მაისი. 1927 წ. დიდი გადაფრენების მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კამენევმა აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს, რომ სრულიად ბუნებრივია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც იჩენს საბჭოთა საზოგადოებრიობა 1927 წ. გადაფრენის მიმართ. ის გადაფრენები შეამოწმებენ ჩვენი სამხედრო ავიაციის ახალგაზრდა შემადგენლობის თვისობრივ ღირსებას. გადაფრენაში მონაწილეობას მიიღებს წითელი სკოლის 12 მფრინავი. გადაფრენა დაიწყება 19 ივნისს, მხოლოდ ისეთი ვარაუდით, რომ ცხრა მიმართულებით გაფრენილი 12 აეროპლანი 19 ივნისის 18 საათზე დაეშვან მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე. ყველა აეროპლანები საბჭოთა კონსტრუქციისა და მათზე დადებული საბჭოთა მოტორებიც.

რაც შეეხება დასავლეთ-ევროპის და შორეულ-აღმოსავლეთის გადაფრენას, ის დაიწყება აგვისტო-სექტემბერში. მასშიც საბჭოთა კონსტრუქციის და საბჭოთა მოტორიანი აეროპლანები მიიღებენ მონაწილეობას (ადს).

ოცდა ცამეტი მილიონი მან.

რ. ს. ფ. ს. რ.-ის სასოფლო მეურნეობას

მოსკოვი, 16 მაისი. 13 მაისს რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახალხო კომისართა საბჭომ განაწილა 33 მილ. მანეთი, რომელიც წელს გადადებულ იქნა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. ყველაზე დიდი თანხები გადაიდო სასოფლო-სამეურნეო ბანკს საკრედიტო ოპერაციების განსავითარებლად, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა ძირითად კაპიტალების გასაძლიერებლად, ღარიბ გლეხობისათვის კრედიტების მისაწოდებლად, მელიორაციისათვის და სხვ. (ადს).

ფასების დაკლების კამპანია

ამხ. მიქოიანის განცხადება

მოსკოვი, 17 მაისი. საბჭოთა - სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირის ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **მიქოიანმა**, რომელმაც გააშუქა ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობა.

„სამწუხაროდ—სთქვა მიქოიანმა, — ჩვენ ამ თვეების განმავლობაში ვერ მივაღწიეთ აუცილებელ შედეგებს ფასების დაკლებისათვის მუშაობაში, თუ ენერგიული ზომები არ იქნა მიღებული, მაშინ ვერ შესრულდება დირექტივა ფასების 10 პროცენტით დაკლების შესახებ. აუცილებელია ზეგავლენა მოვახდინოთ ქვედა საფეხურის კოოპერატიულ ორგანოებზე. მასები ჯერ-ჯერობით საკმაო აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ კამპანიაში. საბჭოთა - სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირმა, უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინა, ვიდრე სხვა კავშირებმა. ყველა ძალებს უნდა მოუხდინოთ მობილიზაცია, რომ კოოპერაციას გავატარებინოთ ფასების დაკლება. უნდა გვახსოვდეს, რომ ფასების 10 პროცენტით დაკლება არაა საბოლოო მიზანი. გარდა ამისა, თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ ფასების დაკლებას თან არ სდევდეს საქონლის ხარისხის გაუარესება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მასების და ყველა მოსამსახურეთა კონტროლის საშუალებით“. (ადს).

დადგენილება

შრომის გმირების შესახებ

მოსკოვი, 16 მაისი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკავშირო ცაკის და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება შრომის გმირების შესახებ, რომელიც რ. ს. ფ. ს. რესპ. მთავრობის სახელით შეტანილ იქნა საკავშირო საკანონმდებლო ორგანოებში. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმი სცნობს, რომ პენსია შრომის გმირებს უნდა მიეცეს ფაქტიური ხელფასის არანაკლებ სამი მეოთხედის რაოდენობით. შრომის გმირების პენსია სავსებით უნდა იქნას განთავისუფლებული საშემოსავლო გადასახადისაგან. მეურნეობა, რომელთანაც არის დაკავშირებული შრომის გმირი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადში სარგებლობს 25 პროცენტის შეღავათით.

ლითონის მრეწველობა

ხარკოვი, 17 მაისი. კიჩკასიდან დაბრუნებულმა ამხ. **კუიბიშევმა** მონაწილეობა მიიღო „იუგოსტალის“ ქარხნების მმართველთა და მთავარ ინჟინერთა თათბირში.

„იუგოსტალის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **კასიორმა** გააკეთა მოხსენება სამხრეთის მეტალურგიის მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს მეტალურგიული ქარხნების მმართველებმა და მთავარ ინჟინერებმა. გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ სამხრეთის მეტალურგიისათვის გაცემული საშუალებები არ არის საკმარისი, რადგან ისინი არ იძლევიან წარმოების ტეხნიკის გაუმჯობესების საშუალებას. ორატორებმა აღნიშნეს, აგრეთვე, ტეხნიკური პერსონალის ნაკლებობა, საქმის დაუშვებელი გაჭიანურება საზღვარ-გარეთულ მოწყობილობის მიღების დროს, და სხ.

ბოლოს გამოვიდა ამხ. კუიბიშევი, რომელიც შეეხო სხვადასხვა ცალკე საკითხებს, პროდუქციის თვითღირებულებას და თანხების მიწოდებას.

უკანასკნელი საკითხის შესახებ კუიბიშევმა განაცხადა, რომ დღემდე გადადებული თანხების რაოდენობა დამოკიდებული იყო მრეწველობის რიცხვობრივი პროდუქციისაგან, შემდეგში თანხების რაოდენობა უმეტეს წილად დამოკიდებული იქნება პროდუქციის ღირსებისა და მისი თვითღირებულების დონისაგან. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

გერმანელი მრეწველები ბაქოში

ბაქო, 17 მაისი. ბაქოში ჩამოვიდა გერმანიის დიდი მექანიკური ქარხნის „ზულცერის“ დირექტორი გერვაგონი, რომელიც საქაჩავებს ამზადებს აზნეფტისათვის. მისი ჩამოსვლის მიზანია ადგილობრივ გაეცნოს მანქანების ხარისხს.

„მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა გერვაგონმა,—რომ ჩვენი საქმიანი კავშირი საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანოებთან, რომელთა შორის პირველ რიგში სდგას აზნეფტი, ყოველ წლობით განვითარდება და განმტკიცდება“. (ადს).

ნავთის შადრევანი

ბაქო, 17 მაისი. შუბაში აღმოხეთქა ნავთის ძლიერმა შადრევანმა, დღეში 2 ათასი ფ. რაოდენობით. პუტის სარეწაოებში კვლავ ამოდის ნავთი 6.000 ფ. რაოდენობით დღეში. (ადს).

ხანძარი ფაბრიკაში

განჯა, 16 მაისი. ჩითის ქარხანაში გაჩნდა ხანძარი. დაიწვა ბენზინის და ზეთის ნაწილი, დაზიანდა დინამო-მანქანა და ტრაქტორი. ზარალი 10.000 მან. უდრის (ადს).

სავილიევას მკვლელები დახვრეტილია

ბაქო, 14 მაისი. 14 მაისს ღამით, სისრულეში იქნა მოყვანილი აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს განაჩენი გალია სავილიევას მკვლელთა საქმეზე (ადს).

სომხეთი

თანხები კოოპერაციისთვის

ერევანი, 17 მაისი. სომხეთის სახელმწ. საგეგმო კომისიამ დაადგინა, სომხეთის კოოპერაციისათვის გადადებული თანხებიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მიეცეს 80.000 მან., სამომხმარებლო კოოპერაციას—45.000 მან., შინამრეწველობის კოოპერაციას—25.000 მან. (ადს).

პარტიული ცხოვრება

შვებულებაში მიმავალთა მომზადების შესახებ

ზაფხული გაძლიერებული შვებულების პერიოდია. ამ ხნის განმავლობაში სოფელს მოეფინება მრავალი მუშა-მოსამსახურე და მოსწავლე ახალგაზრდობა.

პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შვებულებაში მიმავალთა მუშაობას სოფლად. წარსულმა წლებმა ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილებაც მოგვცა. ჩვენ ვიცით თუ რა ნაკლი ახასიათებდა წარსულში შვებულებაში მიმავალთა მუშაობას, ამისათვის საჭიროა პარტიულ ორგანიზაციებმა აქედანვე მიიღონ ზომები, რათა დასასვენებლათ მიმავალნი მიზანშეწონილად იქნან გამოყენებული სოფლისა და ქალაქის კავშირის განსამტკიცებლად.

პირველყოვლისა ისმება საკითხი ახსნა-განმარტებითი მუშაობის შესახებ. ხშირად ხდება, რომ სოფლად მიმავალი მუშა ან მოსამსახურე საკმაოთ ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში, მან იცის რა არის ჟენევის კონფერენცია, ვინ არის ჩემბერლენი და მუსოლინი, რას წარმოადგენს ერთა ლიგა და სხვა, მაგრამ ამავე ამხანაგები თითქმის არაფერი იციან სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხებზე. ან უკეთეს შემთხვევაში თუ რამე იციან, ეს ცოდნა საერთო ხასიათისაა. მათ ზოგადი წარმოდგენა აქვთ საბჭოთა საგადასახადო პოლიტიკაზე და საბჭოების მუშაობის შესახებ, მაგრამ არ იციან ამ საკითხების დეტალები, რომელნიც ასე აინტერესებს გლეხკაცობას.

ხშირათ ქალაქიდან ჩასული აქტიური და პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული მუშაკი პირში წყალდაგუბებული დგას, როცა გლეხი მას ეკითხება სას.-სამ. გადასახადის ცალკე დეტალების შესახებ, როცა მისგან მოითხოვენ ახსნა-განმარტებას გაყოფის, თვითდაბეგვრის და სოფლის სხვა ყოველდღიურ პირად და საზოგადო საქმეების შესახებ.

ამიტომ, სანამ კიდევ შვებულების სეზონი სათანადოთ არ გაშლილა, პარტუჯრედებმა უნდა დასვან საკითხი შვებულებაში მიმავალთა მომზადების შესახებ. თითქმის ყველა უჯრედს მოეძებნება საამისო ინტელიგენტური ძალები, რომელნიც წინასწარ შეისწავლიან სოფლისათვის საინტერესო რამდენიმე მთავარ საკითხებს და შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს სათანადო ახსნა-განმარტებას მისცემენ. პოლიტიკურათ და კულტურულათ გათვითცნობიერებულ შვებულებაში მიმავალ მუშა-მოსამსახურისათვის არც ისე ძნელი იქნება ამ საკითხების შეთვისება.

პარტუჯრედებმა უნდა დასვან თავიანთ კრებებზე შვებულებაში მიმავალთა მომზადების საკითხი და უნდა დასახონ საამისო პრაქტიკული საშუალებები.

ბ. დ—ი.

რა სთქვა საქ. ა. ლ. კ. კ. მეორე კონფერენციამ

12 მაისს დამთავრდა მუშაობა საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის მეორე კონფერენციამ. ამ კონფერენციის მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომკავშირის წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში მონაწილეობის საკითხებს, ცენტრალურ ამოცანად დააყენა ეს საკითხები და მის ცხოვრებაში გასატარებლად გამოიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი და სახელმძღვანელო დირექტივები.

შეგნებული დამოკიდებულება წარმოების საკითხებისადმი, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ყოველმხრივ ხელის შეწყობა წარმოების გაუმჯობესებისათვის და შრომის ნაყოფიერების აწევისათვის—აი ძირითადი ამოცანა, რომელიც დასმული არის ქალაქების უჯრედების წინაშე. კავშირის მასის დაინტერესება სოფლის მეურნეობის განვითარებით, მისი კულტურული მოწყობით და ტეხნიკური გაუმჯობესებებით და რაც უმთავრესია კომკავშირელის პირადი ინტერესების დაკავშირება საზოგადოებრივ ინტერესებთან, ინდივიდუალური მეურნეობის აწევის დაკავშირება მეურნეობის კოოპერატიულ განვითარების ინტერესებთან.—აი ძირითადი ამოცანა, რომელიც დასმულია კომკავშირის წინაშე სოფლად.

თუ გლეხობა ზოგჯერ უნდობლობის თვალით უყურებს მეურნეობის ახალ საფუძველზე გადახალისებას, ეს არ ითქმის ახალგაზრდობასა და განსაკუთრებით კომკავშირულ მასების შესახებ. ეს უპირატესობა ახალი თაობისა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარებისათვის. ამ მიმართულებით იმ თავითვე უნდა იქნეს გადადგმული უფრო გაბედული ნაბიჯები იმ დადგენილებათა მიხედვით, რომელიც შემოღებული იქნა მეოთხე კონფერენციის მიერ.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი მასიური კულტურული მუშაობის შესახებ. კონფერენციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მასიური კულტურული მუშაობა უნდა გახდეს მშრომელი ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის მთავარ იარაღად. ახალგაზრდობის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მესამე თაობის კომუნისტურ აღზრდას.

პიონერთა ორგანიზაციაში ამ ჟამად ადგილი აქვს ერთგვარ კრიზისს, რაიც გამოწვეული არის ორგანიზაციის მუშაობის ძველი ფორმებით და მეთოდებით.

მესამე თაობის ლენინურ აღზრდას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება როგორც მუშაობის გადახალისებით, ისე ხელმძღვანელობის გაძლიერებით.

ასეთია კომკავშირის ძირითადი ამოცანები ორგანიზაციის განვითარების მიმდინარე პერიოდში.

პარტიის იდეური ხელმძღვანელობით და დახმარებით კომკავშირი შესძლებს ყველა ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ა. შეროზია.

საკავშირო ა. ლ. კ. კ. ამ.-კავ. მე-2 კონფერენცია

17 მაისის დილის სხდომა

ამხ. რახმანოვის მოხსენება

კონფერენციამ მეორე სხდომაზე მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია — ლონდონში არკოსსა და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის გამო. შემდეგ ა.-კ. საოლქო კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. რახმანოვი.

უკანასკნელი წელში ა.-კ. ორგანიზაციის ძირითად ამოცანას — დაიწყო ამხ. რახმანოვმა—წარმოადგენდა კომკავშირის მოძრაობის ცენტრალური პრობლემის გადაჭრა, რომელიც კავშირის წინაშე დასვა პარტიის მე-14 და საკ. ა. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობების მიერ. ეს პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ მთელი საკავშირო მუშაობა გადაკეთებული იყო ახალგაზრდობის მასების მოთხოვნილებათა ზრდასთან შეფარდებით. ა.-კ. კომკავშირი თავის მორიგ კონფერენციაზე შეიკრიბა აქტიური ბალანსით. ჩვენი კავშირის განვითარების ორი ეტაპი უკვე განვლეთ: პირველი — ეს ის, რომ მუშაობის გადასახალისებლად მიღებულ იქნა მხოლოდ დადგენილებანი, და ჯერ - ჯერობით არაფერი გაკეთებულა, და მეორე — ის, რომ იყო მხოლოდ მუშაობის მეთოდების გადაკეთების ცალკე ფაქტები. უმთავრესი მიზეზებს, რომელნიც ხელს უშლიდენ და უშლიან ჩვენი კავშირის მუშაობის ახალ ფორმებში ჩამოყალიბებას, როგორიც არის გულგრილობა და კონსერვატიზმი თანდათან ბოლო ეღება.

ა.-კ. კომკავშირი ფეხდაფეხ მისდევს პარტიას, რაც მან დაამტკიცა თავის ერთსულოვან გამოსვლით ოპოზიციის წინააღმდეგ. ჩვენი მუშაობის გარდასაქმნელად პირველი ნაბიჯები გადადგეს პროლეტარულმა ორგანიზაციებმა. დღეს კომკავშირის უჯრედები ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდენ და წარმოების რაციონალიზაციისა და მომჭირნეობის რეჟიმის საუკეთესო გამტარებლად ითვლებიან.

კულტურულ მუშაობის წინსვლაში გვაქვს დიდი მიღწევები, კონკურსები სხვადასხვა მესაკრავეთა შორის, კოლექტიური სიარული კინოში — ფოტოგრაფისტთა წრეები და სხვ. ეს კულტურული მუშაობის ახალი ელემენტებია, რომლებიც თანდათან დიდ სიმპატიას იპყრობენ ჩვენს კავშირში. მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ფართოდ ვერ გადავეშვით მუშაობის ახალ სისტემაში. გარდა ამისა ჩვენ ჯერ კიდევ ბრძოლა გვიხდება ისეთი შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ამბობს, რომ კომკავშირმა დაჰკარგა პოლიტიკური ორგანიზაციის სახე და ის კულტურულ ორგანიზაციად იქცევა. არასოდეს პოლიტიკა კულტუროსნობიდან არ გამოგვიყვია. მჭიდრო კავშირი, კულტურული მუშაობის — პოლიტიკურთან იყო და იქნება ჩვენი კავშირის კულტურულ მუშაობის სახე.

სოფლად ფრიად სასიხარულო მოვლენებს აქვს ადგილი: სოფლის კომკავშირი იღებს მხურვალე მონაწილეობას სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებასა და სოფლის კოოპერაციის საქმეში. განვლილ საბჭოთა არჩევნებიდან კავშირი განმტკიცებული პოზიციებით გამოვიდა. რას მოწმობს საბჭოებში კომკავშირელთა რიცხვის გაზრდა?

მოჯამაგირეთა და ღარიბებს შორის მუშაობა ჯერ კიდევ მოიკოჭლებს. ამ საკითხს და გლეხური ახალგაზრდობის სკოლების საკითხს კომკავშირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ახალგაზრდობის შრომის საკითხებს. მოზარდთა რიცხვი—პროფესიონალურ კავშირთა წევრებისა ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 2 პროცენტით. საქარხნო - საფაბრიკო სკოლებში შესაძლებელია, კვალიფიციური ძალების და წარმოების მოთხოვნილებათა შორის არსებულ წინააღმდეგობათა მოსპობა. ეკონომიურ მუშაობას ვერ აქვს დათმობილი საჭირო ყურადღება. უფრო დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდა მშრომელის სულიერი განწყობილება და ეკონომიური მოთხოვნილებანი.

ფხიზელი ყურადღების მიპყრობა — ეკონომიური მუშაობისადმი — ჩვენი კავშირის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. კავშირის ახალი მუშაობის წარმატებითი მსვლელობისათვის და მისი ახალ ფორმებში საბოლოოდ გარდაქმნისათვის საჭიროა კონკრეტიული ხელმძღვანელობა. ა.-ლ. კ. კავშირის საოლქო კომიტეტის ყურადღება სწორედ აქეთ იყო მიპყრობილი. რამდენიმე უჯრედის მუშაობის გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაცია ეწევა მხოლოდ „ზოგად“ ხელმძღვანელობას, რაც ასუსტებს მუშაობას. გადადის რა კავშირის ზრდის საკითხზე, ამხ. რახმანოვი აღნიშნავს, რომ მთელი კავშირი ითვლის თავის რიგებში 143.955 წევრს. ზრდა კავშირისა უმთავრესად მიმდინარეობდა გლეხურ ახალგაზრდობის ხარჯზე. ღატაკ გლეხობის მიზიდვა კავშირში უმნიშვნელოა.

მეორე უარყოფითი მხარე ზრდის საქმეში მუშური კადრის შემცირებაში მდგომარეობს. ა.-კ. საწარმოო რაიონებში ჯერ კიდევ ვერ არის კომკავშირში ჩაბმული მუშური ახალგაზრდობა. ეს მომავალში ცილებლად უნდა მოგვარდეს. მტკიცე კურსი უნდა ავიღოთ მუშური ახალგაზრდობისა და ღატაკ გლეხობის კომკავშირში ჩაბმისაკენ, რომლის გარეშე, რასაკვირველია, ძნელია პროლეტარული ხელმძღვანელობის შენარჩუნება. ეხება რა იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის საკითხებს — მომხსენებელი ამბობს, რომ ჩვენი მოქმედება ამ დარგში არ უნდა შესუსტდეს, პირიქით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მუშაობას. ა.-კავკასიის პირობებში, სადაც შემჩნეულია, რომ ჩვენ მტრებს სურთ შეიტანონ ჩვენს რიგებში დეზორგანიზაცია.

ამხ. რახმანოვის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. სხდომის დასასრულს კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. ზინოვიევის უკანასკნელი გამოსვლის გამო.

17 მაისის საღამოს სხდომა

კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გამო

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. რახმანოვის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ეგიაზაროვმა, ასლანოვმა, არუტინოვმა, აზნაურიანმა, რუბენმა, ნურიევმა.

კონფერენციას მიესალმა ა.-კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტ - სამმართველოს უფროსი ამხ. რატნეკი.

ამხ. რატნეკის სიტყვა

ნება მიბოძეთ — ა.-კ. წითელ დროშოვან არმიისაგან გადმოგცეთ მხურვალე სალამი — დაიწყო ამხ. რატნეკმა. წითელი არმია 120.000 კომკავშირელს ითვლის თავის რიგებში, რომელიც დიდ ძალას წარმოადგენს არმიაში, რომელიც საუკეთესო გამტარებელია პარტიის გავლენისა წითელარმიელთა მასებში. ჩვენი კომკავშირის სამხედრო ორგანიზაცია არმიის აღმშენებლობაში უდიდეს როლს თამაშობს. საჭირო, ამას კომკავშირის სამოქალაქო ორგანიზაციაც არ ჩამორჩეს და წითელარმიის გარეშე დარჩენილ [illegible] საქმეში მუშაობა [illegible] გადასხდ[illegible]ვას.

[illegible] სამხედრო საქმეებზე ლაპარაკი. მან უნდა ნათლად წარმოიდგინოს, რომ ჩვენი გასამხედროების ძირითადი მიზანს — მთელს დედამიწის ზურგზე ერთად ერთი პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვა წარმოადგენს. მით უმეტეს კაპიტალისტური სახელმწიფოები გაფაციცებით ემზადებიან და მათ ჯარის გარეშე მყოფ ახალგაზრდობის გასამხედროებაში დიდი მიღწევები აქვთ.

ამხ. რუბენის სიტყვა

ამხ. რუბენი შეეხო ამიერ - კავკ. განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობას და სხვათა შორის სთქვა, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მენშევიკი ვითომდა მხოლოდ საზღვარ გარეთ იყვეს მოკალათებული. შესაძლებელია ის ჩვენთან ახლოც იყოს სადმე. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ კომკავშირმა უფრო გააღრმაოს მუშაობა კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცების დარგში; რათა მას შეეძლოს გარკვევა ანტილენინურ პარტიების ბუნებისა.

დასასრულ ამხ. რუბენი ამბობს, რომ პარტიამ საჭიროა თავის მხრივ უფრო გაუძლიეროს კომკავშირს ხელმძღვანელობა, კომკავშირიც თავის მხრივ ვალდებულია მეტი ინიციატივა გამოიჩინოს, უფრო მეტათ დაინტერესდეს—მჭიდროდ პარტიასთან და თავისი ინიციატივით დასვას გადასაჭრელად მიმდინარე საჭირბოროტო საკითხები.

რა დაადგინა

თბ. კომიტეტის სამდივნომ

11 მაისის სხდომაზე სამდივნომ განიხილა საკითხი თბილისის კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

სამდივნომ საჭიროდ სცნო თბილისის კომიტეტის წევრების და კანდიდატების ჩაბმა ქვედა პარტორგანიზაციების და მუშაობის სხვადასხვა დარგის გამომკვლევ კომისიებში. ამის გამო დაადგინა: გაფართოებულ იქნას ორგთათბირების, აგიტკოლეგიის და ქალთა კოლეგიის შემადგენლობა თბილისის კომიტეტის ამ წევრთა, და კანდიდატების საშუალებით, რომლებიც არიან ჩაბმული წარმოებაში. უჯრედების ან დაწესებულებათა მოხსენების დროს ორგთათბირზე, სამდივნოზე, პრეზიდიუმზე მოწვეულ იქნან თბილისის კომ-ის წევრები ან კანდიდატები, რათა მათ მიიღონ მონაწილეობა საკითხების განხილვაში.

გამოყოფილ იქნას თეკას წევრთა ერთი ჯგუფი რომელიც უნდა მიმაგრებულ იქნას თბილისის მაზრის თემკომებზე. მათ ევალებათ არა ნაკლებ ორ თვეში ერთხელ გაემგზავრონ მიმაგრებულ თემში.

ჩაბმულ იქნან თეკას წევრები და კანდიდატები საინფორმაციო აქტივში სხვადასხვა კამპანიების ჩატარების ინფორმაციის მიზნით; განსაკუთრებით იმ წარმოება-დაწესებულებებში, რომელშიაც ამხანაგი მუშაობს. სააგიტაციო განყოფილებას დაევალა გამოიყენოს ცეკას წევრები და კანდიდატები უჯრედებში სხვადასხვა კამპანიების ჩატარების დროს მოხსენების გასაკეთებლად. ვინაიდან შემჩნეულია, რომ, საერთოთ თეკას წევრები და კანდიდატები არ აყენებენ თბილისის კომიტეტში საკითხებს, რომლებიც თხოულობენ სპეციალურ შესწავლას ან და თბილისის კომიტეტის მიერ სათანადო ზომების მიღებას, საჭიროა, რათა მომავალში თეკას წევრებმა და კანდიდატებმა დასვან თეკაში ასეთი საკითხები წინასწარ თეკას განყოფილებებში დამუშავების შემდეგ. იმ მიზნით, რათა უფრო უკეთ დამუშავდეს საკითხები და ფართეთ იქნან ჩაბმული მუშაობაში თეკას წევრები და კანდიდატები, საჭიროდ იქნა ცნობილი მუშაობის საკომისიო მეთოდის გაფართოება (კომისიების გამოყოფა სამდივნოს და პრეზიდიუმის მიერ).

რაიკომებს წინადადება მიეცა, თანახმად მიღებულ დადგენილებისა, გამოიმუშაონ პრაქტიკული წინადადებანი რაიკომების წევრთა და კანდიდატთა პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად.

ამის გარდა დამტკიცებულ იქმნა დებულება ორგკომისიების და პარტორგანიზატორების მუშაობის შესახებ. ეს ორი დებულება სპეციალურად დაიბეჭდება სტამბაში და შემდეგ დაურიგდება უჯრედებს.

ამ საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საკითხი გლეხების საპასუხისმგებლო სამუშაოზე წამოყენების შესახებ.

პირველ აგვისტომდე განზრახულია 10 გლეხის წამოყენება შემდეგი დაწესებულებებში: მიწათმოქმედების კომისარიატში, თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში; ცეკავშირში, სოფლის კავშირში; ფინსახკომში.

საორგ-განყოფილებას დაევალა აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და პროფორგანოებთან ერთათ გამორკვეულ იქნას ის თანამდებობანი, რომლებზედაც უნდა გაიგზავნონ გლეხები.

თემკომებს მიეცათ წინადადება, რათა მათ შეისწავლონ და გამოყონ შესაფერისი კანდიდატები.—თითო გლეხი თემიდან. კანდიდატები უნდა წარმოდგენილ იქნან 15 ივნისისათვის.

თემკომებს დაევალა აგრეთვე, რათა მათ გამოყონ გლეხების საპასუხისმგებლო სამუშაოზე წასაყენებელი რეზერვი, რომელიც უნდა შესდგეს ღარიბ-გლეხთა კრებების, საბჭოების, კოოპერატივის, სადელეგ. კრებების ირგვლივ თავმოყრილ აქტიურ გლეხებისაგან. შეძლებისდაგვარად უნდა წამოყენებულ იქნან გლეხები ადგილობრივ დაწესებულებებში; საბჭოებში, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანოებში იმ დროს, როდესაც ხდება ამ უკანასკნელთა გადარჩევა. რაც შეეხება არა ასარჩევ თანამდებობაზე წამოყენებას (მაგ. მილიციაში, სატყეო დარგის მომუშავენი, სათემო მასშტაბის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი და სხვ.), ასეთი უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უკანასკნელი მომუშავენი უვარგისნი არიან ან და ეს ადგილები თავისუფალი რჩება.

წამოსაყენებელი კანდიდატურების განხილვა უნდა ხდებოდეს, როგორც საერთო წესი, უჯრედების საერთო კრებებზე და მისი დამტკიცების შემდეგ, ეს საკითხი უნდა გადატანილ იქნას ღარიბ-გლეხთა და გლეხების აქტივის კრებებზე.

ი—ი.

საბჭოთა საზოგადოებრიობის პროტესტი

ინგლისელ კონსერვატორების პროვოკაციის წინააღმდეგ

საპროტესტო დემონსტრაცია

მოსკოვი, 17 მაისი. სვერდლოვსკიდან, ყაზანიდან, პერმიდან, პიატიგორსკიდან, სევასტოპოლიდან, დონის როსტოვიდან და სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები გრანდიოზულ საპროტესტო მიტინგების და დემონსტრაციების შესახებ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის წინააღმდეგ ლონდონში.

ჟიტომირი, 17 მაისი ჟიტომირის ყველა წარმოებებში შესდგა საპროტესტო მიტინგები ლონდონში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის წინააღმდეგ. (ადს).

საქართველოს მშრომელთა ხმა

ლონდონის ხუნხუზების წინააღმდეგ

რეზოლიუცია, რომელიც გამოიტანა ქ. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთო საქალაქო კრებამ მუშკორების, სამხკორების და პოლიგრაფიულ წარმოების მუშათა კავშირის აქტივის თანდასწრებით 1927 წ. 15 მაისს.

თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები, მუშკორები, სამხკორები და პოლიგრაფიული წარმოების მუშათა კავშირის აქტივი უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამენ იმ თავდასხმის გამო, რომელიც ლონდონელმა ხუნხუზებმა მოახდინეს არკოსის და საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის შენობებზე. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მშვიდობიან მუშაობას ეწევა სოციალიზმის დასამყარებლად, ინგლისის კონსერვატიული კაბინეტი შუბლმაგართა წაქეზებით დაუღალავად ცდილობს პროვოკაციის ანკესზე წამოაგოს მსოფლიოში ერთად - ერთი მშრომელთა სახელმწიფო.

თავის ქვეყანაში სახელგატეხილი კონსერვატიული მთავრობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას მიმართავს ყოველთვის, როცა მისი ნაბიჯები განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევენ ქვეყნის შიგნით. ამით ის ცდილობს ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მოაშოროს თავის დანაშაულებრივ პოლიტიკას. და ეხლა, როცა არა მარტო ინგლისის პროლეტარიატი, არამედ თვით ინგლისის ბურჟუაზიის ზომიერი წრეებიც აღშფოთებული არიან ტრედიუნიონიზმის დევნა - შევიწროებით, ლონდონის კაბინეტი კვლავ მიმართავს თავის ნაცად მეთოდს — უსირცხვილო პროვოკაციას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთ დღეებში მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი ჩვენთან არის. კრება დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა, შეინარჩუნებს რა თავის უცვლელ და მუდმივ მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ, გამოძებნის საშუალებას, რომ ღირსეულად წინ აღუდგეს ინგლისის რეაქციის გათავხედებულ აგენტებს და მათ იდეურ სულისჩამდგმელებს.

სად. ნავთლუღის რკინისგზელთა პროტესტი

16 მაისს სად. ნავთლუღის რკინისგზელთა კლუბში გაიმართა ამავე სადგურის მუშა-მოსამსახურეთა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 250 მუშა -მოსამსახურე. ინგლისის მთავრობის პროვოკაციული თავდასხმის შესახებ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ლომთათიძემ, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ამ პროვოკაციის ნამდვილი მიზეზები. მიტინგზე საპროტესტო სიტყვები წარმოსთქვა რამდენიმე მუშამ, რომელთაც ზიზღით მოიხსენიეს ინგლისის იმპერიალისტები მათი ადვირახსნილ მოქმედებისათვის.

დასასრულ, მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც სხვათა შორის ნათქვამია:

ინგლისის შუბლმაგართა უკანასკნელი პროვოკაციული მოქმედება აშკარად არღვევს იმ ხელშეკრულებას, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დასდო მასთან 1921 წელს. მიტინგი მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან, რომ მან მიიღოს გადამჭრელი ზომები თავაშვებულ არამზადების წინააღმდეგ.

ძირს ინგლისის „კულტუროსანი“ მთავრობის პროვოკაცია!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გაერთიანებულ ბრძოლას სისხლის მსმელ იმპერიალისტების წინააღმდეგ!

აფხაზეთის მშრომელთა პროტესტი

სოხუმი, 17 მაისი. აფხაზეთის პროფსაბჭომ გამართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ინგლისის პოლიციის თავდასხმის წინააღმდეგ „არკოსისა“ შენობასა და ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაზე ლონდონში.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ინგლისის კაპიტალიზმის პროვოკაციულ გამოწვევაზე აფხაზეთის მშრომელები აცხადებენ „ხელები შორს ფოლადისებურ ციხე-სიმაგრისაგან“ — საბჭოთა კავშირისაგან. საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან ერთად გამოდით ყველა, როგორც ერთი კაცი, ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც თავისი თავხედური გამოსვლებით ცდილობს ახალი ხოცვა-ჟლეტის ახალ საერთაშორისო შეჯახებების გამოწვევას“. (ადს).

საბჭოთა საქართველო

წერილები

თეატრი სოფლად

სოფელს ზაფხულობით ბევრი კულტურული ძალები ემატება. ამ დროს მოდიან სოფლად შვებულებაში მყოფი მუშა-მოსამსახურენი, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ამით სოფლის ცხოვრებაში ერთნაირი სიცოცხლე შეაქვთ. იშვიათ სოფელს ნახავთ ზაფხულობით, რომ ყოველ კვირა-უქმე დღეებში არ იმართებოდეს წარმოდგენები, საღამოები და სხვ. ამ საქმეს, რასაკვირველია, ჩამოსული ახალგაზრდობა და მუშა-მოსამსახურენი მეთაურობენ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გავა ზაფხული და შეწყდება პიესების დადგმაც, საღამოების გამართვაც და სხვ. ეს აიხსნება მით, რომ მეთაურები მიდიან სხვადასხვა ქალაქებში, სოფლად კი არავინ რჩება, რომ ეს საქმე გააგრძელოს ზამთარშიც.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს თითქმის ყოველ თემში შენდება კლუბი, სახალხო სახლი თუ თეატრი, რომ სოფელს საშუალება ექნეს მოაწყოს იქ სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელი კუთხეები, მართოს მთელი წლის განმავლობაში, და არა მხოლოდ ზაფხულობით, წარმოდგენები, საღამოები და სხვ. გლეხმა შეიგნო თეატრის მნიშვნელობა და ამიტომ ის დიდის კმაყოფილებით უწყობს ხელს ზამთარშიც წარმოდგენების დადგმას, თუ სამისო ძალები გამოინახება სოფლად. ამ საქმის მოსაგვარებლად საჭიროა, რომ ყოველ თემში მოეწყოს რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი დრამწრე. მოსწავლე ახალგაზრდებმა, რომელთაც კი აქვთ ამ დარგში ცოტაოდენი გამოცდილება, ზაფხულის განმავლობაში უნდა უხელმძღვანელონ ამ წრეებს, იმეცადინონ მათთან, რომ მომავალ ზამთარში ამ წრეებმა დამოუკიდებლად შესძლონ წარმოდგენების დადგმა. ეს საქმე უნდა ითავონ კომკავშირლებმა. პირველად ყოვლისა ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ სოფლის მასწავლებლები.

ამით ჩვენ ბევრად შევუწყობთ ხელს სოფლის კულტურულად ამაღლებას. გლეხს შევაჩვევთ კულტურულ გასართობებს, ჩამოვაშორებთ ძველ ზნე-ჩვეულებებს, წეს-ადათებს; გავანთავისუფლებთ მას სარწმუნოების კლანჭებისაგან.

ი—ი.

მევახშეობა ჩვენში
(სენაკის მ.).

მიუხედავათ იმისა, რომ საკრედიტო ამხანაგობები ჩვენში გვარიანათ მუშაობენ, მევახშეობამ მაინც ფართე ხასიათი მიიღო ჩვენში. მევახშემ დაიპყრო უმთავრესად ღარიბი გლეხი. ის ღარიბი გლეხი, რომელსაც საკრედიტო ამხანაგობა არც კი ენდობა—ეშინია: ფულს წაიღებს, ვერ გადაიხდისო. ბევრ შემთხვევაში ასეთ გლეხს ძალიან ნაკლებათ ეძლევა სესხი საკრედიტო ამხანაგობიდან; ვადის გაგრძელებაზე და სხვაგვარ ხელისშეწყობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! ღარიბი ამ შემთხვევაში გაშლილ კარებს მევახშის ოჯახში ხედავს, ართმევს მას თუმანს მანეთად თვეში და მის ბადეში ეხვევა. გლეხი გრძნობს, რომ მას უჭირს სარგებლის გადახდა, მაგრამ მაინც იღებს, რადგანაც იმის იმედი აქვს, რომ ვადა აქვს და ერთხელ მაინც გადაიხდის სესხს.

მევახშეობა რომ ფართედ გავრცელდა; ამას ამტკიცებს ის ციფრი, რომელიც მივიღეთ საბჭოთა არჩევნების დროს მევახშეების შესახებ. მაზრაში 158 მევახშე ყოფილა.

ნამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთი მევახშე თავნზე თავნს იღებს გლეხისგან სარგებლად. როგორც ვხედავთ დამაფიქრებელია ეს საკითხი. დამაფიქრებელი იმ მხრივ, რომ რაც მეტი დრო გადის, უღარიბესი გლეხობა, მით უფრო ებმება მევახშის კლანჭებში.

ვამბობთ, რომ საკრედიტო ამხანაგობები ბეგილებზე უხვევენ იმ გეზს, რომელიც მოცემული აქვთ მათ უღარიბეს გლეხობის შორის სამუშაოდ.

საჭიროა ისე მოეწყოთ საქმე უღარიბეს გლეხს საკრ. ამხანაგობაში, რომ სესხიც მიიღოს და მისი გადახდაც შესძლოს.

ბ. უჩანეიშვილი.

დრამატიული წრე დავაარსეთ
(გამოჩინ. თემი, ქუთ. მ.).

ამ თემში საკმაოთ მოიპოვებიან ინტელიგენტური ძალები, მასწავლებლობა და სხვა მოსამსახურენი. წარმოდგენები იდგმებოდა ამდენხანს მათ მიერ ადგილობრივ „ეპო"-ს მუშა-მოსამსახურეთა კლუბში, მაგრამ მათ არ ჰყავდათ ხელმძღვანელი წრე. ამას წინეთ შესდგა დაინტერესებულ თეატრის მოყვარე პირთა კრება, რომელმაც იმსჯელა ამის შესახებ და აირჩია დრამწრე სამი პირისაგან. სცენის მოყვარენი საკმაოთ მოიძებნებიან, რომელნიც არ იზარებენ მუშაობას. ჩვენ ვფიქრობთ, ეს წრე მომავალში გააფართოვებს მუშაობას და უფრო შეაყვარებს ადგილობრივ გლეხობას ხელოვნებას. მხოლოთ აღსანიშნავია ის, რომ კლუბი ძლიერ პატარაა და ვერ იტევს ყველა მაყურებელს. ამ მოკლე ხანში ესეც დაძლეული იქნება. ეწყობა ოთხწლედის შრომის სკოლა, რომელის დარბაზი ძლიერ დიდია, სადაც შეიძლება გაიმართოს წარმოდგენებიც.

სან-კანი.

—**უპატრონო კუთხე.** პირველ რაიონში გოგებაშვილის და გურამიშვილის ქუჩებზე საღამოობით აყარებული ავარები იყრიან თავს. ღამით გავლა ამ ქუჩაზე შეუძლებელია.

საჭიროა დაინიშნოს ამ კუთხეში ერთი მილიციონერი, ან მეეზოვე.

ახკორი ვასო.

მღვდელსა და დიაკვანს არ მოსწონს
(სოფ. ჩილიკაური, შორ. მაზრა.)

აპრილის 29 რიცხვს ჩილიკაურის ოთხწლედის შენობაში მოხდა საზოგადო კრება. სადაც გამოცხადდა ხალხის დიდი უმრავლესობა.—სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა „ძველი დღესასწაულების გადაგდების შესახებ. უკანასკნელზე დიდ ხანს გაგრძელდა სჯა-ბაასი და ურთიერთ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა.. მრავალმა მოქალაქემ ხაზგასმით აღნიშნა თუ რა უზომო ზარალის და განადგურების გზაზე აყენებს გლეხობას ქონებრივათ და ფიზიკურათაც ძველთაგან უაზროთ დადებული ე. წ. კაპ-დღეები: ამაღლება, მარიობა, შვიდმაისი, გიორგობა და ქაშვეთობა. „ღვინით გაბრიყვებულ კაცს ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ" დაიწყო ერთმა გლეხმა. შარშან, მარიობას დაიწყო მან, ძალზე გადამთვრალი ხალხი დაერიენ ერთმანეთს ხანჯლებით, კეტებით და ბოთლებით, ერთმანეთს თავები დაუმტვრიეს და სასამართლოში 20—25 სული სამი გზის დაგვიბარეს და საქმე ჯერაც დაუმთავრებელია.

ამას რო თავი დაებნებით დაიწყო მეორემ. გაძვალტყავებული ხალხი, რომელიც დღიურ საზრდოზე—კლავს თუ რამე გააჩნია: ყიდის თავის უკანასკნელ მარჩენალს და ყიდულობს. კრებაზე შემოპარულიყო სოფლის დიაკონი გერასიმე უკანასკნელს არ მოეწონა ხალხის აზრი, იფიქრა კოვზი ნაცარში მივარდებაო და იწყო: „ჩვენ ჩილიკაური ნუ შევირცხვენთ თავს, ნუ ჩამოვრჩებით სხვა სოფლებს. თორემ დიდ სირცხვილს ვჭამთო. გერასიმეს კიდევ ბევრი უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ ხალხმა აღარ აცალა. კრებამ ერთხმად და ერთსულოვნად გარდა გერასიმესი დაადგინა: ეთხოვოს შორ. სამაზაღმასკომს, რათა უკანასკნელმა თემაღმასკომის, პრესის და განცხადებების საშუალებით გამოაქვეყნოს, რომ ჩილიკაური ზემო ჩამოთვლილ კაპ დღეებს უარყოფს და ნაცნობი და მეგობარნი ნუ მობრძანდებიან—აქაურ ხუცებსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

აგერ წინეთ რამოდენიმე მკვდარი გასვენდა უმღვდლოთ. გლეხობა თანდათან რწმუნდება მათ მუქთახორობას და მატყუარობას. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მღვდელმა ორი ქალი თხოვა.

ამბროსი სალაძე.

გაგვიცოცხლდა ტარიელ მკლავაძე...
(მიქელ-გაბრიელის თ., გურია)

მიქელ-გაბრიელის თემში არსებობს 7-წლედი შრომის სკოლა, სადაც მასწავლებლად არის ტიტიკო მევანაძე. ეს პიროვნება მოგვაგონებს ნამდვილ ტარიელ მკლავაძის ტიპს, თავისი ზნედაცემულობით და გარყვნილი მოქმედებით, იშვიათია ისეთი დღე, რომ ეს პირი ტიტიკო მევანაძე ღვინით გალეშილი, ტალახში მოსვრილი, თვალებ გადაბრუნებული ყოვლად წარმოუთქმელი ლანძღვა-გინებით არ აზმედეს გამვლელ-გამომვლელებს. შემდეგ ვისმეს შეუხტება სახლში, მოითხოვს ქალებს, სადაც ნებით ვერას გახდება, იქ იჩენს ნამდვილ ტარიელ მკლავაძის მოქმედებას, ხმარობს ძალას და თუ ვინმემ არ მიუსწრო თავისი ზნედაცემული ალვირახსნილობით ნამუსს ახდის ოჯახში ქალებს.

15 მარტს, მიმდინარე წელს, მასწავლებელი ტიტიკო მევანაძე ჩვეულებრივათ მთვრალი მიუხტა ოჯახში ამავე სოფლის მცხოვრებს, რომლის სახლშიაც სცხოვრობდა მასწავლებელი ქალი. სახლის პატრონი წინ მიეგება მევანაძეს და სთხოვა, ნუ იკადრებდა ისეთ რამეს, რომ ულამაზო გამოსულიყო. მაგრამ სახლის პატრონის სიტყვებს მევანაძემ ყურიც არ ათხოვა და უბრძანა დაუყონებლივ ჩამოსცილოდა გზიდან და მიეცა მასწავლებელი ქალის ოთახში შესვლის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა ცხვირპირის დამტვრევას. სახლის პატრონი ბევრსა სთხოვდა, რომ სახლში ავადმყოფი დედა მყავს და მასთან პატარა ბავშვიო. მაგრამ ვერას გახდა. ძალით მიიტანა ტარიელისებური იერიში მასწავლებელ ქალის ოთახის კარებზე, მხოლოდ საბედნიეროდ კარები მაგარი აღმოჩნდა და ვერ შესძლო კარების ჩამტვრევა. გულ-გახეთქილი მასწავლებელი, ქალი, და ავადმყოფი დედა სახლის პატრონის, კინაღამ შიშისაგან დაიხოცნენ.

ხსენებული მევანაძე არც კი იცნობდა იმ მასწავლებელ ქალს, რადგან მასწავლებელი ქალი ახალი მოსული იყო ამ სკოლაში და ჯერ კიდევ გაუცნობელიც. მთელი ოთხი საათის განმავლობაში იკლო ოჯახი მასწავლებელმა მევანაძემ და ბოლოს, რომ ვერას გახდა, ლანძღვა-გინებით და მუქარით წავიდა. შემდეგ ესტუმრა ადგილობრივ თემის კოოპერატივს და იქ მყოფთ სულ ყველას აგინებდა და ლანძღავდა ყოვლად წარმოუთქმელი სიტყვებით.

ამის შემდეგ, რა უნდა ვიფიქროთ მასწავლებელ მევანაძეზე და მის მხარის დამჭერლებზე. ღირსია მევანაძე მასწავლებლობისა თუ არა?... როგორი მასწავლებელი არის ის და როგორ მომავალ თაობას გაგვიზრდის გურიის გლეხობას.

ვიმედოვნებთ, მასწავლებელი ტიტიკო მევანაძე მიიღებს საკადრის სასჯელს.

(ადგილის ენა.

ჩარჩები აილაგმენ
(თერჯოლა, შორაპ. მ.).

ჩხარის „ემოსის" გამგეობამ გააცხოველა მუშაობა, თერჯოლის განყოფილებაში ზღვადაა, როგორც წვრილმანი საქონელი, ისე ფართალი. გლეხობა მეტად ხელსაყრელ პირობებში იძენს აქ საქონელს. განყოფილების გაღონიერება მეტად ცუდ გუნებაზე აყენებს ადგილობრივ ჩარჩებს და სოფლად მოსიარულე ფართლით მოვაჭრეებს, რომლებიც ძვირად სოკოებივით იყვნენ გამრავლებული და გლეხების ნაოფლარით ჯიბეებს ფხეკდნენ. მათ იშვიათად შეხვდებით დღეს თერჯოლის თემში და, თუ შეხვდებით, ვინღა ვაჭრობს მათთან? „აქ არის ჩემი კოოპერატივიო" გაიძახის გლეხი და შეწუხებული ჩარჩი ძალაუნებურად გაბრუნდება უკან.

ჩხარის „ემოსი"-ს გამგეობის მიერ უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას ყურადღება. პირველი—თერჯოლის განყოფილებისათვის შესაფერი ბინის აღმოჩენა,

მეორე—სოფ. სიქთარვაში საჭიროა განყოფილების დაარსება. სიქთარვა ძლიერ დაშორებულია თერჯოლას და ვერ სარგებლობს თერჯოლას განყოფილებით. ვაჭრობაც ძლიერ კარგი იქნება სიქთარვაში, ვინაიდან სოფლის ცენტრი, სადაც იყო ძველი კოოპერატივი, (დღესაც საუცხოვო შენობაა კოოპერატივისათვის) დიდ გზებზეა და მოძრაობაც დიდია იქ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამგეობა, როგორც თერჯოლის განყოფილების, ისე სიქთარვის საქმესაც მოაგვარებს.

ვალ—ია.

მუშათა ცხოვრება

კომუნისტის მუშკორთა საყურადღებოთ

დღეს, საღამოს სრულ ხუთ საათზე, დანიშნულია მუშკორთა ჩვეულებრივი კრება. მუშკორებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ, რადგან სრულ ხუთ საათზე დაიწყება საგაზეთო წრის მეცადინეობა

რა გააკეთა თბილისის საუბნო კომიტეტმა

თბილისის საუბნო კომიტეტი აერთიანებს 14056 კავშირის წევრს. საუბნო კომიტეტს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მუშების პროფ. და სამეურნეო სამუშაოზე წამოყენებას. 1926 წ. წამოყენებული იყო 21 კაცი.

საუბნო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ მუშაობას.

კლუბში წარმოდგენები დაიდგა 947 ჯერ. აქედან 67 პროც. უფასო იყო. კლუბთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები, რომლებიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ.

საუბნო კომიტეტის განკარგულებაში არის სამი ბიბლიოთეკა. მოწყობილია აგრეთვე მოძრავი ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკაში ირიცხება 17.009 წიგნი, აქედან ქართული 4225, რუსული 127.39. ჩატარებულია წიგნების გამოფენა 31-ჯერ. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კლუბების გაფართოვებას ამ მიზნით პლეხანოვის კლუბთან შენდება კინო-თეატრები. დიდი მუშაობა სწარმოებს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, რომელიც ხელახლა შენდება ახალ გეგმაზე, რაც ჯდება 25000 მან.

უბანში ითვლებოდა 419 წერა კითხვის უცოდინარი და 409 მცირე მცოდნე. მათთვის მოეწყო 30 სკოლა. ცხრა სკოლიდან უკვე გამოუშვეს 236 მსმენელი, დანარჩენი სკოლებს ამ დღეებში დაამთავრებენ.

ა. სტრიშკო.

რა უშლის ხელს ქალაქის სადგურის მუშაობას

რკინის გზის ქალაქის სადგურების დაარსების მიზანია დახმარება გაუწიოს მშრომელ მასებს და ხელი შეუწყოს შინავაჭრობას. ქალაქის სადგურებს აარსებენ ისეთ სავაჭრო ცენტრებში, სადაც ხაზის სადგურები ვერ ასწრებენ დააკმაყოფილონ კლიენტების ყველა მოთხოვნილებანი. ქალაქის სადგურს აარსებენ აგრეთვე რკინის გზის ხაზიდან დაშორებულ სამრეწველო და სოფლის ნაწარმოებით მდიდარ უბნებში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დახმარებას უწევს ხალხს ქალაქის სადგურები სამრეწველო და მრავლად დასახლებულ ცენტრებში.

შევჩერდეთ იმ ქალაქის სადგურებზე, რომლებიც დაარსებული არიან ხაზიდან დაშორებულ უბნებში. მაგალითისთვის ავიღოთ ზაქათალის ქალაქის სადგური. ეს საოლქო ცენტრი,—ზაქათალა, 80 კილომეტრითაა დაშორებული რკინის გზის წნორის-წყალის სადგურიდან. ზაქათალის ოლქიდან ყოველწლიურად გამოაქვთ 500-600 რონოდა თხილი და კაკალი. ლაგოდეხის რაიონიდან გამოაქვთ 140-150 რონოდა თამბაქო. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა აღებ-მიცემობა წარმოებს ამ რაიონებში თხილის და თამბაქოს გამოზიდვის სეზონებში. საქონლის გამგზავნს და მიმღებს შეუძლია რკინისგზის ოპერაციები აწარმოვოს ადგილობრივ, ქალაქის სადგურის საშუალებით; მას არ სჭირდება თავის საქონელს გაყვეს წნორამდის, ოთხი-ხუთი დღე გზაში მოცდეს, შემდეგ წნორზე ელოდოს რიგს, თუ როდის გაგზავნიან მის საქონელს და როდის მიიღებს ის ბოლოს სატვირთო ბარათის ასლს (დუბლიკატს), ყოველივე ამას უკეთებს მას ქალაქის სადგური ადგილობრივ. გამგზავნი იქვე ღებულობს დუბლიკატს და მისი საქონელი ამის შემდეგ უზრუნველყოფილია.

ასევე იქცევა საქონლის მიმღებიც: არც კოოპერატიული დაწესებულებებს და არც კერძო პირებს აღარ სჭირდებათ თავისი კაცი იყოლიონ წნორზე, ანდა კერძო კომისიონერებს ჩაუყარონ თავისი საქონელი ხელში. ყველა თავის საქონელს ღებულობს ადგილობრივ, ქალაქის სადგურში. დანაკლისში, თუ ეს ნორმას აღემატება, პასუხისმგებელია რკინისგზა. რა თქმა უნდა, ყველა ამ ოპერაციებისთვის ქალაქის სადგური ღებულობს საკომისიოს, მაგრამ ეს საკომისიო მინიმალურია და თან განსაზღვრულია რკინისგზის სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციებით. აი, სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ იმ ხაზის სადგურებზე და უბნებში, სადაც კი არსებობს ქალაქის სადგური, კერძო კომისიონერებს ცუდათ აქვს საქმე. მიუხედავათ ამისა, აქ ერთ არანორმალურ მდგომარეობას აქვს ადგილი. გონიერი თვალსაზრისით ხაზის სადგურის ქმედებს და სადგურის უფროსებს უნდა უხაროდეს თავის სადგურთან ქალაქის სადგურის დაარსება, ვინაიდან ეს მათ უმსუბუქებს შრომას, ანთავისუფლებს ტვირთის გაგზავნის ოპერაციებიდან და ამით საშუალებას აძლევს მათ მეტი ყურადღება მიაქციონ მატარებლების მოძრაობას და თავიდან აიცილონ უბედური შემთხვევები. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი: დაარსდება თუ არა რომელიმე ხაზის სადგურზე ქალაქის სადგური—მას სასტიკ ბრძოლას უცხადებს ხაზის სადგური. ხაზის სადგური არაფერ საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ კი ხელი შეუშალოს ქალაქის სადგურის ნორმალურ მუშაობას, ავრცელებს ათასნაირ ჭორებს ქალაქის სადგურის შესახებ, არ აძლევს თავის დროზე რონოდებს, უკიდურესობამდი აჭიანურებს ფორმალურ მხარეებს, ერთი სიტყვით ხაზის სადგური ცდილობს გააქროს ქალაქის სადგური—ეს რკინის გზის ღვიძლი შვილი.

ამავე დროს კი ის (ხაზის სადგური), შეხმატკბილებული მუშაობს კერძო კომისიონერებთან და ტრანსპორტთან. აქ ძალა-უნებურად იბადება კითხვა: რატომ ცდილობს ხაზის სადგური გააქროს ქალაქის სადგური? საქმე შემდეგში ყოფილა: ქალაქის სადგურის არსებობა თურმე ამცირებს ხაზის სადგურის ზოგიერთ ქმედების „შემოსავალს". კლიენტებს საშუალება ეძლევა თავი დააღწიოს ამ „შემოსავლის" გაცემას და ის მიდის ქალაქის სადგურში. ამას კი ვერ ინელებს ხაზის სადგური. ის ეუბნება კლიენტებს: „ქალაქის სადგური დღეს თუ ხვალ დაიკეტება და ისევ ჩვენთან განახავ მოსულს"-ო. ამით კლიენტი ფრთხება, მან იცის რომ ქალაქის სადგურის საშუალებით მუშაობა მისთვის ხელსაყრელია, მაგრამ შიში, რომ ქალაქის სადგური მართლაც დაიხურება და მას მოუხდება ისევ ხაზის სადგურთან მუშაობა, საგონებელში აგდებს მას.

არა ერთი და ორი ქაღალდი და დეპეშები დაწერილა რკინის გზის სამმართველოსადმი ამ არანორმალურ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ასეთებს მაინც აქვს ადგილი.

ხაზის სადგურის იმ ქმედზე, რომელიც ხელს უშლის ქალაქის სადგურის მუშაობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქურდს ქუდი ეწვის*).

*). ზემოდ აღნიშნული არ ეხება წნორის სადგურს. წერილში ლაპარაკია იმ ბოროტებაზე, როგორც ზოგიერთ ხაზის სადგურებზე გავრცელებულ მოვლენაზე.

ქ. ბ—ძე.

ველით პასუხს

ა. წ. ცხრა მაისს მატ. № ოცზე ავჭალა-მცხეთის შორის ერთ მგზავრს აღმოაჩნდა შეუმოწმებელი რკინის გზის სასურსათო ბილეთი.

გამოირკვა, რომ ეს მგზავრი ყოფილა ვაჭარი მოსე ნადირაშვილი, რომელსაც ჰქონდა რკ. გზ. მეშვიდე უბნის მუშის არშაკ სადალაშვილის ბილეთი, მოწმობა და სხ. გამოირკვა ისიც. რომ სადალაშვილი თურმე მას ხშირად აძლევს ბილეთს და სამაგიეროდ ღებულობს ნახევარ ვედრო ღვინოს.

ველით ადგილკომის პასუხს!

ბ. უიშვილი.

ამხ. ბახშო ბალდასაროვის ხსოვნას

კვირას, 15 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა როზა ლიუქსენბურგის სახელობის თუთუნის ქარხნის მუშა ამხ. ბახშო ბალდასაროვი. ჯერ კიდევ 1896-1897 წლებში ჩაება ის მუშათა მოძრაობის ფერხულში. ის ენერგიულ მონაწილეობას იღებდა მუშათა გაფიცვებში. არ ყოფილა არც ერთი გამოსვლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელშიც მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. 1905-1906 წლებში ის გადასახლებული იქნა ბაქოში, სადაც განაგრძობდა მუშაობას. აქედან ამხ. ბახშო გადაისროლეს რუსეთის ცივ გუბერნიებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ის მშრომელ ხალხთან იყო, და ენერგიულად მუშაობდა. 1924 წლიდან ის ირიცხებოდა გაზეთ „კომუნისტი"-ს მუშკორთა წრეში. წასული წლის განმავლობაში მას ქარხანაში ფეხზე მძიმე ყუთი დაეცა და ცალი ფეხი მოჰკვეთეს. 15 მაისს კი ის სამუდამოდ გამოესალმა წუთისოფელს.

ამხ. ბახშოს სახით ჩვენმა ქარხანამ ერთ-ერთი ერთგული და პატიოსანი მუშა დაჰკარგა.

ა. ბაჯიაშვილი.

ხშირად გვავიწყდება მოვალეობა

ექვს მაისს, ღამე მცხეთიდან გავიდა მძიმე, საგზო მატარებელი სადგურ ქსანისაკენ. მცხეთიდან სამი-ოთხი ვერსის დაშორებით, რაღაც მიზეზით მატარებელს ბოლოდან აწყდა ოთხი ქვაბი. ეს გარემოება ვერავინ ვერ შეამჩნია დროზე.

მატარებელი ავიდა ქსანში. აქ მემანქანეს მისცეს კვერთხი (წასვლის ნიშანი) და ისიც გაუდგა თავის გზას კავთისხევისაკენ.

ქსანს ყავდა მცხეთაში გასაგზავნი მატარებელი და კიდევაც დაუპირა მას გაგზავნა, რომ ამ დროს ხაზე დარჩენილ რონოდების მემუხრუჭე მიდის მცხეთაში და ატყობინებს სადგურის მორიგეს, რომ ლიანდაგზე რონოდები დარჩა: მცხეთა დროზე იჭერს ქსანიდან წამოსასვლელად გამზადებულ მატარებელს. და მარცხი აღარ ხდება.

რატომ ვერ შენიშნეს ეს ქვაბების მოწყვეტა დროზე?

მატარებლის გაწყვეტაში ბრალს სდებენ ხოლმე მემანქანეს, მაგრამ მუდამ მემანქანე როდია დამნაშავე.

ყველაზე ადრე ქვაბების მოწყვეტა უნდა შეენიშნონ მემუხრუჭეებმა და მემანქანეს უჩვენონ შესაფერისი ნიშნები. ცოტა შემდეგ ეს გარემოება უნდა შეენიშნა მემანქანესაც. იმიტომ, რომ ბოლო რონოდებზე არის ხოლმე სანათი ნიშანი. რაკი ეს ბოლო რონოდის სანათი არ მისდევს მატარებელს. მემანქანემ ეს უნდა შენიშნოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მომხდარი ერთი გარემოება: ერთ-ერთ რონოდაზე მარჯვენა მხარეს მემუხრუჭეს დაეკიდა სანათი, რომელიც მემანქანეს ნიშანი ეგონა.

მეტი ბრალი მიუძღვის სადგურის მორიგეს. მასთან რომ მატარებელი მივიდა, მან გამოუტანა მემანქანეს კვერთხი. მისცა და მაშინვე შებრუნდა თავის კანტორაში. მისი მოვალეობა კი იყო, მთელი მატარებელი ჩაეთვალიერებია და გაეცილებია. როცა მას წინ ჩაირბენდა ბოლო რონოდა, რომლის ბოლო ნაწილი სამკუთხი წითელი სანათებით უნდა იყოს აღჭურვილი ის შეამჩნევდა, რომ განვლილ მატარებელს რონოდები აკლია.

სადგურ ქსანის მორიგემ ამრიგად ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა.

ვეცადოთ ნუღარ გამეორდება ასეთი დაუდევრობა და მოვალეობის დავიწყება.

ს. დოლიძე.

საყურადღებო წვრილმანი

— **ბოროტმოქმედებმა პასუხი უნდა აგოს.** რკინის გზის მთავარ საწყობში მსახურობს ვინმე პეტრე გლუშკოვი, რომელმაც ყალბი საბუთები შეადგინა იმის შესახებ, თითქოს დედა და და იმყოფება მის კმაყოფაზე. ამას გარდა, იგი სპეკულიაციასაც ეწევა. მთ. სახელოსნოს ადგილკომის საქმეა გამორკვევა.

მუშკორი ხარბანკი.

— **დაიცავით სანიტარული პირობები.** კახეთის ქ. სახლი № 55, ეზოში გაშენებულია ბაღი აუზებით. ბაღში ისეთი ანტისანიტარული მდგომარეობაა, რომ მის ახლოს ქუჩაზეც შეუძლებელია გავლა.

სანიტკომისიავ, მიაქციე ყურადღება.

ხერგეთელი.

— **რათ არ იღებენ კავშირის წევრებად?** კომუნალურ ქ. № 22-ში ცარიელი ტომრებით ვაჭრობენ: გ. ალიევი, მ. თაროევი და ნალიბოვი რომლებსაც დაქირავებული ყავთ შვიდი ქალი. მათ არა აქვთ მუშაობის განსაზღვრული დრო.. ხელფასიც მცირე აქვთ. ისინი კავშირში არ ირიცხებიან. პროფკავშირებში არ იღებენ იმ მიზეზით, რომ ისინი ტომრებს კერვენ. განა სულ ერთი არ არის ცარიელ ტომრებს კერავს ადამიანი თუ აბრეშუმს? შრომა ხომ შრომაა?

ნიკო მკერვალი.

— **რით აიხსნება?** ცენტრალურ ქალთ. მუშფაკი წელს მეორედ აწყობს რუსეთში ექსკურსიას, მაგრამ მეოთხე კურსის მსმენელები ექსკურსიაზე არ მიჰყავთ. რით აიხსნება ეს?

მუშფაკელი.

— **დავითაშვილი გვავიწროვებს** ქ. ცეტკინის ქ. სახლი № 25-ში ცხოვრობს ვინმე მ. დავითაშვილი, რომელიც მდგმურებს მოსვენებას არ აძლევს.

ლვინკითელი.

— **ზაალიშვილი თავხედობს.** თბილისის სახ. უნივერსიტეტის შენობაში ცხოვრობს ვინმე ზაალიშვილი, რომელიც ძალზე ავიწროვებს ქვემო სართულში მცხოვრებ უნივერსიტეტის დარაჯ ამხ. მაჭავარიანის ოჯახს.

სტუდენტი.

ზოგი რამ ჩვენი საცდელ-სამეცნიერო საქმის შესახებ

ჩვენში არა ერთი და ორი დაწესებულება მუშაობს აგრონომიულ ფრონტზე.

თითქმის ყველა ეს ორგანიზაციები ეწევიან აგროდახმარების საქმეს, აწარმოებენ საცდელ-სამეცნიერო ხასიათის მუშაობასაც.

მაგრამ თითოეული ორგანიზაციის საქმიანობა, განცალკევებულად წარმოებული, ერთ მთლიან სახელმწიფოებრივი მასშტაბით შემუშავებულ გეგმასთან შეუთანხმებლად და დაუქვემდებარებლად, ჯეროვნად ნაყოფიერი არ არის, იმ შედეგს ვერ აღწევს, რა შედეგის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა საქმიანობაში ჯეროვანი გეგმიანობის შეტანით და განხორციელებით.

პროლეტარულ სახელ. ძალთა დაზოგვის და რაციონალურად გამოყენების, მუშაობაში ყოველგვარ პარალელიზმის მოსპობის პრინციპის მიხედვით. აღწერილი ანორმალური მდგომარეობა დაუშვებელია, მას აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

თუ ყველა, ვისაც მოესურვება, იმას გააკეთებს, რაც მოეპრიანება, ბევრი სამუშაო გაუკეთებელი დაგვრჩება, მეორე მხრივ ბევრი ძალა ტყვილა-უბრალოდ დაიხარჯება.

ასეთ მოვლენებს, სამწუხაროდ, ხშირად აქვს დღეს ადგილი და სასურველია მათი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, არსებულ მდგომარეობის გაჯანსაღება.

ახლა მეორე საკითხი. მე ვამბობ იმ მავნე ჩვეულებაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ზოგიერთ ჩვენს საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებაში.

არ ვიცი რატომ, ზოგიერთს ჩვენს სპეცს თავის „კერძო საკითხად" მიაჩნია მის მიერ დაწესებულებაში ნაწარმოებ ცდების შედეგები, თავისს თავს მოვალედ არ სთვლის დაწესებულებაში დასტოვოს ყველა ცდის დაწვრილებითი აღწერა, ხშირად სულ არ აწარმოებს ასეთს აღწერას ან თუ აწარმოებს, თავის კერძო რვეულებში, უბის წიგნაკებში და სხვ.

მიდის ასეთი სპეცი დაწესებულებიდან და თავისი ნამუშევარი თუ ნაცოდვილარი თან მიაქვს, დაწესებულებაში კი აღარავითარი კვალი არ რჩება იმ ცდების შესახებ, რაც მისს კედლებში, მისს ხარჯზე, მისგან დაქირავებულ სპეცების მიერ იყო ნაწარმოები.

წავა ასეთი „სპეცი" შენგან, განზე გაგიდგება და შორიდან გიჩვენებს თავისს უბის წიგნაკს—დახე, რაც ვიცი, თან წავიღეო, რაც რამ მაქვს, სულ თან დამაქვსო, მას არავის დავანებებ, ეს ჩემი კერძო საკუთრებაა, ეს არც ცხადის ძალით წამერთმის, არც მალვით მომეპარებისო. წადი და ელაპარაკე ასეთს სპეცს, გაიგე, რა აქვს, თან რა დააქვს, რა ღირებულებისაა მისი „ბარგი" გინდა თუ არ გინდა, ან უნდა ეხვეწო-ემუდარო, ნუ დამღუპავ, შენი ჭირიმე, განზე ნუ გამიდგები, მიირთვი რაც გნებავსო, ან არა და უნდა ახალი სპეცი მოიწვიო, ჯამაგირი დაუნიშნო, ცდების წარმოების შესაძლებლობა მისცე და მერე, ვინ იცის, ისიც განზე გაგიდგეს.

რა თქმა უნდა, ეს ყველა ჩვენს სპეცზე არ ითქმის, მაგრამ ასეთები მაინც არის და მათ საწინააღმდეგოდ, მათი კერძო-მესაკუთრეობითი ინსტინქტების ასალაგმად აუცილებლად საჭიროა სათანადო ზომების მიღება.

ამისათვის ერთად-ერთი საშუალებაა—რომ ყველა საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებაში, ვინც არ უნდა ინახავდეს მას, სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ სხვა ვინმე, აუცილებელ სავალდებულო პრინციპად იქმნას აღიარებული ყველა წარმოებულ ცდის დაწვრილებითი აღწერა, ამ აღწერათა დაწესებულების საქმეებში დაცვა, მათი პერიოდული გამოქვეყნება.

ჩვენ ვერ დავუშლით, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ცდის მწარმოებელს თავისი ცდის შედეგი გამოიყენოს, როგორც უნდა, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად მოვთხოვთ, რომ დაწესებულებაში, სადაც ცდა იწარმოებს, დარჩეს ცდის აღწერა, რომ ყველას შეეძლოს ამ აღწერით სარგებლობა, ერთხელ ნაცადის მეორედ გამოცდა აღარ იყოს საჭირო.

ნათქვამის მაგალითად დავასახელებ ერთს საკითხს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენთვის, რის გარშემო დიდი ხანია ცდები წარმოებს, მაგრამ ეს საყურადღებო ცნობები არა თუ ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მათი სრული აღწერაც არ მოიპოვება იმ დაწესებულებაში, სადაც ცდები უწარმოებიათ.

საკითხი შეეხება ოზურგეთის საცდელ პლანტაციაზე ჩაის ბუჩქის გარშემო წარმოებულ ცდებს. ასეთი ცდები წარმოებდა 1907 წლიდან, მაგრამ აგროდახმარების საქმის ინსპექტორის ოფიციალური მოხსენების თანახმად, „სამწუხაროდ, (ოზურგეთის პლანტაციის ანგარიშებში თითქმის არ აღმოჩნდა მასალები, რომლიდანაც შეიძლებოდეს გაცნობა საცდელ პლანტაციაში დაყენებული ცდებისა და მათი შედეგებისა". მხოლოდ დიდი წვალების შემდეგ მივიღეთ ნაწილობრივი მასალები ისიც მარტო 1915 და 1916 წლებში წარმოებულ ცდების შესახებ.—რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს (უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, რა თქმა უნდა, ყველა წლების ცდების აღწერას) იმის გამოსარკვევად თუ რა უფრო ხელსაყრელია ჩაის ბუჩქის მოშენების საქმეში—პლანტაჟი (მიწის გადაბრუნება) თუ დაბარვა. ამ მხრივ ზემოხსენებული ცდების შედეგი ფრიად დამახასიათებელია—იგი იმას მოწმობს, რომ დაბარვა უფრო სახეირო ყოფილა ჩაის ბუჩქის მოსაყვანად, ვიდრე პლანტაჟი.

იმ დროს, როდესაც ზემოხსენებული ცდების შედეგები ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩვენთვის, მათი მწარმოებელი სპეცი რიხიანად გვიმტკიცებდა, პლანტაჟი ყოველმხრივ უფრო სახეიროაო ჩაის კულტურაში, ვიდრე მიწის დაბარვაო...

საინტერესოა, რას იტყვის იგივე სპეცი ამჟამად, როცა მთელი მისი „გულწრფელობა" საბოლოოდ გამოაშკარავდა. ასეთ „სპეცებს" თვით შეგნებულმა სპეცებმა უნდა გამოუცხადონ სასტიკი ბრძოლა.

მ. ძაყანაშვილი.

რა მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ ებრაელებს

მკითხველმა ალბად იცის, რომ ცეკას მიერ გამოყოფილი იქნა კომისია ვანო სტურუას მეთაურობით, რომელმაც შეისწავლა ებრაელთა მდგომარეობის საკითხი და დაამუშავა მათი პირობების გამაუმჯობესებელი პროექტი, რომელიც წარუდგა ცეკას.

ცეკამ თავისი დადგენილებანი განსახორციელებლად დაუგზავნა სათანადო უწყებებს.

ჩვენ ჯერ დავიწყეთ მუშაობა თბილისის მასშტაბით. თბილისში არსებობს მე-102-ე შრომის სკოლა, სადაც სწავლობენ 500-მდე ებრაელი ბავშვები. სკოლა გადაკეთებულია შვიდწლედად და. წელს უკვე გამოვლენ პირველი მერცხლები, შვიდწლედში კურს დამთავრებული ახალგაზრდები. ყოველ წლიურად ახალგაზრდებისათვის ეწყობა წ. კ. უც. სალიკვიდაციო სკოლები, რომლებშიაც მშრომელი ახალგაზრდობა ჰპოვებს თავის სულიერ საზრდოს. გახსნილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო; სადაც თავს იყრიან ახალგაზრდები. სამკითხველოსთან დაარსებულია აგრეთვე დრამწრე; რომელმაც უკვე გამართლა მასზე დამყარებული იმედები. სამკითხველოს ეწოდა ამხ. ვარძელის სახელი. აქვე უნდა აღინიშნოს თბილისის პოლიტგანის გამგე ამხ. კ. ბერძენიშვილი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს საქ. ებრაელებს.

უფრო მეტი ყურადღება იყო საჭირო ეკონომიურად განადგურებულ უმუშევარ ებრაელთა მოღონიერებისათვის, ყველამ იცის, რომ საქ. ებრაელობა უმთავრესად საბედუროდ წვრილ ვაჭრობას მისდევდა და რაკი ვაჭრობა კერძო ხელიდან გამოდის, ებრაელობა ეცემა. აი ამიტომ ხელისუფლებამ ჩვენ მოგვცა დირექტივა, რომ ამ მხრივ დაგვეწყო მუშაობა და დაგვეარსებინა კოოპერატივი ჩვენს უბანში. მუშკოოპის გამგეობამ მიიღო სათანადო ბრძანება და განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრა ამ საკითხს. გამგეობა არ მოერიდა დიდ ხარჯებს რომლებიც უნდა გაწეულიყო დუქნების შესაკეთებლად და მათ სათანადოდ მოწყობისათვის. კოოპერატივის გახსნა მოხდა დიდი ზეიმით, რომელსაც დაესწრენ ხელისუფლების და პარტიის წარმომადგენლები.

დღეს, როდესაც რამოდენიმე თვემ განვლო კოოპერატივის დაარსების შემდეგ—შეიძლება ითქვას, რომ კოოპერაციის საქმე ჩვენში გამარჯვებულია. მშრომელი ებრაელობა პირნათლად ასრულებს თავის თავზე დაკისრებულ მოვალეობას და დიდის გულმოდგინებით ატარებს ცხოვრებაში კოოპერატიულ პრინციპებს.

ჩვენი კოოპერატივი არის უნივერსალური სახის. მისი თაოსნობით დამზადდა ღვინო მშრომელი ებრაელის ხელით, რომელიც საშუალებას აძლევს მშრომელ მასას შეიძინოს იაფა საუცხოვო ხარისხის წმინდა ღვინო. დიდი სარგებლობა მოუტანა ღარიბ მოსახლეობას სასურსათო განყოფილებამ, განსაკუთრებით სახორცე ნაწილმა. ჩვენში ხორცი ყოველთვის განსხვავდებოდა თავისი სიძვირით. მაგრამ კოოპერატივის გახსნის დღიდან არ ამატებია ფასი 31 კაპეიკს, მაშინ როდესაც წინედ ღირდა 50 კაპ.

თბილისის ებრაელობაში აღარ არსებობს კერძო ვაჭრის სახორცე დუქანი. რუსეთის და სპარსეთის ებრაელებიც კი შემოგვიერთდენ თავიანთი ნებით, დახურეს კერძო დუქნები და კოოპერატივებად აქციეს. სათევზე და სახილე განყოფილებაც დიდ დახმარებას უწევს მშრომელ მასას. მთელი ვაჭრობის დღიური ჯამი გახსნის პირველ ხანებში უდრიდა 700 მანეთს და დღეს კი 5.000 მანეთამდე აღწევს. ხშირად შეხვდებით ჩვენს მაღაზიაში ნაძალადევიდან გამოსულ მუშების ცოლებს, რომლებიც კმაყოფილებას გამოსთქვამენ თანამშრომლების მორიდებულ მოპყრობის გამო.

კოოპერატივში სადაც მუშაობს 22 თანამშრომელი გარდა იმისა რომ ღარიბ მომხმარებელს გაუადვილა ცხოვრება, საკმაო უმუშევრებ. მისცა საქმე. კოოპერატივთან მოწყობილია „წითელ კარობინიკების" ართელი, რომლის რიცხვი მალე გადიდებულ იქნება 50-მდე და ამგვარად უმუშევარ ებრაელებს თანდათანობით მიეცემა საქმე. ზაფხულზე განზრახულია კოოპერატივის გაფართოვება საპურე-საშაქარლამო განყოფილებით და აგრეთვე სასათილოთი, რაც აღმოუჩენს საქმეს სხვა უმუშევრებსაც.

მაგრამ გარდა ნივთიერი სარგებლობისა, კოოპერატივმა დიდად ასწია აგრეთვე მშრომელ ებრაელთა პოლიტიკური შეგნება.

თბილისში არის ას კომლამდე ჩამოსული ებრაელობა, რომელიც ემზადება მიწის მუშაობაზე გადასასვლელად. მიწათმოქმედების კომისარიატს უკვე მიღებული აქვს ზომები, რომ ებრაელებს მიეცეთ თავისუფალი მიწა და სამუშავებლად. მიწის რაოდენობა ამ ცოტა ხანში გამოირკვევა და ჩვენ მოწმენი გავხდებით უდიდესი მოვლენის. ათას წლობით მიწას მოწყვეტილი ებრაელობა ისევ დაუბრუნდება მიწის მეურნეობას და ეს იქნება საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევა.

მთავრობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ებრაელთა ჯანმრთელობის საკითხს. უფასო ექიმობით საერთოთ სარგებლობენ და ზოოლოგები, რომელთა რიცხვი ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელია. ამიტომ მოეწყო უფასო ამბულატორია. ჯანმრთელობის განყოფილების თაოსნობით შექმნილია ებრაელთა ჯანმრთელობის დამცველი კომისია. ეს კომისია აძლევს ღარიბ ებრაელობას მოწმობებს, უფასო ექიმობისათვის.

დაწყებულია აგრეთვე სამსახურში მოწყობა იმ მცირეოდენი ინტელიგენციისა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება.

ჩვენი მუშაობა თბილისის მასშტაბით ჩატარდა. ახლა ჯერი მიდგა პროვინციის ებრაელობაზე. საჭიროა მათაც გამოიჩინონ მუშაობის უნარი.

საბჭოთა მთავრობა არაფერს არ იშურებს მშრომელ ებრაელთა კულტურულ-ეკონომიურ კეთილდღეობისათვის, ისე როგორც სხვა ყველა წვრილი ერებისათვის, რაც ხმა მაღლა უნდა აღიაროს ყოველმა პატიოსანმა საბჭოთა მოქალაქემ.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ მივესალმოთ საბჭოთა ხელისუფლებას და ვუსურვოთ მას საბოლოო გამარჯვება.

დავიდ ბააზოვი.

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

ვგმობთ ძველ გზას

საცდელ - საჩვენებელ შრომის სკოლაში შესდგა ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა გაერთიანებული კრება, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ფრანგიშვილმა.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ამბობს: „ჩვენ, ქ. თბილისის 1-ლ საცდელ - საჩვენებელ შრომის სკოლის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ვაღიარებთ, რომ ჩვენი საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული წარსული საქმიანობა იყო და არის შედეგი ყოფილი მენშევიკური პარტიის ავანტიურისტული პროვოკაციისა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ, ჩვენ მომავალშიც მაინც არ შევცდებით და მტკიცედ ვიდგებით საბჭოთა ხელისუფლებასთან ყოველივე ჭირში და ლხინში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!
გაუმარჯოს ც. ბ. მიერ აღებულ სწორ გზას!

დ.—ი.

15 შრომის სკოლა

12 მაისს 4 რაიონის ყოფ. ახ. მარქ. შორის მომუშ. ბიუროს, მიერ იქნა მოწვეული ამავე სკოლის ყოფ. ახ. მარქსისტთა და თანამგრძნობთა გაერთიანებული კრება. მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ვ. ფრანგიშვილი და ამხ. გ. კომახიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სასწავ. ყოფ. ახ. მარქ. ბიუროს მიერ პირველად იქნა მოწვეული კრება. მოწაფეთა კრება დიდი აღტაცებით შეხვდა მისულ ამხანაგებს.

კრებამ მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დასრულების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია: კრება სავსებით იწონებს ყოფ. ახ. მარქ. შორ. მომუშავე ც. ქ. მიერ აღებულ ხაზს და აღუთქვამს ც. ბ.-ს, რომ 15 შრომის სკოლის ყოფ. ახალგ. მარქსისტები გვერდში ამოუდგებიან ც. ბ.-ს მათ მიერ დასახულ მიზნების განხორციელებაში.

ბ—ი.

ჩხარის ყოფ. ახ. მარქს. შორის.

ამ რამოდენიმე ხნის წინად დ. ჩხარში ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის ბიუროს მიერ მოწვეულ იქმნა ახ. მარქსისტთა საერთო კრება, რომელზედაც მრავალი ახალგზელი და უპარტიო გლეხი დაესწრო.

კრებამ მოისმინა ამხ. დ. დუგლაძის მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და ქართველი მშრომელი ახალგაზრდობის ამოცანები". მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს მოღალატურ მენშევიკურ პოლიტიკას და მოუწოდებს ყველა შეგნებულ მშრომელ ახალგაზრდობას, რომელსაც კი რაიმე კავშირი აქვს ქართული მენშევიზმის კონტრ - რევოლიუციონურ საქმიანობასთან, ზურგი აქციონ ამ ისტორიულათ უკვე განწირულ და დღეს გაკოტრებულ პარტიას.

შ.

ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში

ყოფ. ახ. მარქ. შორის მომუშავე ც. ბ. მიერ ამ ტეხნიკუმში იყო მოწვეული ყოფ. ახ. მარქსისტების კრება, ჯერ კიდევ იანვრის ბოლო რიცხვებში ამ დროიდან აქ აწარმოებდა მუშაობას 2 რაიონის ბიურო. 11 მაისს ამავე სასწავლებელში მოწვეულ იქნა განმეორებითი კრება, სადაც—მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ვ. ფრანგიშვილი.** მან გარკვევით აუხსნა დამსწრეთ დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ კრების სულიერი განწყობილება რადიკალურად შეცვლილია წარსულთან შედარებით, მოხსენების შემდეგ ქონდა ადგილი საქმიანი კამათს, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია „ჩვენ გაუგებრობის ნიადაგზე მყოფი ყოფ. ახ. მარქსისტები ამიერიდან გვერდში ამოუდგებით ჩვენ მოძმე კომკავშირს.

ქ.

კონფერენცია ჭლექთან ბრძოლის შესახებ

ჭლექთან მებრძოლ ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, ამჟამად მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტარდება კონფერენციები ჭლექთან ბრძოლის შესახებ. ასეთი ხასიათის კონფერენციები თბილისში უკვე ჩატარდა.

15 მაისს კონფერენცია ჭლექთან ბრძოლის შესახებ დანიშნული იყო ქუთაისში, რომელზედაც დაესწრენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული საქმიმო ძალები. თბილისიდან კონფერენციაზე დასასწრებლად გაემგზავრენ პროფ. ალადაშვილი, პროფ. მეზერნიცკი, ჯანსახკომის მოადგილე ამხ. **მამალაძე,** ექ. **ნაზარეტიანი,** ექ. **ლორთქიფანიძე** და სხვ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კონფერენციაზე დასასწრებლად და ქუთაისისა და წყალტუბოს სამკურნალო პუნქტების დასათვალიერებლად გაემგზავრენ 25 ექიმი და 40 სტუდენტი.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდენ ექ. **გრიგოლაშვილი,** პროფ. **მეზერნიცკი;** პრივატ-დოცენტი **აბაკელია,** ექ. **ი. ლორთქიფანიძე, პოლოხოვი; კილოსანიძე; კოკოჩაშვილი** და პროფ. **ალადაშვილი.**

კონფერენციის დასრულების შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქუთაისის სამკურნალო დაწესებულებები.

დისპუტი გაზეთის პროდუქციის შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის მიერ გაზეთის პროდუქციის შესახებ გამართულმა დისპუტმა წარსულ კვირას მიიზიდა თბილისის გაზეთის მუშაკთა დიდი რიცხვი. დისპუტზე იყო აგრეთვე საგაზეთო საქმით დაინტერესებული მრავალი გარეშე პირი.

ამხ. პ. დადვაძემ თავისი მოკლე და სხარტი მოხსენება უმთავრესად ააშენა სამ ძირითად მომენტზე. ეს მომენტებია: გაზეთის საორგანიზაციო მხარე, აპარატის პირადი შემადგენლობა და სასტამბო ტეხნიკა. მომხსენებლის სიტყვით ჩვენი გაზეთების ერთ მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს უგეგმო მუშაობა. ამის გამო გაზეთის მუშაობა მოკლებულია სისტემას როგორც საკითხების შერჩევის, ისე მათი დამუშავება - დალაგების მხრივ. გარდა ამისა გაზეთებში ხშირათ მიდის სტილის მხრივ დაუხვეწელი მასალა, რაც აიხსნება სარედაქციო მუშაკების ნაკლები კვალიფიციურობით და ამასთან ერთად მათი ზედმეტი დატვირთვით.

ამავე დროს ჩვენ გაზეთებს შორის ხდება შეჯიბრი, მასალების შერჩევის, ინფორმაციის გაფართოების და გავრცელების ტეხნიკის გაუმჯობესების მხრივ. თავისთავად ჯანსაღი კონკურენცია ყველა დარგში დადებით მოვლენას წარმოადგენს. ასევე ითქმის გაზეთების შორის არსებულ კონკურენციის შესახებაც. მაგრამ ზოგჯერ ეს კონკურენცია მავნე გადახრის ხასიათს ღებულობს, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მონაწილეობას ჩვენს გაზეთებში და აღნიშნავს, რომ ეს მონაწილეობა რედაქციების მიერ ვერაა მიზანშეწონილად გამოყენებული. განსაკუთრებით არ ჩანს მუშა და გლეხ კორესპონდენტების შესაძლებელი ნაყოფიერი მუშაობა ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხების გაშუქებაში, როგორიცაა: ფასების დაკლების კამპანია, მომჭირნეობისათვის ბრძოლა და აპარატის რაციონალიზაცია.

რაც შეეხება ჩვენი სტამბების ტეხნიკას, ამ მხრივ გაზეთები განსაკუთრებით ცუდ პირობებშია ჩაყენებული. ჩვენი ნაბეჭდი უხეშთაო და გაურკვეველია, ტექსტში ხშირათ აკლია ცალკე ასოები, არ არის სათაურის ასოები, არ ვარგა საღებავი და სხვა. ეს ემჩნევა არა მარტო იმ გაზეთებს, რომელნიც ძველ მანქანებზე და ძველ ტეხნიკით იბეჭდებიან, არამედ იმათაც, რომელნიც გაუმჯობესებულ ტეხნიკის საშუალებით გამოდიან.

მოხსენებამ დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი და აზრთა გაცვლა - გამოცვლა გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ს. დოლიძემ, სუტირინმა, ნ. კიკნაძემ, შარიფმა, ს. ჯაფარიძემ, რახმანმა, მარიამ ორახელაშვილმა, პავლე საყვარელიძემ და სხვებმა.

ორატორებმა მრავალი პრაქტიკული და საჭირბოროტო საკითხები წამოაყენეს, რომელთა დამუშავება კრებამ მიანდო ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ბიუროს. კრება დიდათ კმაყოფილი დაიშალა. გამოითქვა სურვილი, რომ გაზეთის მუშაკთა ასეთი დამაკავშირებელი კრებები ხშირათ გამართოს ბეჭდ. სიტყვის სექციამ.

ბ—ი.

საკურორტო-სანატორული დახმარება

ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მიიღო საკურორტო - სანატორიული დახმარების და დასასვენებელი სახლების საბოლოო გეგმა. მიმდინარე წლის განმავლობაში დასასვენებელ სახლებში სულ ვაგზავნილი იქნება 16.016 კაცი; აქედან 10.407 მოდის აზერბეიჯანზე, 4.619 საქართველოზე და 900 სომხეთზე.

სანატორიუმებში გაგზავნილი იქნება 2.774 კაცი. აქედან 1.916 მოდის აზერბეიჯანზე, 636 საქართველოზე და 187 სომხეთზე; 35 ადგილი დატოვებულია სათადარიგოთ.

ჩრდილოეთ - კავკასიის სანატორიუმებში აზერბეიჯანს მიეცა 1.110 ადგილი, საქართველოს 50, სომხეთს 21 და სათადარიგოთ დატოვებულია 25 ადგილი. სანატორიუმ „არაზინდოში" გაგზავნილი იქნება 677 კაცი, აქედან აზერბეიჯანს მიეცა 377 ადგილი და საქართველოს 300. ქობულეთში გაიგზავნება 400 კაცი, აქედან აზერბეიჯანს მიეცა 300 ადგილი, საქართველოს 90 და 10 დატოვებულია სათადარიგოთ. დილიჟანში გაიგზავნება 150 კაცი (ყველა ადგილები დათმობილი აქვს სომხეთს) და არზნის სანატორიუმში 16 (აქაც ყველა ადგილები დაეთმო სომხეთს).

ჯერ-ჯერობით განაწილებულია სანატორიუმებში 265 ადგილი. ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს და კავშირების ა.-კ. საოლქო გამგეობებს, გარდა სოციალური დაზღვევის თანხებისა, გამონახონ დამატებითი საშუალებები სანიტარულ - საკურორტო დახმარებისათვის და მუშა - მოსამსახურეთა დასასვენებელ სახლებში გასაგზავნად. ეს თანხები გამოყოფილი უნდა იქნეს საქმიმო ფონდებიდან, ყოფა - ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდებიდან და სხვა.

პოლიტეხნიკური ფაკულტეტი

ამ მოკლე ხანში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე ლექციების კითხვა შესწყდება.

მრავალი სტუდენტი: საამშენებლო, სამთო, მექანიური და ელექტრო - მექანიური განყოფილებებისა ამ ზაფხულზე გაიგზავნება სხვადასხვა დიდ საამშენებლო სამუშაოებზე: ქარხნებში, მაღაროებში და ტეხნიკურ - სამრეწველო დაწესებულებებში.

ოქტომბრიდან ფაქტიურად გაიხსნება მეხუთე კურსი. საამშენებლო, მექანიურ, სამთო და ელექტრო - მექანიურ განყოფილებებზე. მეხუთე კურსი სპეციალურად იქნება გახსნილი სადიპლომო შრომების შესადგენად.

გურიის ნავთი

გურიის ნავთიანი ადგილებიდან ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოში უფრო და უფრო საყურადღებო ცნობები მოდის. ამ დღეებში ქა-ბურღილის თხრის დროს აღმოჩენილ იქნა ნავთიანი ნიადაგი.

ქა-ბურღილიდან გაზების სუნი თანდათან მატულობს. ამჟამად ქა-ბურღილის სიღრმე უდრის 23 საჟ. და 3 ფუტს. მუშაობა ენერგიულად სწარმოებს. თხრის დროს ერთდროულად ხდება ქის გვერდების ამოცემენტება.

ქა-ბურღილში ჯერ-ჯერობით წყალი არ ამოსულა და ამის გამო საჭირო ხდება ქა-ბურღილის ამოსარეცხი წყლის გადმოქაჩვა. ქის უკანასკნელი ფენიდან ამოღებული წყალი თავზედ ირთმევს ნავთს.

ბათომის ნავთსადგურში
გემთა მიმოსვლა

აპრილის განმავლობაში ბათომში მოვიდა 44 უცხოელი გემი, რომელთაც მოიტანეს 7.822.991 კილო სხვადასხვა ტვირთი, უმთავრესად ფაბრიკა-ქარხნების მოსაწყობი მანქანები—ინვენტარი, სასოფ.-სამეურნეო მანქანები და სხვა საწარმოო საშუალებანი. ამავე ხნის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურიდან გავიდა 35 გემი, რომელთაც წაიღეს 110.566.998 კილო სხვადასხვა ტვირთი, უმთავრესად ნავთის პროდუქტები, ძვირფასი ჯიშის ხეები და სხვა ნედლი მასალა. საკაბოტაჟო ცურვით აპრილის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა 15 გემი 1.701.966 კილო ტვირთით (საამშენებლო მასალით, სილიკატებით, პურის პროდუქტებით და სხვ.), და გავიდა 15 გემი 598.050 კილო საქონლით (ქიმიური პროდუქტებით, საღებავებით, ნავთის პროდუქტებით, ლიმონით, ფორთოხლის პარტიით და სხვა) წინა თვესთან (მარტთან) შედარებით ბათომის ნავთსადგურის ტვირთბრუნვა აპრილში გაიზარდა 15 პროცენტით.

13 მაისს ნავთის პროდუქტების წასაღებად ბათომის ნავთსად. მოვიდა იტალიის სამხედრო ტრანსპორტი „ურანო". ამჟამად ნავთსადგურში დასატვირთავად და განსატვირთავად სდგას 6 უცხოელი გემი. საბჭოთა თბომავალმა „კალინინმა" ჰამბურგიდან მოიტანა სხვადასხვა მანქანები და გაემგზავრა ნოვოროსისკში.

წითელ ჯარში
ახალწვეულთა შორის

№ ქართულ მსროლ. ლეგიონში მრავლად არიან ახალწვეული წითელარმიელნი კახეთიდან.

წითელ ჯარის რიგებში გაიწვიეს ისინი გასული წლის ოქტომბერს; სულ 6 თვეა, რაც იმყოფებიან ყაზარმაში და იძენენ სამხედრო პოლიტიკურ ცოდნას.

ზამთრის განმავლობაში ახალწვეულებს უნდა დაეძლიათ სამხედრო მეცნიერება, შეესწავლათ მრავალი სპეციალური საგანი, გასცნობოდნენ კარგათ სასროლო საქმეს, რომ ბანაკათ ყოფნის დროს შესაძლებლობა ჰქონოდათ შეეძინათ უფრო რთული ცოდნა.

სამხედრო საქმიანობასთან ერთად დასაძლევი იყო მეორე ამოცანაც, რომელიც თავისი სირთულით არ ჩამოუვარდებოდა პირველს, ეს არის გათვითცნობიერება პოლიტიკურად.

შემოდგომაზე გაწვეულთა შორის არც ერთი არმიელი არ იყო წერა-კითხვის მცოდნე.

ექვსი თვის განმავლობაში სწარმოებდა ყაზარმის კედლებს შორის დიდი მუშაობა, რომ კახელ ახალგაზრდებს შეესწავლათ წერა-კითხვა. ყაზარმამ დასძლია ყოველივე დაბრკოლებები: წერა-კითხვის უცოდინარობა მალე მოსპობილ იქნა.

წერა-კითხვის შესწავლასთან ერთად სწარმოებდა პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა.

ყოველ წითელ არმიელმა უნდა იცოდეს, თუ ვინ არის ის, რისთვის არის გაწვეული წითელ ჯარში, რას წარმოადგენს წითელი არმია, ვის იცავს იგი; ამასთანავე არმიელს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირზე, მის კონსტიტუციაზე; იგი უნდა იცნობდეს მეზობელ სახელმწიფოებს და ყველა ამასთან ერთად გარკვეული უნდა იყვეს მიმდინარე მომენტში.

ექვსი თვის განმავლობაში, ყოველ-დღიურათ ნაწილის პოლიტიკური შემადგენლობა აწარმოებდა მუშაობას წითელარმიელთა გასათვითცნობიერებლად.

პოლიტმეცადინობას დათმობილი ჰქონდა დღეში ორი საათი, რომლის განმავლობაშიაც წითელარმიელი სასკოლო მეთოდებით იძენდა ცოდნას.

ზამთრის პერიოდის დამთავრების შემდეგ ლეგიონში ჩატარებულ იქნა პოლიტმეცადინობის შემოწმება.

გამორკვევამ კარგი შედეგები მოგვცა. წითელარმიელნი კარგათ ერკვეოდნენ საკითხებში.

წითელარმიელი **შუბაშვილი,** სოფ. ნორიოდან (თბილისის მაზრა) თავისუფლად კითხულობს გაზეთს და შეუძლია დაფაზე დასწეროს ყოველივე რიცხვი. ყაზარმამდის მას წარმოდგენა არ ჰქონდა წიგნზე. ეხლა იგი, წერა-კითხვის გარდა, იცნობს ინგლისსაც, ამერიკასაც და იცის, თუ რა ხდება ჩინეთში.

მეორე არმიელი **აბრამა ქაძე** სოფ. ალვანიდან (თელავის მაზრა) კარგათ იცნობს რუქას, იცის, როგორ მოიხმაროს იგი,. კარგათ შეუსწავლია ანგარიში და ამასთანავე კითხულობს წიგნებს და ითვლება კარგ მკითხველათ.

წითელარმიელი **კასრელაშვილი** (სოფ. შროშა, თელავის მაზრა) ამბობს, რომ დიდი სურვილი ჰქონდა სწავლისა, მაგრამ სიღარიბის გამო, ვერ აისრულა თავისი წადილი. ყაზარმაში მოვიდა სრულიად უცოდინარი. ეხლა კი იგი სახლში გზავნის წერილს, თავის საკუთარ ხელით დაწერილს, ამის გარდა იცის რუქის ხმარება, კითხულობს გაზეთებს და ანგარიშშიაც სხვებს არ ჩამოუვარდება.

„მართლა რომ, წითელი ყაზარმა სკოლა ყოფილა", ამბობენ არმიელნი და მადლობით იხსენიებენ მათ, ვინც მისცა შეძლება შეეძინათ ცოდნა.

ე. ხ.

სურამის უღელტეხილის
ელექტროფიკაცია

ა.-კ. რკ. გზების დასავლეთ უბნიდან დაბრუნდა სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების უფროსი ინჟ. **გ. მახუდაგოვი,** რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ჩვენ ეხლა შევუდექით მოსამზადებელ მუშაობას უღელტეხილის საელექტროფიკაციოდ. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქვესადგურები, რომლებიც მიაწოდებენ ენერგიას გადამცემ ხაზს, აგებული იქნება სამ ადგილას: ხაშურში, მოლითში და ზესტაფონში. ჩვენ ამოვირჩიეთ ადგილები ქვესადგურებისა, საცხოვრებელ ბინების და სხვა შენობების ასაგებად.

სამუშაოებისათვის საჭირო მასალები მზადდება ადგილებზე.

მოსამზადებელ სამუშაოებისათვის თვალ-ყურის მდევნებლად დანიშნული არიან გზათა-მიმოსვლის უწყების ტეხნიკოსები.

ამჟამად ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან არსებული საელექტროფიკაციო ბიურო ამთავრებს ქვე-სადგურების და სახლების აგების პროექტებს.

ამ კვირაში მოველით ინჟ. **ხოლმს,** რომელიც დანიშნულია სამუშაოთა უფროსის თანაშემწეთ. წინად ინჟ. ხოლმი მუშაობდა ვოლხოვის ჰიდრო-ელსადგურიდან - ლენინგრადამდე ენერგიის გადამცემ ხაზის აგებაზე.

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი
უკანასკნელი სხდომა

გუშინ შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან ფიზკულტურულ მუშაობის შესახებ.

თათბირზე გამოირკვა, რომ რესპუბლიკების ცენტრებში მუშაობა კარგათ არის დაყენებული, რაც შეეხება მაზრებს, იქ მუშაობა მოიკოჭლებს. ამ მხრივ თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა ყველა რესპუბლიკებში.

მსხვილ ცენტრებში, როგორიც არის ბაქო, თბილისი და ერევანი ეწყობა ახალი სტადიონები, მოედნები, სასპორტო დარბაზები, წყლის სადგურები და სხვა. აქ ინსტრუქტორებიც მრავლად მოიპოვება. მუშაობა მეცნიერულ ნიადაგზეა დაყენებული, რისთვისაც მოწვეულია სპეციალისტი ექიმები.

სოფლად მუშაობის მხრივ სპეციალური პირობების გამო ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია აზერბეიჯანის მაზრები. თათბირმა აუცილებლად სცნო ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერება თურქ მოსახლეობის შორის. აზერბეიჯანში მომუშავე ამხანაგებმა პირველ ხანებში უნდა შესძლონ პროფკავშირების თურქ-წევრების 35 პროც. ჩაბმა მაინც ფიზკულტურულ მუშაობაში.

ამას გარდა, თათბირმა საჭიროდ იცნო მაზრებში ჩატარებულ მუშაობის გამოკვლევა.

დასასრულ, თათბირზე გამოითქვა ის აზრი, რომ საჭირო აღარ არის აზერბეიჯანის პროფკავშირების მესამე ფიზკულტურული დღესასწაულის ჩატარება, რადგან აზერბეიჯანის პროფკავშირები ეხლავე უნდა შეუდგენ მზადებას ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულისათვის, რომელიც გაიმართება ბაქოში სექტემბრის მეორე ნახევარში.

თათბირზე მიღებული პრაქტიკული წინადადებები სახელმძღვანელოდ დაეგზავნება რესპუბლიკების პროფსაბჭოების ფიზკულტურის ბიუროებს.

წიგნის კვირეული

5 მაისიდან დაიწყო „წიგნის კვირეული". იგი გაგრძელდება 5 ივნისამდე.

პირველი, რაც ყურადღებას იქცევს ამ კვირეულში, ეს არის მშრომელი მასის გაცხოველებული ინტერესი საბჭოთა გამომცემლობის წიგნებისადმი.

საქართველოს სახელგამი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა კვირეულს შეუდგა 5 მაისიდან.

სახელგამი აწარმოებს განსაკუთრებით ქართული ლიტერატურის გასაღებას. ყველა გამოცემებზე, გარდა სამეცნიერო ხასიათის და სახელმძღვანელო წიგნებისა, სახელგამმა დაუკლო ფასი 50 პროცენტით, 1924 წლის გამოცემებზე—40 პროც.; 1925 წლის გამოცემებზე—30 პროცენტით და 1926 და 27 წლის გამოცემებზე—20 პროცენტით.

სახელმძღვანელო და სამეცნიერო გამოცემებზე ფასების დაკლება მოხდა შემდეგი რაოდენობით: 1925 გამოცემებზე—20 პროცენტით, 1926 და 27 წლების გამოცემებზე—10 პროცენტით.

ამგვარად ფასების საშუალო შემცირება გამოიხატა—35 პროცენტში.

გამოცემათა უფრო ფართოდ გასაღების მიზნით, სახელგამი გამოვიდა 8 და 15 მაისს კვირა-დღეები) გამართულ ბაზრობაზე.

პირველ ბაზრობაზე სახელგამმა გაჰყიდა და 500 მანეთის ლიტერატურა. ბაზრობა მეორე კვირას უფრო ფართოდ იქნა გამოყენებული; მას ორგანიზაციული ხასიათი მიეცა. ბაზრობა გამართული იყო სამ ადგილას: ცენტრალურ მაღაზიის წინ—რუსთაველის პროსპექტზე, თავისუფლების მოედანზე და პლეხანოვის პროსპექტზე.

ამასთანავე ბაზრობას მიეცა სააგიტაციო ხასიათიც; ამ მიზნით გამოშვებულ იქნა ავტომობილი-კიოსკი, რომელმაც ინახულა: თათრის მოედანი (რიყეში), კახეთის მოედანი (ავლაბარი); ნაძალადევი და საჯარითო მინდორი.

ბაზრობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე ბაზრობაზე გაიყიდა 1100 მანეთის წიგნი. უმთავრესად იყიდებოდა: ბელეტრისტიკა, ქართული კლასიკები და პოლიტიკური ნაწარმოებები.

დაახლოებით ბაზრობაზე გაიყიდა—5.000-მდე წიგნი.

დანარჩენ დღეებში, ყოველდღიურად სახელგამის ყველა მაღაზიები ჰყიდიან 500 მანეთამდე წიგნებს.

რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელგამი

რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობის ა.-კ. განყოფილებაც 5 მაისს (ბეჭდვითი სიტყვის დღეს) შეუდგა კვირეულს. მის მიზანს შეადგენდა რუსული წიგნის ფართო პოპულიარიზაცია მასებში. ამ მიზნისათვის განყოფილებამ პირველ ყოვლისა, თბილისის ყველა მუშურ რაიონებში მოაწყო წიგნების გასაყიდი კიოსკები.

წიგნებზე რ. ს. ფ. ს. რ—ის სახელგამმა დაუკლო ფასი 20-დან—70 პროცენტამდე.

კიოსკები მოწყობილი იყო: პლეხანოვის კლუბთან—ლენინის რაიონში, ტრამვაელების კლუბთან—მე-2 რაიონში, ავლაბრის მუშათა კლუბთან, ახალ მუშათა კლუბთან—მე-4 რაიონში წ. ა. ფ. სახლთან—წითელი არმიისათვის.

აღნიშნული კიოსკების მოწყობაში კლუბების გამგეობებმა დიდი აქტიობა გამოიჩინეს. ყველაზე უფრო მეტი წარმატებით სარგებლობდა კიოსკი მე-3 რაიონში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წიგნები რაიონების მიხედვით ნაწილდებოდა, აღნიშნულ რაიონებში მცხოვრებ მუშების მოთხოვნილების მიხედვით.

კიოსკები არ ატარებდენ კომერციულ ხასიათს და ითვლებოდენ. განათლების მუშაკთა სახლში მოწყობილ ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალურ გამოფენის ფაქტიურ დამატებად.

განვლილ 12 დღის განმავლობაში ყველა მაღაზიებში და გამართულ ბაზრობებზე გაიყიდა სულ 6.411 მან. წიგნი.

„ა.-კ. წიგნი"

სააქციო საზ-ბა „ა.-კ. წიგნი"-ს ყველა 3 წიგნის მაღაზიებში ამ 12 დღის განმავლობაში ყოველ დღიურად იყიდება 700—1.135 მანეთამდე წიგნი.

წიგნების გაყიდვა ხდება უმეტესად ინდივიდუალურად. ნაწილობრივ მათ იძენენ ბიბლიოთეკები და სკოლები.

უმეტესად იყიდება პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, ტეხნიკური, საქმიმო და ბელეტრისტიული ხასიათის წიგნები.

8 მაისს გამართულ ბაზრობაზე პირველ მაღაზიაში გაიყიდა 1.411 მან. რუსული და ქართული წიგნები. 15 მაისს ბაზრობაზე გაიყიდა—1.533 მან. წიგნი.

მე-2 მაღაზიაში (პლეხანოვის პროსპექტზე) ბაზრობით გაიყიდა—150 მანეთამდე; 15 მაისს—ბაზრობით—523 მანეთის.

მე-3 მაღაზიაში (ნაძალადევი) 15 მაისს—ბაზრობით გაიყიდა 150 მან. წიგნი 8 მაისს ბაზრობა მე-3 მაღაზიას არ მოუწყვია.

გამომცემლობა „შრომა"

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს გამომცემლობა „შრომა"-მ 1926 და 27 წლების გამოცემებზე დაუკლო ფასი—50 პროცენტით, 1925 წლების გამოცემებზე—70 პროცენტით და 23 და 24 წლების გამოცემებზე—80 პროცენტით. ამის გამო ზოგიერთი წიგნები, რომლებიც წინედ იყიდებოდა 7 მანეთად, ეხლა იყიდება 1 მანეთად.

ეხლა „შრომის" მაღაზიებში ვაჭრობა ძალიან გაცხოველებულია. თუ წინედ დღეში იყიდებოდა 50 წიგნი, ეხლა იყიდება 200-ზე მეტი. ყოველდღიურმა შემოსავალმა იმატა 50 პროცენტით.

გარდა დანარჩენი ხასიათის ლიტერატურისა, დიდძალი რაოდენობით იყიდება პროფესიონალური და შრომის ხასიათის წიგნებიც. მაგალითად, 15 მაისის ბაზრობაზე გაიყიდა 200 ცალი შრომის კანონთა კოდექსი. 8 და 15 მაისის ბაზრობებზე „შრომის" ორ მაღაზიაში გაიყიდა —1.170 მან. ლიტერატურა.

წიგნის ბაზრობა წელს პირველად მოეწყო თბილისში, მან დადებითი შედეგები გამოიღო მასებში წიგნის ფართო პოპულიარიზაციის მხრივ.

რიონის ელსადგური

გუშინ, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსდეს რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარეთ—**შ. ელიავა,** თავმჯდომარის მოადგილე—**ს. ჟუღელი,** წევრებათ: სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან—**ავაქოვი,** ქალაქის აღმასკომიდან—**ღვამიჩავა,** საამშენებლო კავშირიდან—**ბლიაძე,** ა.-კ. რკ.-გზ. სამმართველოდან—**ივანოვი და ბერიძე, ივანოვ-კავკასიელი,** ინჟ. **ჭიჭინაძე** და **მელიქ-ფაშაევი.** რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა უფროსათ დანიშნულია ინჟ. **ჭიჭინაძე,** მის მოადგილეთ ინჟ. **მელიქ-ფაშაევი.**

გეოგრაფიულ საზ-ბაში
წევრთა საზოგადო კრება

საქ. მუზეუმის აუდიტორიაში პროფ. **ა. ჯავახიშვილის** თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრთა მორიგი კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. **ალ. თვალჭრელიძე,** ძირულის გრანიტიანი ადგილების გამოკვლევის შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემო იმერეთში, განსაკუთრებით მდ. ორხევის მიდამოებში, მოიპოვება გრანიტის მრავალნაირი მადნები, არის ისეთი იშვიათი ადგილებიც, რომ გრანიტში შედის 18-მდე სხვადასხვა ძვირფასი მადანი.

მეორე მოხსენებით გამოვიდა 1926 წელში ყაზბეგის მწვერვალზე ამსვლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი ამხ. **ს. ჯაფარიძე.** მომხსენებელმა კრებას უამბო ის სიძნელენი, რომელთა გადალახვაც მოუხდა ექსპედიციას; შემდეგ. მან დაწვრილებით აღნიშნა ის სამეცნიერო ხასიათის მიღწევანი, რომელიც ექსპედიციამ შეასრულა თვით მყინვარის მწვერვალზე.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო საზოგადოების საპატიო წევრათ ცნობილ მთამსვლელის, დუგლას ფრეშფილდის არჩევის საკითხი. სიგვიანისა და სხვა მიზეზების გამო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა კრების მიერ გადადებულია შემდეგი სხდომისათვის, რომელიც მოწვეული იქნება ახლო ხანში.

რემედასი

21 მაისს მოწვეულია საქ. რემედასის ცკას პლენუმი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: თეთრი ტერორი და რემედასის საერთაშორისო მოძრაობა. ც. კ. პრეზიდიუმის ანგარიში; აჭარისტანის, აფხაზეთის საოლქო და სიღნაღის და ბორჩალოს სამაზ. კომიტეტების თანამოხსენებებით, სარევიზიო კომისიის მოხსენება, რემედასის ორგანიზაციების საზაფხულო მუშაობის შესახებ.

რემედასის სრულიად საქართველოს ყრილობის შესახებ, მიმდინარე საკითხები.

პლენუმზე იმუშავებენ საორგ.-საფინანსო და სააგიტ. საპროპაგანდო კომისიები.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხების განხილვა.

1 საორგ.-საფინანსო კომისიაში

საუჯრედო მუშაობის შესახებ, სოფლად მუშაობის შესახებ, ფინანსიური მოღვაწეობის შესახებ, სარევიზიო კომისიების მუშაობის შესახებ ადგილებზე.

2 სააგიტ-საპროპაგანდო კომისიაში:

საზაფხულო მუშაობის შესახებ, საშეფო მუშაობის შესახებ.

ც. კ. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. გარდა ამისა პლენუმზე მოწვეულია ყველა საოლქო, სამაზრო და თბილისის რაიონულ კომიტეტების თითო წარმომადგენელი.

ქრონიკა

ამხ. რომანოვსკის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული კონსული არზრუმში—ამხ. მიხ. რომანოვსკი.

ამხ. კულიკოვის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის „კუსტარკრედიტი“-ს წარმომადგენელი ამხ. კულიკოვი, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკების წარმოება სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან შინა-მრეწველ ხელოსანთა კოოპერატიულ საკრედიტო ამხანაგობის წარმოებაზე შეკვეთების მისაღებად.

„არაზინდო“

სანატორიუმ „არაზინდო“-ს გახსნა დანიშნულია ოცი მაისისათვის.

ა.-კ. პროფკავშირების საორგანიზაციო თათბირი

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ გადასწყვიტა 7 ივნისისათვის თბილისში მოიწვიოს პროფკავშირების ამიერ-კავკასიის საორგანიზაციო თათბირი.

სამხატვრო კომისია

პროფკავშირების ც. გ. კულტგანყოფილებების გამგეთა უკანასკნელ თათბირზე გამოყოფილი იქნა სამხატვრო კომისია ამხ. ქონძრის (თავმჯდომარე), ს. ორჯონიკიძის, თავდგირიძის, გვარამაძის და როზენფელდის შემადგენლობით, რომლის სანქციის გარეშე აკრძალულია ყოველგვარი სამხატვრო გამოსვლა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში.

ფიზკულტურის ბიურო

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროს გამგედ დაინიშნა ამხ. სირაძე.

მტვირთველთა შრომის ხელფასი

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა „ზაკპოგრუზ“-ის გამგეობას შეიმუშაოს არა უგვიანეს 1927 წლის 1-ლი სექტემბრისა დატვირთვა-გადმოტვირთვის მუშაობისათვის ხელფასის გაცემის ახალი პირობების პროექტი, რათა იგი თავის დროზე იქნეს შეთანხმებული, როგორც პროფკავშირებთან, ისე დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციებთან.

ვატმანების ფსიქო-ტექნიკური შემოწმება

შრომის კომისარიატმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ტრამვაის ვატმანების ფსიქო-ტექნიკურ შემოწმების ჩასატარებლად. ამ მიზნით მოეწყობა სპეციალური ლაბორატორია. ვატმანების შემოწმების საქმის შესასწავლად მოსკოვში იგზავნება ამხ. წივწივაძე.

ხეხილის ნერგები

„მერეთში“ (გორის მაზრა) დარგულია 115 ათასი ვაშლის, მსხლის და სხვა ხეხილის ნერგი, რომლებიც წელსვე იქნებიან დამყნილნი. მიმდინარე წელს მერეთში გასასყიდათ დამზადებული იქნება 57 ათასი სხვადასხვა ჯიშიანი ხეხილის ნერგი. წარსულ სოოპერაციო წელში მიღებული იყო 607,500 უჯიშო ნერგი სხვადასხვა ხეხილისა. მათგან ნაწილი მიეცა სახალხო მამულებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაურიგდა საქართველოს სხვადასხვა სას. სამ. დაწესებულებებს, რომლებმაც პატარ-პატარა სანერგეები მოაწყვეს სახალხო მამულების ტრესტის სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

თათბირი ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

17 მაისს მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს საფილოქსერო სექციაში გაიმართა თათბირი ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ. წმინდა სპეციალურ საკითხებს გარდა განხილულ იქნა საკავშირო ფონდიდან ფილოქსერასთან ბრძოლის საწარმოებლად მოცემულ კრედიტების განაწილების საკითხი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ზაიცევმა, ნაგორნიმ, ფიზიოლოგმა ალექსანდროვმა და მიწ. სახ. კომის. სპეციალისტებმა—საცდელ-სამეცნიერო საბჭოს წევრებმა.

ბავშვთა მეგობართა საზ-ბა

სახლის პატრონების საყურადღებოთ აცხადებს, ელექტრონის ფარნები სახლებისათვის კერძო სახელოსნოებში კეთდება არა იმ ფორმით, როგორც არის დამტკიცებული და ამიტომ, შესაძლებელია, ეს ფარნები არ მიიღოს ალმასკომის კომისიამ.

მანგლისის გზატკეცილი

ამჟამად მანგლისის გზატკეცილზე მიმდინარეობს სარემონტო მუშაობა.

საავტომობილო მიმოსვლის სეზონის გახსნა ამ გზაზე მოსალოდნელია ივნისის შუა რიცხვებში; სეზონის გახსნამდე გზა იმდენად იქნება შეკეთებული, რომ შესაძლებელი გახდება ინტენსიური საავტომობილო მოძრაობის წარმოება.

მტკვრის დონე

მტკვრის დონე გუშინ უდრიდა 2 მეტრს და 48 სანტიმეტრს.

თბილისის ალმასკომში

◆ **მაზრაში ურიგებენ გლეხებს** საადგილმამულო განყოფილებამ დაურიგა 100 ფუთი სხვადასხვა მცენარეულობის თესლი.

ალმასკომმა დაამზადა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ლიტერატურა გლეხებში გასავრცელებლათ აგრო-პუნქტების საშუალებით.

◆ **სამოქალაქო აქტების ჩამწერ** განყოფილების ცნობით აპრილში დაიბადა 762 ბავში, მოკვდა—353 კაცი, დაქორწინდა—257, განქორწინდა—55.

◆ **ვენერიული სენის წინააღმდეგ** ბრძოლის გაძლიერების მიზნით ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შემოწმებას.

◆ **კვასი.** ალმასკომმა აკრძალა კვასის გაყიდვა კასრებიდან. კვასის გაყიდვა შეიძლება მხოლოდ ბოთლებით, სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

◆ **საკურორტო გადასახადი მაზრის აგარაკებზე** ალმასკომის დადგენილებით შინა-მრეწველებს გადახდებათ პროფკავშირის წევრების თანაბრად.

მიწად-მოქმედების კომისარიატში

◆ **დამყნილი ვაზი.** სახალხო მამული „მერეთში“. წელს პირველად დაამზადეს დამყნილი ვაზი სათბურებში. სულ სათბურებში დამზადებული იქნა 10 ათასი ნამყენი ვაზი ადგილობრივი და ევროპიული ჯიშების.

◆ **სატყეო სექციის წევრებათ.** სექციის უკანასკნელ სხდომაზე არჩეული იქნენ: ბაქრაძე, ერისთავი, სურგულაძე, შიომღვიმელი, ფრუიძე. კანდიდატებათ: ბრეგაძე და კონსტანტინაშვილი.

შრომის კომისარიატში

◆ **ხელფასის ნორმები.** დღეს დილის 10 ს. შრომის კომისარიატში შესდგება სპეციალურ კომისიის სხდომა ხელფასის ნორმების გადასასინჯავათ.

◆ **ახალი კოლექტივი.** შრომის კომისარიატი აარსებს ძვლების გადამამუშავებელ შრომის კოლექტივს.

სხვადასხვა

◆ **„ბავშთა მეგობართა საზ-ბის“** რაიონული კონფერენცია თბილისში დაიწყება 21 მაისიდან.

◆ **ეკონომიური ქარტა.** კარტოგრაფიულმა ინსტიტუტმა დაამზადა საქართველოს ახალი ეკონომიური ქარტა.

კრებები და მოხსენებები

◆ **ამხ. სუტირინის მოხსენება.** ოთხშაბათს, 18 მაისს, განათლების მუშაკთა სახლში (ბეჭდვითი სიტყვის გამოფენაზე), საღამოს 7 საათზე ამხ. სუტირინი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საბჭოთა კავშირის მწერლები“.

მოწვეული არიან ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები, მუშკორები, სამხკორები, ახკორები. შესვლა ყველას შეუძლია.

◆ **დღეს, ოთხშაბათს,** 18 მაისს, საქ. მუზეუმის შენობაში, საღამოს სრულ 7 საათზე შესდგება საქ. გეოგრაფიულ საზ-ის მთასვლამგზავრულ განყოფილების მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: 1) დ. მიქელაძე: ხევსურეთის გეომორფოლოგია. 2) ვ. წერეთელი: ხევსურების ზნეჩვეულებანი. 3) ექსკურსიების საკითხი.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** ოთხშაბათს 18 მაისს, საღ. 7 ნახ. საათზე დოცენტი ა. ხარაძე გააკეთებს მოხსენებას რუსულ ენაზე „მათემატიკოსების ყრილობა მოსკოვში“ (შთაბეჭდილებანი).

ჩაუბარებელი დეპეშები

ქუთაისიდან—ლომიძეს, ბაქოდან—ჩაევსკისას, აშტარაკიდან—სარაჯევს, ხონიდან—გოგორიას, ევლახიდან—იულევიჩ, ტიხორეცკიდან—იოსელიანს, გალათიდან—რამორიას, გალათიდან—გოლდენბერგს.

შემთხვევები

ავტომობილის მსხვერპლი

16 მაისს საღამოს 6 საათზე კომინტერნის ქუჩაზე თბილისის ალმასკომის ავტომობილმა (№ 112) გაიტანა 1-ლ საბჭოთა აფთიაქის თანამშრომელი კალისტრატე მიხეილის ძე ნემსაძე, რომელიც სასწრაფოდ გადაიგზავნა ქალაქის მთავარ საავადმყოფოში. ნემსაძეს მძიმედ დაზიანებული აქვს თავის ქალის უკანა ნაწილი. შოფერი ზაქარია ირემაშვილი შეპყრობილია.

გვამის პოვნა

15 მაისს სისხლის სამართლის მილიციას მოქ. მიხეილ კალანჩიკომმა (მცხოვრები პასტერის ქ. № 5) განუცხადა, რომ 13 მაისს სახლიდან გავიდა მისი მოსამსახურე ქალი ეკატერინე ფილიმონის ასული კაპლანოვა (45 წლის) და დღემდე არ დაბრუნებულა. 16 მაისს სოფ. სოღანლუღის მახლობლად მტკვრის პირას აღმოჩენილი იქნა დამხრჩვალი ქალის გვამი დაახლოებით 45 წლისა. ეს გვამი უნდა იყოს კაპლანოვას ქალის. სწარმოებს გამოძიება დამხრჩვალის ვინაობის გამოსარკვევად. შემთხვევის ადგილას გამოცხადდენ თბ. მაზრის მე-2 უბნის სახ. გამომძიებელი ნოზაძე და სის. სამ. სამმ. ქ.-განყოფილების უფროსის მოადგილე მელაძე.

დაჭრა

ჯერ-ჯერობით გამოურკვეველ მიზეზების გამო სოფ. ყარაიაზში ადგილობრივ მცხოვრებლებმა გიულ ახმედხან ახმედ-ოღლიმ და თორა მამედ-ოღლიმ ხანჯლით მძიმეთ დასჭრეს იმავე სოფლის მცხოვრები ახმედ მამედ-ოღლი და მიიმალენ.

სამი კაცის დაჭრა

16 მაისს საღამოს 6 საათზე ანდრეევის ქ. № 77 მცხოვრებმა კონსტანტინე ნინიას ძე ახმეტელაშვილმა იმავე სახლის ეზოში რევოლვერით მძიმეთ დასჭრა მოქ. არტავაზ გრიგოლის ძე მერაბოვი, მისი დედა სოფიო კარაპეტის ასული და მისი და მანიაკა. ახმეტელაშვილი შეპყრობილია. დაჭრილნი გადაგზავნილი იქნენ რესპუბლიკის საავადმყოფოში.

◆ **უეცარი სიკვდილი.** პლეხანოვის და ყორღანოვის ქუჩების კუთხეში უეცრათ გარდაიცვალა ანტონ ოსიპის ძე მოსესოვი (55 წლის).

◆ **შეპყრობა.** 16 მაისს ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს გრიგოლ ხაჩატურის ძე მუსაიანი.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 16 მაისს ჩერქეზიშვილის ქ. № 117 გაქურდეს ეფრემ ბალანიშვილის სავაჭრო. წაღებულია სასწორი და სხვადასხვა ნივთები.

◆ **თავის მოწამვლა.** 16 მაისს ვორის შესახ. № 6 ოჯახურ უსიამოვნების ნიადაგზე თავი მოიწამლა ანა ანდრიას ასულ ვაჭარაძემ.

◆ **მცირეწლოვანი ჯიბგირი.** 16 მაისს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი ბარსეგ ბარსეგიანცი.

◆ **სახაზინო ფულის** მითვისებისათვის 16 მაისს შეიპყრეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ოტრადინსკი.

◆ **ქურდობისათვის** 16 მაისს დააპატიმრეს არტაშ ბაგრატის ძე მარტიროზოვი.

ხელოვნება

მეიერხოლდის სახელობის თეატრის გასტროლები

„მანდატი“—ნ. ერდმანის თხზულება

თანამედროვე რეპერტუარის ერთი უდიდესი ნაკლი საბჭოთა კომედიის უქონლობაში მდგომარეობს. სიცილი—ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანის, და კერძოთ კი თანამედროვე ადამიანის. ჩვენი დრამატურგების ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ იციან თვითონ მკითხველები, ხოლო თეატრმა თავისი მაყურებელი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა კომედიის შექმნას თეატრი და დრამატურგები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. მეიერხოლდი ცდილობს ამ ნაკლის გამოსწორებას. „მანდატი“-ს დადგმა პირველი ცდაა ამ მიმართულებით.

„მანდატის“ თემატიური მასალა აღებულია რევოლიუციით დამხობილი მეშჩანური ოჯახის ყოფისაგან: ამ ყოფის დამახასიათებელია: მანდატის მისტიფიკაცია და მეფური რეჟიმის დაბრუნებაზე ოცნება. ხოლო ამ მომენტებისათვის კომიკური ხასიათის მიცემა შესაძლებელი გახდა კონტრასტობის პრინციპით; მეტად დამახასიათებელია მეიერხოლდის დადგმებისათვის ეს პრინციპი: ამით ის ამჟღავნებს ტიპის კლასიურ ბუნებას („ტყე“—გურმიჟსკაია და აქსიუშა), სასაცილოთ ხდის რევოლიუციის მეშჩანურ შეფასებას („მანდატი“) და სოციალურათ ახასიათებს უარყოფით ინდივიდუალურ ტიპებს: ე. ი. ამა თუ იმ წესწყობის ყველა მახინჯ მომენტებს თავის უარის პიესის მთავარ უარყოფით ტიპში (ხლესტაკოვი).

„მანდატში“ კონტრასტობა მჟღავნდება ორი მომენტის დაპირდაპირებაში: ის რაც არის და ის, რასაც მას აწერენ. ე. ი. კომუნისტად მიდეპულია ის, რომელსაც გაჩნია მანდატი, მაგრამ რომელმაც არ იცის თუ რა არის რ. კ. პ. (პავლე გულიაჩკინი). მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ კომუნისტათ მიჩნეულია პავლე გულიაჩკინი იმიტომ, რომ მას რაღაც მანდატი გაჩნია. აქედან: მეშჩანური მსოფლმხედველობისათვის მანდატი ატრიბუტია კომუნისტისათვის. საჭირო იყო ამ ატრიბუტის მისი მატარებლის არსთან დაპირდაპირება, რომ მიგვეღო კომიზმი. ახალგაზრდა, მაგრამ მეტის მეტად ნიჭიერ გარინმა (ხლესტაკოვის (ცნობილი შემსრულებელი) კომიზმის ეს ამოცანა მშვენივრათ სძლია და მით მხატვრული გამარჯვება არგუნა ლიტერატურულათ სუსტ ნაწარმოებს.

მეორე დაპირდაპირება: მსახური ქალის ნასტიას დიდმთავრათ მიღება. ეს მიხდა იმისათვის, რომ ნასტია არის „ანასტასია ნიკოლაევნა“. აქედან კომიზმი: ამ სახელწოდების, მისი ბუნებასთან დაპირდაპირების გამომჟღავნება მხატვრულათ.

კონტრასტობა თავიდან ბოლომდის გატარებულია „მანდატის“ დადგმაში. ამ პრინციპითაა მიღებული კომიზმი, რომელიც შეიცავს სოციალურ დაცინვას მეშჩანური ყოფისა და მსოფლმხედველობის.

ტექნიკურათ დადგმა მშვენივრათ არის ძლეული: სცენის მოედანი წარმოადგენს ორ კონცენტრიულ საბრუნავ რგოლს, რომელზედაც გამოდიან აქტიორები სცენის შესაფერისი აქსესუარებით. აქ აუცილებელია კინოს გავლენაა. მაგრამ ნაკლი ამ დადგმის იმ გარემოებაშია, რომ პიესის მთელი ტემპი მეტის მეტათ მოდუნებულია, რაც არ ეგუება პიესის ხასიათს არც ტექნიკურათ, არც შინაარსის მხრივ. ამ გარემოებამ მოსაწყენათ აქცია მთელი დადგმა და მით შეშალა კომიკური ელემენტების შესაფერისი გავლენა მაყურებელზე.

ა.

სამზადისი ოქტომბრის 10 წლის თავისთვის

16 მაისს სამხატვრო აკადემიის შენობაში შესდგა ხუროთმოძღვართა თათბირი, რომელიც განათლების კომისარიატის დავალებით მოიწვია სამხ. აკადემიამ. თათბირის მიზანი იყო გეგმის გამომუშავება იმ გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ, რომელიც ოქტომბრის ათი წლისთავზე გაიმართება მოსკოვში.

მომავალ ოქტომბრის დღესასწაულის დროს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირში მობინადრე ყველა ეროვნებათა ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. საქ. სამხატვრო აკადემიაში მოწვეულ თათბირზე განხილულ იქნა საკითხი, როგორ ან რა სახით უდა იქნეს ამ გამოფენაზე მოწყობილი საქართველოს განყოფილება.

თათბირმა გამოყო კომისია არქიტექტორ მ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა დაწვრილებითი გეგმის გამომუშავება და თავის წარმომადგენლის გაგზავნა მოსკოვში.

სამხატვრო აკადემიის იუბილე

22 მაისს სრულდება თბილისში სამხატვრო აკადემიის დაარსების 5 წლისთავი. იუბილეს ჩასატარებლათ უკვე დაწყებულია სათანადო სამზადისი.

იუბილის დღეს, 22 მაისს, აკადემიის შენობაში გაიმართება აკადემიის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ღია იქნება რამოდენიმე დღის განმავლობაში. 22 მაისს დღის 12 საათიდან დაიწყება საიუბილეო ზეიმი, რომელზედაც მოპატიჟებულ იქნებიან სხვადასხვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და სახელოვნო დაწესებულებების წარმომადგენლები. საზეიმო სხდომაზე შესავალ სიტყვას იტყვის აკადემიის რექტორი—პროფ. ჩუბინაშვილი.

სასამართლო

მხეცი კაცი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით, გაირჩა 68 წლის თედორე ვისოჩკინის (ხელობით ფოტოგრაფი) საქმე. (საქმის შინაარსი მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს № 94-ში).

სასამართლოს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

სასამართლოში ვისოჩკინმა თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ ის ბავშვებს კოცნიდა და ეალერსებოდა იმის გამო, რომ მათდამი „მშობლიური სიყვარულით“ იყო გამსჭვალული.

სასამართლომ ვისოჩკინი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში, რისთვისაც მიუსაჯა მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ქრთამის გაცემა

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ნიკოლოზ კვანტალიანის და გრიგოლ სირიას საქმე.

სირია ირიცხებოდა რკინისგზის უფროს კონდუქტორათ, კვანტალიანი კი საბარგო მატარებლის კონდუქტორათ; მას სურდა სამსახურის გამოცვლა. ცდილობდა როგორმე სახალხო მატარებელზე დაეწყო მუშაობა.

ა. წ. იანვრის თვეში, კვანტალიანმა მიიპატიჟა სახლში მეგობარი სირია. „პურ-მარილის“ მიღების შემდეგ სთხოვა მას გაეწია მისთვის პროტექცია კონდუქტორთა ბრიგადის გამგესთან. სირიამ გამხნევა მეგობარი და უთხრა:

მეგობარო, შენ თხოვნას უსათუოდ შევასრულებ. შემდეგ მან დასწერა წერილი ბრიგადის გამგის აბრამიძის სახელზე. წერილში ის აღნიშნავდა, რომ კვანტალიანი არის მისი მოყვარე. იცნობს მას კარგ მუშაკათ და სთხოვდა გადაეყვანა ის სახალხო მატარებლის კონდუქტორათ. წერილთან ერთად გაუგზავნეს მოქ. აბრამიძეს 50 მან. ამ უკანასკნელმა ამის შესახებ განაცხადა სადაც ჯერ არს. სირია და კვანტალიანი პასუხისგებაში მისცეს.

წინასწარი გამოძიების დროს კვანტალიანმა თავი არ სცნო დამნაშავეთ, ხოლო სირია კი გამოტყდა დანაშაულში.

საკავშირო ფულების მითვისება

დღეს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ივანე ლადიფანის საქმე.

ლადიფანი ირიცხებოდა რკინისგზის ადგილკომის მოლარეთ. ლადიფანი სისტემატიურათ ითვისებდა კავშირის საწევრო, უმუშევართა და დამხმარე სალაროს ანარიცხებს. გარდა ამისა, იგი საწევრო გადასახადს გაორკეცებული რაოდენობით ღებულობდა და ზედმეტ ფულს ითვისებდა. წინასწარი გამოძიებით ბოროტმოქმედების ფაქტი დადასტურდა.

ერთი ცხვრის გულისთვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ლაშხის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ხვიდანის და ფედოროვის, პროკურორ ჯანჯღავას და მდივან ტატიშვილის მონაწილეობით ალბულაღში გაარჩია ტიგრან არუშანოვის საქმე.

გასულ წელს არუშანოვმა მოქ. არშაკ ნერსესოვს მოჰპარა ცხვარი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ნერსესოვი შეხვდა არუშანოვს და უთხრა:

— შენ რა კაცი ხარ, ერთი ცხვარი მყავდა და ისიც მომპარეო. არუშანოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის გასცა მოქ. გიორგი გეურქოვმა. ამიტომ გადასწყვიტა შური ეძია მაზე და ეძებდა მოხერხებულ დროს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. არუშანოვი სიკვდილით დაემუქრა გეურქოვს.

ერთ დღეს გეურქოვი და არუშანოვი ერთად მიდიოდენ ალბულაღში ამხანაგებით. გზაში გეურქოვს ჩხუბი მოუვიდა მოქ. მირზოევთან. არუშანოვმა იხელთა დრო და ჯერ ხანჯლით დაჰკრა მირზოევს და შემდეგ კი გეურქოვს გულში ჩასცა ხანჯალი. საავადმყოფოში მიყვანისას, გეურქოვი გარდაიცვალა. არუშანოვი დააპატიმრეს.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა არუშანოვმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა წინასწარი განზრახვით და მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

თავხედი თავმჯდომარე

გასულ წლის აგვისტოში სოფ. ველისციხეში მცხოვრებ ავაქოვის ხარები შეიპარნენ იმავე სოფლის გლეხის სარიევის ყანაში და ნათესი თვალსაჩინოდ დააზიანეს. ავაქოვმა იჩივლა ადგილობრივ თემალმასკომის თავმჯდომარე მოქ. გვარამაძესთან. მან დაიბარა სარიევი და უბრძანა დაებრუნებინა ავაქოვისათვის წართმეული ფარაჯა.

სარიევმა უარი განაცხადა და დასძინა, რომ ფარაჯას დაუბრუნებდა იმ შემთხვევაში, თუ ის (ავაქოვი) ზარალს აუნაზღაურებდა. გვარამაძემ სარიევის პასუხი „შეურაცხყოფად“ მიიჩნია და რამოდენიმეჯერ სილა გააწნა მას. გვარამაძე პასუხისგებაში მისცეს. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

გამფლანგველი ფელდშტეინი

დასრულდა წინასწარი გამოძიება ბერნარდ აბრამისძე ფელდშტეინის საქმეზე.

ფელდშტეინი მსახურებდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თბილისის კანტორის სამგზავრო განყოფილების გამგეთ.

ა. წ. 9 თებერვალს მოხდა განყოფილების რევიზია; აღმოჩნდა 2.050 მანეთის დანაკლისი. ფელდშტეინმა სარევიზიო კომისიას განუცხადა, რომ სახაზინო ფულები მას შენახული აქვს სახლში. საჩქაროდ წავიდა ბინაზე და მოიტანა 750 მან. და 375 ამერიკული დოლარი. მიუხედავად ამისა, ფელდშტეინს გაუნაღდებელი დარჩა 580 მანეთი. ამის შემდეგ დაინიშნა განყოფილების დეტალური რევიზია, რომელმაც გამოარკვია, რომ ბრალდებულს გაფლანგული აქვს 3.161 მანეთი.

წინასწარი გამოძიების დროს ფელდშტეინი გამოტყდა დანაშაულში.

ბიბლიოგრაფია

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

„ვერცხლის ქამარი“ (მოთხრობები) სახელგამ. 154 გვ. ფასი 1 მან. 1927 წ. თბილისი.

პროლეტარული ბელეტრისტიკის ზრდა თანდათან ფაქტი ხდება. ამ მოვლენის ერთ ერთი მაჩვენებელთაგანია ელ. პოლუმორდვინოვის ეს წიგნი. პოლუმორდვინოვი ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული მწერალი არ არის, მაგრამ მომავალში უნდა ველოდეთ მის დასრულებულ პროლეტარულ მწერლად ჩამოყალიბებას.

სარეცენზიო წიგნი სადებიუტოა. მასში სხვადასხვა და ხშირად საწინააღმდეგო ხასიათის მოთხრობები, ნოველები და ესკიზებია მოთავსებული.

„ორი მზე“—მთავარი მოთხრობაა წიგნის. აქ ორი თემაა; სოციალისტური აღმშენებლობა და ოჯახის პრობლემა. სოციალისტური აღმშენებლობა აღებულია რომანტიულ განკვეთაში, ზაჰესი წარმოდგენილია კოლოსად. ეს თავის მოტყუილებაა—რადგან ზაჰესში შრომაც ფუთით იყიდება—ამბობს კომუნისტი ჯავარი, რომანტიკოს კონსტრუქტორის ნოდარის საწინააღმდეგოდ. ნოდარს უეჭველად უნდა დაეეთანხმოთ. მოთხრობაში რომანტიკა არ მოახდენდა ყალბ შთაბეჭდილებას, ავტორი რომ ზაჰესის და საერთოდ საგნის ფაქტიურ მეცნიერულ ცოდნას ეყრდნობოდეს.

სექსუალური და ოჯახის პრობლემა მოთხრობაში უარყოფითადაა გადაწყვეტილი, ე. ი. უარყოფილია ძველი ოჯახი. აქ პრინციპიალურად მხატვარი მართალია, მაგრამ შეცდომა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი მეტის მეტად ამუქებს საღებავებს სექსუალური მომენტის წმინდა ფიზიოლოგიურ გამოვლინებაში. აქ საჭიროა მეტი იდეოლოგიური სიმტკიცე.

მეორე მოთხრობაში („საჭეები“) მოყვანილია ტიპი პარტიაში შემოპარულ კომუნისტის, რომელიც ძველ „მამულიშვილურ“ ჩვეულებების მიხედვით იტაცებს ქალს. მოთხრობის დადებითი მხარეები თემის თანამედროვეობაში, სტილის სიკარგეში და ბუნების კარგ სურათებში მდგომარეობს. ნაკლი კი ისაა, რომ მოთხრობა უპერსპექტივოა, და მკითხველი მისი წაკითხვის შემდეგ ინდიფერენტულ განწყობილებაში რჩება წაკითხულისადმი. ამის მიზეზი ავტორის „ობიექტიურობაში“ მდგომარეობს.

მოთხრობა „ლურჯი სოფოა“ სრულებით არ შეეფერის ავტორის მსოფლმხედველობის მთავარ ხაზს. აქ ასახულია ყარაჩოღელის სიყვარულის პატარა ისტორია. სოციალური დასაბუთების გარეშე.

„ვერცხლის ქამარი“ იმავე ყარაჩოღელთა ცხოვრებიდანაა, მაგრამ უფრო გამართლებულია და აქ მხატვარმა შესძლო კარგი რეალისტური ხედვის დახმარებით დაენახა თუ როგორ იცვლება ეპოქის ზეგავლენით ძველი ყარაჩოღელი (ყარაჩოღელი ძველის რომანტიკა—ვერცხლის ქამარს ცვლის თანამედროვე ტანსაცმელზე).

მეტის მეტად „ნეიტრალური“-ა „მოხეტე“—სადაც მოცემულია, ო. გენრის გავლენით, მოხერხებული ტრიუკი ერთი ავანტიურისტის.

მოკლედ, მაგრამ მოხერხებულად არის „მეგობრებ“-ში მოცემული მენშევიკი, რომელიც იცვლის თვალსაზრისს ჩვენი საზოგადოებრიობის ზეგავლენით.

მთავარი სიძლიერე პოლუმორდვინოვის თანამედროვე ეპოქისთვის შესაფერის ლაკონიურ სიტყვაში და ეკონომიურ სტილშია. არც ერთი ინტელიგენტური მრავალსიტყვაობა, „დარბაისლური“ სიდინჯე და ეპიური თხრობა (сказ) სიუჟეტის კარგი შენება და საიდუმლოებათა რომანის მეთოდების მოხერხებული შესწავლა ო. გენრისგან, კარგი და დადებითი გავლენა დიდი მწერლების (კელერმანის და გლადკოვის „ორ მზე“-ში.)

მაგრამ სტილშიაც აქვს ზოგიერთი ნაკლი ავტორს: თანამედროვეისტების შეუფერებელი სენტიმენტალური-ობივატელური ლექსიკონის ხმარება („სულიკო“, „შემატკივლებული სიყვარული“.)

წიგნი ინტერესით იკითხება, ნაკლი ავტორის უმთავრესად თემატიური და იდეოლოგიური ხასიათისაა, ვიდრე სტილისტიური. ამიტომ ავტორმა ამ მხრივ უნდა გააძლიეროს მუშაობა.

პლ. ქიქოძე.

მეცნიერება და ტექნიკა

საუკუნო კალამი ფანრით

ამერიკაში გასასყიდათ გამოვიდა ორიგინალური საუკუნო კალმები, რომლებიც ამავე დროს ფანრის როლსაც ასრულებენ. პატარა მშრალი ბატარეა, ცილინდრისებური ფორმის მქონე, მოთავსებულია კალმის ტარში. ასეთივე პატარა ზომის სავარაუო ლამპა კი—მიმაგრებულია ტარის ბოლოში, კალამთან.



ლამპის ასეთი მდებარეობა შესაძლებლად ხდის წერას ბნელშიც, ვინაიდან ლამპა საკმაოდ ანათებს საწერ ქაღალდს. ლამპას ანთებენ და აქრობენ კალმის ტარზე გაკეთებული სპეციალური ფოლაქის საშუალებით.

გარდა ამისა, ამ კალმისტარით შეიძლება სარგებლობა, როგორც ჯიბის ფანრით, იმ შემთხვევებში, როცა საჭიროა პატარა სივრცის განათება—მაგ., როცა საჭიროა შესავალის განათება, და სხვა.

მაშხალა—ლუზა

ძლიერ ხშირად გემები ნაპირების ახლო იღუპებიან. მიუხ. ამისა ზოგჯერ მაინც ბევრი ხალხი იღუპება ასეთი შემთხვევების დროს, რადგან შეუძლებელი ხდება საშინელი ღელვის პირობებში მშველელი ნავების ჩაშვება წყალში.

ერთმა ამერიკელმა შეიმუშავა ნაპირის ახლოს დაღუპულ გემების მგზავრების გადარჩენის ორიგინალური პროექტი, რომელიც ზედმიწევნით კარგს შედეგებს იძლევა ყოველგვარ ამინდში.



დასაღუპად განწირულ გემიდან ნაპირზე ისვრიან ლუზას, რომელზეც თოკია მიბმული.

ლუზას ისვრიან ნაპირზე მაშხალის საშუალებით. მაშხალა ერთი კილომეტრის მანძილზე მოქმედობს. ნიადაგზე დასამაგრებლად ლუზა მომარაგებულია წვეტმახვილი მოსაკეცი რკინებით, რომლებიც იშლებიან მაშხალის გაფრენის დროს.

პირველ და მეორე სურათზე ნაჩვენებია მაშხალის გარეგნული სახე.

იოდის ლაქების ამოყვანა

იოდის ახალი ლაქების ამოყვანა ქსოვილებიდან ძლიერ ადვილია კირის წყალის საშუალებით. ახლად გამზადებულ და გაწმენდილ კირის წყალს ოდნავ ათბობენ და მასში დებენ ქსოვილს იმ დრომდი, სანამ ლაქები არ გაქრება. შემდეგ ქსოვილს რეცხენ წმინდა წყალში.

დადგენილება № 46

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობის [illegible] შესახებ

ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში გეგმიანობის განსამტკიცებლად, განსავითარებლად და მოსაწესრიგებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააკისრონ სახალხო მეურნეობის სათანადო ორგანოებს წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველი საკითხი ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობისა, უკვე არსებულის გაფართოებისა და აგრეთვე მისი შექმნისა სახელმწიფო კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

2. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს და მათი ადგილობრივი მეურნეობის ორგანოებს წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველი საკითხი ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობისა, არსებულის გაფართოებისა და აგრეთვე მათი შექმნისა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

3. ყოველი საკითხი, რაც კი დაკავშირებულ იქნება როგორც ადგილობრივი მრეწველობის უკვე არსებული საწარმოს ფინანსიურად მოგვარებასთან, ისე ახალის აშენებასა და შექმნასთან გატარებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რისთვისაც ამ უკანასკნელს წარედგინება დაწვრილებით შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა საწარმოო და საფინანსო გეგმები განმარტებითი წერილის თან დართვით.

4. აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოებმა, აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. ყველა სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველწლივ უნდა წარუდგინონ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად თვითეული ცალკე საწარმოს საწარმოო პროგრამა 2 თვით ადრე მაინც საოპერაციო წლის დაწყებამდე, და არგეთვე გასული საოპერაციო წლის ანგარიში არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბრის 1-ისა.

5. ამასთანავე აფხაზეთის ს. ს. რ., აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოებმა და აგრეთვე საქართველოს ს. ს. რ. ყველა სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა მათ გამგებლობაში მყოფი ყოველი სამრეწველო საწარმო უნდა ჩამოაყალიბონ ოთხი თვის ვადაზე ცალკე იურიდიული პირად ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი, კომერციული ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა შესახებ—1923 წლის ივლისის 17-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის საფუძველზე. (ს. ს. რ. კ. ცაკისა, სახკომსაბჭოს და შ. და თავდაც. საბჭოს ვესტნიკის 1923 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 29).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ქ. ხომერიკი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. მბალიბლიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. მაისის 3.

თბილისი—სასახლე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 45

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების მე-12 და 15 მუხლის შეცვლისა და ამავე დებულებისათვის მე-15^1 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ს თარიღით და 43 ნომრით დადგენილებით დამტკიცებული—სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების (კან. კრ. 1926 წ. მე-3 ნომრით, მუხ. 71) მე-12 და 15 მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 12. იმ პირს, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, უფლება აქვს სთხოვოს სათემო აღმასრულებელ კომიტეტს გადასინჯოს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება, ან გაასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში, შვიდი დღის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს თემის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს იგი საქმითურთ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. თხოვნისა და საჩივრის შეტანა შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას.

მუხ. 15. წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სათემო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დაიცვას ყველა ის პირობა ადმინისტრატიული გადასახდელის გადაწყვეტისათვის, რაც ამ დებულებაში აღნიშნულია.

2.

ზემოაღნიშნულ დებულებას დაემატოს მე-15^1 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 15^1. დადგენილება ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. უკეთუ აღნიშნულ ვადაზე დადგენილება არ იქნება აღსრულებული, იგი ძალას ჰკარგავს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ქ. ხომერიკი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. მაისის 3.

თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ კოლეგიის **სხდომა**, რომელიც მოწვეული იყო ა. წ. 16 მაისს, **შესდგება დღეს ოთხშაბათს 18 მაისს დღის 12 საათზე** ცეკას აგიტპროპის გამგის კაბინეტში. კოლეგიის ყველა წევრების და ამხ. ალ. ხელაძის დასწრება აუცილებელია.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპ. მდივანი: **მამალაძე.**

სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს ხსენებულ ფაკულტეტის სტუდენტთა—პარტიის წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ ამხანაგები, რომლებიც არ გატარებულან ხელახალ რეგისტრაციაში, უნდა გატარდენ ამა თვის 18-19 რიცხვამდი. რეგისტრაცია იწარმოებს დღის 12 საათიდან 2 საათამდე ამხ. შექე ლორთქიფანიძესთან, ბიურო-კოლექტივის ოთახში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან აღრიცხვა-განაწილებითი განყოფილება წინადადებას აძლევს კომპარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც მიმდინარე 1926-27 აკადემიურ წელს ამთავრებენ სახელმწიფო უნივერსიტეტს, გამოცხადდნენ ცეკას აღრიცხვა-განაწილებით განყოფილებაში ამხ. ლიცინოვთან სამი დღის განმავლობაში.

დღეს, 18 მაისს, დილის 10 საათზე, შესდგება სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიუროს კრება. ბიუროს კრებას უნდა დაესწრონ პარტიის და კომკავშირის ყველა ის წევრები, რომლებიც წელს ათავებენ პედაგოგიურ ფაკულტეტს.

ოთხშაბათს 18 მაისს დღის სრულ 2 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. დასწრება ბიუროს წევრთათვის სავალდებულოა. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომლებსაც განცხადებები აქვთ შემოტანილი პარტიაში მიღების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 19 მაისს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) და საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტები იტყობინებიან, რომ 18 მაისს, საღამოს სრულ 7 საათზე, აგიტპროპმუშაკის კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობაში) შესდგება **იმ კომუნისტების თათბირი, რომლებიც მუშაობენ შრომის სკოლებში, ტექნიკუმებში და სპეციალურ კურსებზე.** თათბირს უნდა დაესწრონ აგრეთვე ა. ლ. კომკავშირის უჯრედთა მდივნები. დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 18 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება, არსენალის რაიონის ქალთა აქტივის თანადასწრებით.

ყველა დელეგატ ქალების, ქალთა ორგანიზატორების და აქტივისტ ქალების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს 18 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება არსენალის რაიკომის პლენუმი უჯრედების მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგი:

1) ტრამვაის კოლექტივის ბიუროს ანგარიში.

სავალდებულოა პლენუმის ყველა წევრების, კანდიდატების და აგრეთვე არსენალის რაიონის უჯრედთა მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მინაგო ანტონის-ძე, შვილები, გრიგოლ, ვანიჩკა, არკადი, პაპუნა, ცუბა, მარო, ალექსანდრა და ლიუდმილა, რძლები—ვერიჩკა და ნინა, სიძეები: გრიგოლ ალფაიძე, შალიკო ფუტკარაძე და გალაქტიონ ცირეკიძე, შვილისშვილები: ჟენია და შაშა, მაზლი ნესტორ ანტონის-ძე მეუღლით ალექსანდრა მიხეილის ასული და შვილებით რიმა და ევგენი მღვდელაძეები და მამამთილი ანტონ ივანეს-ძე მღვდელაძე, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 15 მაისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანუშკა მარკოზის ასული მღვდელაძისა

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 19 მაისს, ს. ჩხარი-ეწერში (შორ. მაზრა), სასაფლაოზე. 2779

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—12 ნ. 1014

ქსენია დესნი და ვალტერ სლეზაკ
სეზონის საუკეთესო სურათში
„ქალი პროვინციიდან“
ყველამ უნდა ნახოს ეს განსაკუთრებული შედევრი
მხოლოდ ერთ დღეს
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“
ტურგენევის რომანის მიხედვით
ნ. კოვანკოს, ანჟელოს და კოლინის მონაწილეობით
საუკეთესო ტრიუკისტი ლიუჩიანო ალბერტინი
საუკეთესო სურათში
„კაცი კომეტაზე“
საინტერესო სიუჟეტი. არაჩვეულებრივი დადგმა
მალე—ახალი სურათი „დეკაბრისტები“.
უკანასკნელად თბილისში **„კინ“** (გენიოსი და სალახანა)
მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწილეობით
ანონსი: მალე საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მაქსიმ მაქსიმის-ძე“

თბილისის ქალაქის ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1927 წ. 19 მაისს დღის 3 საათზე ბანკის შენობაში, პუშკინის ქ. № 3, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობით
გასასყიდათ მოქ. გიორგი და შალვა გარსევანის-ძეთა რატიანების მამული, მდებარე 1-ლი სამილიციო უბანში გუნიბის ქუჩ. № 61, სავადო გადასახადის შემოუტანლობის გამო, თანახმათ ა.-კ. ფინსახკომის მიერ 1926 წ. 5 ნოემბ. დამტკიცებულ სარემონტო-საამშენებლო სესხის დებულებისა.
ვაჭრობა დაიწყება 10.830 მ. და 57 კ. ნ. 1201

თანახმად სახალხო განათლების კომისარის განკარგულებისა, ამა წლის 20 ივნისს შესდგება უკანასკნელი
სახელმწიფო საგამოცდო სესია
კბილის ექიმის ხარისხის მისაღებათ.
გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ის პირნი, ვისაც წარსულში დამთავრებული აქვთ კბილის საექიმო სკოლა. მსურველებმა განცხადება სათანადო საბუთებით უნდა შემოიტანონ კბილის სნეულებათა კლინიკაში (პლეხანოვის გამზირი № 126), არა უგვიანეს 15 ივნისისა. 2693 10—1

სააქციო საზოგადოება
„რუდმეტალტორგ“
„РУДМЕТАЛТОРГ“
ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა კომინტერნის ქ. № 3
საწყობები: 1) კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 90, 2) რიყე, წყალქვეშა შესახვ. № 4.
საამშენებლო სეზონისათვის
იყიდება: რკინისგზის რელსები, შველერა, ახალი დახარისხებული რკინა და რკინის და ფოლადის სხვადასხვა შესაკეთებელი მასალა
ფასები მნიშვნელოვნად დაკლებულია
იქვე იყიდება სხვადასხვა ლითონების ნამტვრევები
2—1 ნ. 1192

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8ს. ქალების და ბავშვების. 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—5

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 22 მაისს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ქალაქის ლომბარდში. ნ. 1198

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჭაჭიაშვილი
აცხადებს, რომ ის 21 მაისს დილის 10 საათზე ქ. ზესტაფონში ბათუმის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერასტი ბათლომესძე პეტრიაშვილის ქონებას სახელდობრ: ნახევარ მონაწილეობას ორ სართულიანი ქვიტკირის სახლისას ზედმოდებული ქვიტკირის მარნის, სადაცაა ოცი საღვინე ჭური და ასეთივე მონაწილეობას ორი თვალი ხის სახლისა, სახლებია აშენებული სამოსახლო ადგილზე ზომით დაახლოებით ერთი ქცევა სამზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით თედორე პეტრიაშვილი დასავლეთით და ჩრდილოეთით გზა და სამხრეთით ტარასი კაპანაძე, აღწერილი ქონება შეფასებულია ათას მანეთათ, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს ს. ს. ს. კ. 311 მუხ. აღნიშნული ცნობები და თანახმად ამავე კოდექსის 312 მუხ. საწინდარი შეფასებულს 10 პროც.

Библиотека „ОГОНЕК“
ЛУЧШИЕ ПИСАТЕЛИ русские и иностранные
комплектами в 50, 100, 150 и 200 книжек:
Аросев, Андерсен, Бабель, Безыменский, Берковичи, Бальзак, Вассерман, Веселый, Вересаев, Вольтер, Гауптман, Генри, Гончаров, Горький, Додэ, Джером, Диккенс, Дюамель, Жаров, Зозуля, Зорич, Зощенко, Золя, Занд, Иванов Вс., Инбер, Ибаньес, Казин, Кольцов М., Кириллов, Келлерман, Короленко, Лидин, Лондон, Луначарский, Мариенгоф, Мирбо, Мопассан, Маяковский, Милль, Никулин, Новиков, Некрасов, Пильняк, Пришвин, По Эдгар, Радек, Романов П., Ромэн, Рабиндранат Тагор, Савинков, Свирский, Сосновский, Слонимский, Соболь, Свифт, Твен, Толстой Л., Толстой А., Тренев, Уэльс, Уткин, Фурманов, Форш, Фридман, Честертон, Чехов А., Чернышевский, Шоу, Шагинян, Эренбург, Яковлев и др.
К КАЖДОМУ КОМПЛЕКТУ ПРИЛАГАЕТСЯ БЕСПЛАТНО РАЗДВИЖНАЯ
АНГЛИЙСКАЯ НАСТОЛЬНАЯ ЭТАЖЕРКА
50 книжек с этажеркой 6 р. 50 к.
100 книжек с этажеркой 10 руб.
150 книжек с этажеркой 13 руб.
200 книжек с этажеркой 16 р.
УПАКОВКА и ПЕРЕСЫЛКА БЕСПЛАТНО.
Высылка всех книжек производится немедленно по получении полной стоимости или же наложенным платежом при задатке в 25%.
Подробный иллюстрированный каталог высылается по первому требованию БЕСПЛАТНО.
Переводы адресуйте: Акц. Издательскому О-ву „ОГОНЕК“. Москва 9, Тверской бульвар 26.
2—1 Б. 1200

Вышла в свет и поступила в продажу
КУЛИНАРНАЯ КНИГА
„НАША КУХНЯ“
Составлена применительно к современным условиям по новейшим данным в области питания К. С. МИКОНИ и А. Е. ГРЕЙБ под редакц. Е. М. ШВЕЦОВОЙ.
С приложением таблиц:
1) Состав пищевых продуктов.
2) Важнейшие свойства витаминов.
3) Сортировка мясной туши (с 3-мя схемами)
СВЫШЕ 500 РЕЦЕПТОВ КУШАНИЙ, НАПИТКОВ, ЗАГОТОВОК и пр. Цена 1 р. 50 к.
Высылается также наложенным платежом.
ТРЕБОВАНИЯ АДРЕСОВАТЬ: Москва 9, Тверской бульвар 26, Акц. Изд. О-ву „ОГОНЕК“.
2—1 Б. 1200

ЖЕНЩИНЫ! ХОЗЯЙКИ! МАТЕРИ! КУСТАРКИ!
Еще не поздно подписаться
— с апреля до конца года —
на ежемесячный домашне-хозяйственный, богато-иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“
Подписчики, внесшие плату на 9 мес. или полгода,
ПОЛУЧАТ БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ:
9-ти месячные—15 КНИЖЕК БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“
полугодовые—10 КНИЖЕК БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“.
Условия подписки:
«Женский Журнал» с приложением выкроек и контурных листов—9 мес.—8 р. 50 к., 6 мес.—5 р. 50 к. и 3 мес.—3 руб. С приложением „Кулинарной Книги“ 9 мес.—9 р. 30 к., 6 мес.—6 р. 30 к. и 3 мес.—3 р. 80 к.
Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26, АКЦИОНЕРНОМУ ИЗДАТЕЛЬСКОМУ О-ВУ „ОГОНЕК“.
2—1 Б. 1200

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—8

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში**
მწოლარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე.
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 25—19

დაკარგა პარტიული წიგნაკი № 0860499, პირადობის მოწმობა, № 44 მუშკოოპის წიგნაკი, სერგო ნარიმანისძე ჭიჭინაძეს სახელზე, ჩ. გ. 2771
დაკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 3838—რომანოზ მოძღვრიშვილის სახელზე, ჩ. გ. 278
დაკარგა საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 203, დავით ნიკოლეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 278

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.